დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2023 წლის 18-24 სექტემბერი

N 41 1505

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## რატი ბრეგაძისა და არამარტო მის გასაგონად!!!



# საქართველოს ციხე-კოლონიებს პატიმართა «შემოკმა» გადაუარა!

3 4-5



6-7

# ბატონო მინისტრო,

ცოტა ფრთხილად მოეპყარით ხალხისა და ბიძინა ივანიშვილის დიად მონაპოვარს!

## იგორ კვესელავა ხელს ადებს!



10

„შევარდნაძემ ზვიადის მკვლელობის ხელმძღვანელობა დაავალა ავთანდილ მარგიანს, რომელმაც კავშირი დაამყარა რობიზონ მარგველანთან...“



„კარლო ღურწკაიას სახლში იმ სამიდან ერთ-ერთმა ზვიადი მოკლა!“

11, 12

«ავთანდილ მარგიანმა ყველაფერი იცის, რადგან ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში მონაწილეობდა!»



## ქიული შარტავა:

1985 წლიდან მოყოლებული, არც ძველი ხელისუფლებისთვის ვარ მისაღები პიროვნება და არც ახალი ხელისუფლებისთვის!

13

14

## მაყვალა ბერიანიძე:

საქართველოსთან ერთად ქიული შარტავაც «გადაამგდეს!»

# ორიმპიჩმენტიანობა

***ჩვენი ისტორიიდან ორხელისუფლიანობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და კლასიკური მაგალითი რომ გავიხსენოთ, მე-13 საუკუნეში უნდა გადავიხედოთ, როცა საქართველოში ორმეფობა იყო, რადგან 1247 წელს, დამპყრობელმა მონღოლებმა სამეფო ტახტზე ერთდროულად და თანაბარი უფლებებით დასვეს ბიძაშვილ-მამიდაშვილი: ლაშა-გიორგის ძე დავით-ულუ და რუსუდანის ძე დავით-ნარინი.***

უფრო აქეთ, მე-20 საუკუნის დასაწყისში და საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, ორხელისუფლიანობა დამყარდა ამიერკავკასიაში, რადგან 1917 წელს, რუსეთში მონარქიის დამხობის შემდეგ, ძალაუფლება ხელში აიღეს, ერთი მხრივ, **მუშათა და სამხედრო დეპუტატთა საბჭოებმა,** ხოლო მეორე მხრივ, რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ შექმნილმა **ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომისარიატმა.** სწორედ ამიერკავკასიაში არსებული ორხელისუფლიანობის ფონზე იქნა მოწვეული საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელმაც საქართველოს ეროვნული საბჭო აირჩია და, გარდამავალ პერიოდში, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, დროებითი მთავრობის ფუნქციები დააკისრა.

თუმცა, რაღა შორს უნდა წავიდეთ, როცა საქართველოში, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მოყოლებული, ფაქტობრივი **ორხელისუფლიანობა** გვაქვს.

ჰო, ქვეყნის სათავეში „ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ, სანამ სააკაშვილმა საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა არ ამოწურა, საქართველოში **ორხელისუფლიანობა** იყო!

მერეც, როცა „ქართულმა ოცნებამ" საპრეზიდენტო არჩევნებში **გიორგი მარგველაშვილს** გაამარჯვებინა, საქართველოში მალევე დამყარდა **ორხელისუფლიანობა,** რადგან მარგველაშვილი „ქართულ ოცნებას" კრიჭაში ჩაუდგა და მთელი ხუთი წელიწადი მთავრობა-პარლამენტისა და პრეზიდენტის პოლიტიკურ ძიძგილაობაში გაილია!

საქართველოში **ორხელისუფლიანობაა** დღესაც, რადგან პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** და „ქართული ოცნება", თავისი საპარლამენტო უმრავლესობითა და მთავრობით, ერთმანეთთან ლამის მამასისხლად არიან დაპირისპირებული და ერთურთს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებაში ადანაშაულებენ!

ჰოდა, სწორედ ამ **ორხელისუფლიანობის** პირდაპირი გამოძახილია ის **ორიმპიჩმენტიანობა,** რომლის მომსწრეც დღეს ვართ, როცა „ქართული ოცნების" საპარლამენტო უმრავლესობა **პრეზიდენტ ზურაბიშვილის იმპიჩმენტის** პროცედურის დასაწყებად ემზადება, ხოლო ე.წ. საპარლამენტო ოპოზიცია **პრემიერ ღარიბაშვილის იმპიჩმენტით** იქადნება!

**ორიმპიჩმენტიანობა...** მაინც რას არ მოესწრება კაცი ამ ქვეყანაში!

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში **ერთიმპიჩმენტიანობაც** კი არასოდეს ყოფილა და ახლა ერთბაშად **ორიმპიჩმენტიანობა** დაგვეცა თავზე!

მერე რა, რომ არც **პირველ იმპიჩმენტს** აქვს პერსპექტივა და, განსაკუთრებით, არც მეორეს, რადგან „ქართულ ოცნებას" **პრეზიდენტ ზურაბიშვილისათვის** იმპიჩმენტის მოსაწყობად პარლამენტში ხმები არ ყოფნის, ოპოზიციას კი იმდენი რესურსიც არა აქვს, პრემიერ **ღარიბაშვილის იმპიჩმენტის საკითხი** ოფიციალურად დააყენოს პარლამენტის დღის წესრიგში.

პირდაპირ რომ ვთქვათ, ორივე **მოიმპიჩმენტე მხარე** მუშტებს ჰაერში იქნევს და წყალს ნაყავს, რაც სხვა არაფერია, თუ არა უნიჭო ჟონგლიორობის მორიგი ნომერი ქართული პოლიტიკის საცირკო არენაზე.

განსაკუთრებით სასაცილო და საცოდავ დღეში კი მაინც ე.წ. ნაცოპოზიცია გახლავთ!

„ქართულ ოცნებას" რეალური და ხელშესახები მიზეზი მაინც აქვს, რომ **პრეზიდენტის იმპიჩმენტის** პროცედურა წამოიწყოს, რადგან სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს კონსტიტუცია დემონსტრაციულად და უხეშად დაარღვია, როცა საგარეო ვიზიტები მთავრობის თანხმობის გარეშე განახორციელა, მაგრამ რა მიზეზი აქვს ოპოზიციას პრემიერ-მინისტრის **იმპიჩმენტისათვის?**

**ირაკლი ღარიბაშვილი** მიუნხენში ჩარტერული რეისით რომ გაფრინდა, **ეს არც საქართველოს კონსტიტუციის დარღვევაა და არც სხვა რომელიმე კანონის; არც სამოხელეო დანაშაულია და არც — ადმინისტრაციული; მით უფრო, სისხლის სამართლის დანაშაული არ გახლავთ და, საერთოდ, არავითარ სამართლებრივ გადაცდომას არ წარმოადგენს,** რადგან მთავრობის მეთაურს პირად ვიზიტსა და ჩარტერული რეისის დაქირავებაში სახელმწიფო ბიუჯეტის ფული არ დაუხარჯავს, ანუ სამსახურებრივი უფლებამოსილებისათვის არ გადაუმეტებია!

შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის **იმპიჩმენტისათვის** ფორმალური ან ირიბი საფუძველიც კი არ არსებობს და ნაცოპოზიციის ქოთქოთი — ღარიბაშვილს **იმპიჩმენტი** უნდა მოვუწყოთო, იაფფასიანი პოლიტიკური პოპულიზმისა და დემაგოგიის ჩარჩოებს ვერაფრით გასცდება!

ცალკე გროტესკისა და ირონიის ლუკმაა ის ფაქტი, რომ ნაციონალები თავიანთ კოლეგა ოპოზიციონერებს მოუწოდებენ — **როცა „ქართული ოცნება" პრეზიდენტ ზურაბიშვილის იმპიჩმენტის პროცედურას წამოიწყებს, პარლამენტის სხდომათა დარბაზში ფეხი არ შედგათო!**

კი მაგრამ, რატომ?

**არ ჯობია, ნაცები და მათი მოკავშირე ოპოზიციონერები პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურისას სწორედაც პარლამენტის სხდომათა დარბაზში ისხდნენ და იმპიჩმენტის წინააღმდეგ მისცენ ხმა?**

ასე უფრო დემონსტრაციულად და თვალსაჩინოდ არ გამოუვათ თავიანთი პოზიციისა და პროტესტის დაფიქსირება?

მაგრამ საქმე ის არის, რომ ნაცები არც ერთმანეთს ენდობიან და არც — სხვა ოპოზიციონერებს; იმედი არა აქვთ, რომ ისინი ზურაბიშვილის **იმპიჩმენტის** წინააღმდეგ მისცემენ ხმას; ეშინიათ — ვაითუ, ხელისუფლებამ ოპოზიციონერი დეპუტატების ნაწილი გადაიბიროს ან ფულით იყიდოს და პრეზიდენტის **იმპიჩმენტისათვის** მიაცემინოს ხმაო!

**აი, ასე** სწამთ ნაციონალურ მოძრაობაში ერთმანეთის და სხვა ოპოზიციონერი კოლეგების!

**აი, ასეთი** ერთიანი, შეკრული და შედუღაბებულია საპარლამენტო ოპოზიცია!

**აი, ეს** ოპოზიციონერები, რომლებიც **ერთმანეთს ორი ფეხის ნაბიჯზე არ ენდობიან** და ერთმანეთის პრინციპულობისა და პატიოსნების არ სჯერათ, საზოგადოებას არწმუნებენ — გავერთიანდებით და საერთო ძალისხმევით გავიმარჯვებთ ამ ხელისუფლებაზეო!

**მოკლედ, ცირკია და ცირკზე უფრო მეტი ცირკიც** — პოლიტიკური ჯამბაზების შესრულებით, რომლებიც საპარლამენტო ოპოზიციის უმრავლესობას შეადგენენ და არც საპარლამენტო უმრავლესობაში წარმოადგენენ უმცირესობას!

***ჯაბა ხუბუა***



**„ქართულ ოცნებას" პრეზიდენტის იმპიჩმენტისათვის სამართლებრივი საფუძველი გააჩნია, მაგრამ არ გააჩნია საკმარისი ხმები, ნაცოპოზიციას კი პრემიერის იმპიჩმენტისათვის არც სამართლებრივი საფუძველი გააჩნია და არც — საკმარისი ხმები!**



**ორივე მოიმპიჩმენტე მხარე მუშტებს ჰაერში იქნევს და წყალს ნაყავს, რაც სხვა არაფერია, თუ არა უნიჭო ჟონგლიორობის მორიგი ნომერი ქართული პოლიტიკის საცირკო არენაზე!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**მმართველმა პარტიამ, ხელისუფლებამ,** ასევე **პრეზიდენტმა, ოპოზიციამ** — ყველამ უნდა თქვას ხმამაღლა, რომ **საქართველომ უნდა მიიღოს სტატუსი წლის ბოლოს!**

„საქართველოს რესპუბლიკა"

**ანდრიუს კუბილიუსი**
*ევროპარლამენტარი*



„ქართული ოცნება" ყველაფერს აკეთებს, რომ **სტატუსი არ მიიღონ, იმპიჩმენტის ინიციატივაც ამის გამოხატულებაა,** ევროპაში ვერ იპოვი ქვეყანას, სადაც მთავრობა ასე ექცევა თავის პრეზიდენტს.

„პირველი არხი"

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



კუბილიუსი **ვერ იქნება ჩვენი უფროსი, ჩვენი უფროსი საქართველოს მოსახლეობაა.** დღეს ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია, **შეინარჩუნოს მშვიდობა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, კიდევ უფრო დააახლოოს ქვეყანა ევროპასა და ევროპულ მომავალთან,** არის „ქართული ოცნება".

**ნატოს წევრობა** არის ერთადერთი, რაც საქართველოს უსაფრთხოებას დაიცავს, **არ გვინდა ეს ღია კარი, თუ რამის თავი გაქვთ, მიიღეთ ჩვენი ქვეყანა ალიანსში.**

„რეზონანსი"

**ირაკლი კობახიძე**
*პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



საზოგადოება ძალიან მარტივად გაშიფრავს ნებისმიერ მცდელობას, რომ **ნინო ლომჯარიას** ნაცური, ახალი გაერთიანება ვილაცას **შუაშისტად** შეასაღონ, თქვენც ხომ იცით, რომ **ლომჯარია ნაცია.** ლომჯარიას ვერ მიჰყიდი ხალხს **შუაშისტად,** ვერც **დათო ტურაშვილს.**

**ისე იშლება რადიკალური ოპოზიცია,** რომ მეშინია, **შემდეგ პარლამენტში მარტო არ შევიდეთ.**

„პირველი არხი"

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



ვიცით, ვინ არის **ლომჯარია** და საიდან ფინანსდება იგი — მისი გაერთიანება ემსახურება მხოლოდ იმას, რომ საქართველოში **ძალადობრივი ცვლილებები** მოხდეს.

„POSTV"

*ამ წერილის წერას საგანგაშო ინფორმაციით ვიწყებ:* ***საქართველოს ციხეები აღარ არის გამჭვირვალე, ალაგ-ალაგ პატიმრებს კანონს გადამეტებული სიმკაცრით ეპყრობიან და შეუბრალებლად ჩაგრავენ; ამას გარდა, გამოიკვეთა საშიში ტენდენცია, როცა პატიმრების მიმართ ასეთ მოპყრობას სპეციალური პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელობა საგულდაგულოდ მალავს და საზოგადოების თვალის ასახვევად „აუცილებელ ღონისძიებებად“ ასაღებს ან საზოგადოებასთან ურთიერთობისას უტიფრად უარყოფს არასათანადო დამოკიდებულების კონკრეტულ ფაქტებს.*** *გასულ კვირას ქართულ ციხეებს პატიმართა მასობრივი უკმაყოფილების ტალღამ გადაუარა, თუმცა, პენიტენციური სამსახური აცხადებს, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა და საქართველოს სასჯელაღსრულების ადგილებში პატიმართა ცხოვრება ჩვეულებრივი რიტმით გრძელდება!* ***ასეთი მდგომარეობა პირდაპირ იმის წინაპირობაა, საქართველოს ციხეებში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობა კვლავ წამებაში გადაიზარდოს და ჩვენს რეალობაში დიქტატურის ის ხანა დაბრუნდეს, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ სააკაშვილის რეჟიმის ძალაუფლებიდან ჩამოცილებით ერთხელ უკვე დაასრულა.*** *შესაბამისად, საქართველოს პირწავარდნილ მტერს, ნაციონალურ მოძრაობას ეძლევა საშუალება, რომ დღევანდელ მმართველ პარტიას არჩევნებისთვის გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ* ***ციხის თემაზე, ანუ იმ ტატამზე*** *გაუმართოს, რომელზეც 2012 წლის შემოდგომაზე თავად ნოკაუტით დამარცხდა.*



# საქართველოს ციხე-კოლონიებს პატიმართა «შუმოკმა» გადაუარა!


წლობით ვამყოფებენ სამარტოო საკნებში,
სადაც არის უმცირესი ზომის საკნები, 70/40 სმ-ზე
არამარტო ჰაერი, დღის სინათლეც ვერ აღწევს
ნორმალურად.
ხშირ შემთხვევაში ფაქტების დამახინჯებით

საზოგადოებას მინდა შევახსენო, რომ **2011-2012 წლებში სააკაშვილის რეჟიმი წელში სწორედ პატიმართა წამების თემამ გადატეხა,** როცა თვალსაჩინოდ გამოიფინა ადამიანების ულმერთოდ წამების დოკუმენტური კადრები; **უმთავრესად, სწორედ პატიმართა მიმართ სააკაშვილის რეჟიმის განუკითხავმა მოპყრობამ, მათმა წამებამ და მასობრივმა მკვლელობამ განარისხა ქართველი საზოგადოება და რეჟიმის წინააღმდეგ ქუჩებში გამოიყვანა, რაც ამ რეჟიმის გადაყენებით დას-**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



**ლომჯარია** ერთ-ერთი **ყველაზე ცუდი სახალხო დამცველი იყო,** ამხელა ძალაუფლება როცა ჰქონდა და ასე იყენებდა, **არ მგონია, სხვა ვითარებაში დამოუკიდებელი როლი ითამაშოს.**

„პირველი არხი“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



**ნინო ლომჯარიას** ყველა საფუძველი აქვს **წარმატებული პოლიტიკური კარიერისთვის.** ნაციონალურმა მოძრაობამ მშვენივრად იცის, რომ **მელიას** პარტიაში შენარჩუნება **ნაკვერჩხლის** შენარჩუნებას ნიშნავს და ეს **ნაკვერჩხალი** როდის აგიზგიზდება დიდ ცეცხლად, არავინ იცის.

„ახალი თაობა“

**კრისტიან ტერჰესი**
*რუმინელი დეპუტატი*



**საქართველოს ადგილი ევროპაშია!** უსამართლოა, დასაჯო ქვეყანა და ქართველი ხალხი იმის გამო, რომ კონკრეტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს არ ეთანხმები. **სრულად ვუჭერ მხარს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას.**

„აიპრესი“

**რიჩარდ ჩარნეცკი**
*ევროპარლამენტარი*



შეცდომა დავუშვით, როცა **საქართველოს სტატუსი არ მივანიჭეთ,** უნდა გავაგზავნოთ ძლიერი გზავნილი, რომ **თბილისის, გორის და სხვა ქალაქებისა თუ სოფლების ადგილი ევროპის გულშია.**

„პირველი არხი“

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

# საქართველოს ციხე-კოლონიებს პატიმართა «შუმოკმა» გადაუარა!

# ბატონო მინისტრო, პატივცემულო რატი ბრეგაძევ,

## ცოტა ფრთხილად მოეპყარით ხალხისა და ბიძინა ივანიშვილის დიად მონაპოვარს!



**რულდა.** მას შემდეგ „ქართული ოცნების“ ყველაზე თვალსაჩინო მიღწევად ციხეში გატარებული რეფორმები ითვლებოდა, რადგან თვალსა და ხელს შუა საკაშვილის რეჟიმის პირქუში საპყრობილეები გამჭვირვალე დაწესებულებებად გადაიქცა, რომლებშიც ადამიანის წამება კი არა, ელემენტარული ჩაგვრაც გამოირიცხა. **ციხეებს საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფები მიაწყდა და ყველაზე ამრეზილი ოპონენტებიც კი ახალ პირობებში სულ უფრო და უფრო ძნელად პოულობდნენ შენიშვნების საფუძველს.**

ამ პროცესში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით რეჟიმისშემდგომ სასჯელაღსრულების მინისტრებს — **სოზარ სუბარს და კახი კახიშვილს,** რომელთა დაუღალავმა შრომამ პატიმრების სისხლით მოთხვრილი სასჯელაღსრულების დაწესებულებები თანდათან 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების დონის აპარტამენტებად აქციეს. **მათი ტელეფონები 24 საათის განმავლობაში მისაწვდომი იყო ადვოკატებისთვის, ჟურნალისტებისთვის და საზოგადოების ნებისმიერი ფენის წარმომადგენლისთვის.** აი, ასე, მარტივად, ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო, აეკრიფა მინისტრის ნომერი და მისთვის კონკრეტული პრობლემის შესახებ მოეხსენებინა!

**არაერთხელ უშუალოდ ჩემგანაც პირადად ამ მინისტრებს მიუღიათ ინფორმაცია კონკრეტული პატიმრის ჯანმრთელობის, ან სხვა პრობლემის შესახებ და დაუყოვნებელი ზომებიც მიუღიათ მის აღმოსაფხვრელად.**

მალე სიტუაცია იმგვარად შემობრუნდა, რომ მანამდე ქართულ პენიტენციურ სისტემაში არგაგონილი ჰუმანური მოპყრობით თავად პატიმრები იყვნენ განცვიფრებულები. პატიმრებსა და საგანგებოდ დატრენინგებულ ციხის თანამშრომლებს შორის ერთხანს თბილი და ურთიერთგაგების, ერთმანეთის გათვალისწინების ატმოსფერო ჩამოყალიბდა.

**საზოგადოებამ და ახალი ხელისუფლების მიმართ თვით ყველაზე მტრულად განწყობილმა ნაცებმაც კი ერთხანს მთლიანად მიივიწყეს ციხის თემა, რადგან იქ აღარაფერი ხელჩასაჭიდი აღარ ეგულებოდათ. ხელისუფლებამ, კონკრეტულად, იუსტიციის სამინისტრომ, რომლის დაქვემდებარებაშიც 2018 წლიდან გადავიდა პენიტენციური სისტემა — თავი დაიარხეინა და სწორედ აქ გაივლო სამწუხარო მიჯნა, რის შემდეგაც მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა,** ხოლო გასულ კვირას ლიბერასტულმა მედიამ ანაზდად განგაშის ზარები დაარისხა სასჯელაღსრულების **ბათუმის მე-3 ციხიდან** გამოგზავნილი წერილით, რომელსაც **19 მსჯავრდებული** აწერს ხელს და ამ წერილში პატიმართა მიმართ ციხის ადმინისტრაციის მხრიდან სასტიკი და არასათანადო მოპყრობის, ასევე, კანონით აკრძალული დასჯის ფაქტებია აღწერილი:

> *„ციხეში ყველა სადამსჯელო ღონისძიება პატიმრების მდგომარეობის მაქსიმალურად დამძიმებაზეა ორიენტირებული.* ***მსჯავრდებულები ხშირად უმიზეზოდ და უვადოდ გადაჰყავთ დეესკალაციის ოთახში. პატიმრები მუდმივად ძალადობრივი ზემოქმედების ქვეშ არიან. მათ ეკრძალებათ ტელეფონით დარეკვა და ციხის მაღაზიით სარგებლობაც კი. ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები ხშირად ახდენენ კონფლიქტის პროვოცირებას, რომლის შედეგადაც ხდება პატიმრისთვის საპატიმრო ვადის გახანგრძლივება. ადმინისტრაციის მხრიდან ზეწოლის და ტერორის გასაჩივრება დასჯადია!“***

— წერია პატიმართა ერთობლივ წერილში.

წერილის გამოგზავნა პატიმრებს სახალხო დამცველის ლოგოიანი კონვერტით ვაი-ვაგლახით მოუხერხებიათ. პრობლემები, რომლებზეც **ბათუმის ციხის პატიმრები** წერენ, უკიდურესად შემაშფოთებელია, რადგან საზოგადოებას ისინი რახანია, ბოლომდე აღმოფხვრილად მიაჩნდა!

**ბათუმის ციხის ადმინისტრაცია** სარგებლობს იმით, რომ **სასჯელაღსრულების მე-3 დაწესებულება (ბათუმის ციხე)** მაღალი რისკის დაწესებულებას წარმოადგენს და პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობას ამ მიზეზით ამართლებს.

**ნაწყვეტი ბათუმის ციხის ბინადარი პატიმრების წერილიდან:**

> *„მაღალი რისკის დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს გვაქვს უკიდურესად მძიმე და მსგავსი პრობლემები:* ***წლობით გვამყოფებენ სამარტოო საკნებში, სადაც არის უმცირესი ზომის სარკმელი — 70X40 სმ. იქიდან არამარტო ჰაერი, არამედ ნორმალურად დღის სინათლეც ვერ აღწევს! ხშირ შემთხვევაში ფაქტების დამახინჯებით გვიფარდებენ მაღალ რისკს. ხანგრძლივად გვიკრძალავენ სატელეფონო ზარებს, მაღაზიით სარგებლობას, რის გასაჩივრებასაც ვერ ვახერხებთ!“***

პენიტენციურ დაწესებულებებში ხშირია განსაზღვრულ ვადაზე ხანგრძლივად, დასჯის მიზნით უსაფუძვლოდ პატიმართა გადაყვანა დეესკალაციის ოთახებში; **ხშირად პატიმრებს გარედან აყენებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, სხვადასხვა მეთოდით**


სადაც არის უმცირესი ზომის სარკმელი, იქიდან
არამარტო ჰაერი, დღის სინათლეც ვერ აღწევს
ნორმალურად.
ხშირ შემთხვევაში ფაქტების დამახინჯებით
გვიფარდებენ მაღალ რისკს, ხანგრძლივად
გვიკრძალავენ სატელეფონო ზარებს, მაღაზიით
სარგებლობას, რის გასაჩივრებასაც ვერ



თუმის ციხეში იხდიან!“ — წერია 19 პატიმრის მიერ გამოგზავნილ წერილში.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მთელი ყურადღება „ვივამედის“ ვიპ პალატაში სასათბურე პირობებში განთავსებულ მსჯავრდებულ **სააკაშვილის** კაპრიზების დაკმაყოფილებაზეა გადართული, თუმცა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საკმაოდ მომრავლდნენ სააკაშვილზე გაცილებით უფრო მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პატიმრები, რომლებიც ამაოდ ითხოვენ მკურნალობას და ზრუნვას.

სახეზეა პატიმრების სეგრეგაცია და ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაზე მძიმე დანაშაულებისთვის დაპატიმრებული პატიმრებიც კი სააკაშვილის დანაშაულების ფონზე ყინწვისის ანგელოზებად გამოიყურებიან; **გაუმართლებელია, სახელმწიფო დამნაშავე სააკაშვილზე მეტად ზრუნავდეს, ვიდრე რომელიმე, ნებისმიერ პატიმარზე, რადგან საერთაშორისო სამართლის და საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, კანონის წინაშე** (ღმერთის წინაშეც) **ყველა ადამიანი თანასწორია და თანაბარ ყურადღებასა და ზრუნვას იმსახურებს!**

**მიჰყავთ უკიდურეს აღშფოთებამდე, შემდეგ აარქივებენ ვიდეომასალას, რათა ამის ფონზე გაამართლონ თავიანთი უკანონო ქმედებები იუსტიციის სამინისტროსთან!“**

პატიმრების წერილში ყოფით პრობლემებზეც არის საუბარი:

> ***„ციხის მაღაზიაში არის პროდუქციის სიმცირე და უხარისხობა. ვერც ამანათით ვიღებთ ჯანმრთელობისთვის აუცილებელ, ჯანსაღ პროდუქტებს. მაღაზიის ბარათებზე გვაქვს ლიმიტები და ამოწურვის შემთხვევაში პატიმრები სიგარეტსაც ვერ ვყიდულობთ. ერთმანეთისთვის და გაჭირვებული პატიმრებისთვის მიხმარების საშუალებაც არ გვეძლევა“.***

პატიმრები მოკლებულნი არიან დარღვევებზე რეაგირების მექანიზმებს, ხშირად საჩივრის დაწერის კანონიერი უფლებაც ეკრძალებათ. ამბობენ, რომ ოჯახის წევრებთან მათი სატელეფონო საუბრები ისმინება, **ხოლო, თუ სატელეფონო საუბარი საყოფაცხოვრებო პირობებს ან მოპყრობის თემას შეეხება, ზარს უცერემონიოდ უთიშავენ, ზოგჯერ ადმინისტრაციის თანამშრომლები პირდაპირ ხელიდან გლეჯენ პატიმარს ყურმილს, შემდეგ კი უწერენ საყვედურებს და ფიზიკურადაც უსწორდებიან!**

როგორც ადვოკატები ყვებიან, ასეთ პროცესს რამდენიმე თანამშრომელი ესწრება და 3 მოწმის ჩვენების საფუძველზე **(მოწმეები თავად ადმინისტრაციის თანამშრომლები არიან)** სხვადასხვა ოფიციალური ფორმით სჯიან ტუსაღებს. სინამდვილეში კი პატიმარი ისჯება იმ უფლების განხორციელების მცდელობისთვის, რომელიც მისი მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის ოჯახის წევრისთვის თუ სახალხო დამცველის ინსტიტუტისთვის მიწოდებაში მდგომარეობს. ადმინისტრაცია ყველა ლეგალური თუ არალეგალური მეთოდით წინ ეღობება პატიმრის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციების გაჟონვას.

**ბათუმის ციხის პატიმრების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციებს მეტნაკლებად ფლობენ მათი ადვოკატები, თუმცა, ისინი ამ ინფორმაციების გასაჯაროებას ერიდებიან, რადგან, თუ ინფორმაციის წყაროს დაასახელებენ, პატიმარს საფრთხეში ჩააგდებენ.**

პატიმართა უფლებები ბათუმის ციხეში მაშინაც ირღვევა, როდესაც ადმინისტრაცია მათ სასჯელებს სხვადასხვა მოგონილი მიზეზით და ცილისწამებით უზრდის. **ხშირად ადმინისტრაციის თანამშრომლები თავად პროვოცირებენ კონფლიქტურ გარემოებებს, შემდეგ კი კოლეგების ცრუ ჩვენების საფუძველზე, ისედაც ხანგრძლივი სასჯელით გაწამებულ პატიმარს, რომელიც მათ უკანონო მითითებას არ დაემორჩილა — ზედ ახალი სასჯელების ვადებს უმატებენ.**

> *„პენიტენციურ დაწესებულებებში ხშირად მტკიცებულებათა ფალსიფიკაციით ხანგრძლივ სასჯელებს უმატებენ პატიმრებს, სადაც ცრუმოწმეებიც და დაზარალებულებიც უმეტესად ერთი და იგივე თანამშრომლები არიან, რომლებიც უახლოეს წლებში თავად იყვნენ მოძალადეები. 378-ე მუხლზე არ ხდება ობიექტური გამოძიება, სასჯელის ზომები კი კატასტროფულია — ციხის თანამშრომლისთვის ხელის მოქნევაც კი 6-დან 8 წლამდე და 10-დან 12 წლამდე პატიმრობით ისჯება. აღნიშნული დანაშაულის პროვოცირება თუ იმიტაცია ხშირად ხდება იმ პირების მიმართაც, ვინც ფსიქიკურად ავადაა და ნაცვლად სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებისა, სასჯელს ბა-*

## ბოლოთქმის მაგიერ

**„სპეციალური პენიტენციური სამსახური“** თანამედროვე სახით 2018 წლის ივლისში ჩამოყალიბდა, როდესაც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო იუსტიციის სამინისტროს შეერწყა. ამჟამად, **„სპეციალური პენიტენციური სამსახური“**, რომელსაც გენერალური დირექტორი **ნიკა ცხვარაშვილი** ხელმძღვანელობს, სასჯელაღსრულების 18 დაწესებულებას აერთიანებს. უწყების მთავარი ხელმძღვანელი კი იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე** ბრძანდება, რომელიც შეიძლება კარგი იურისტია, მაგრამ დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც სასჯელაღსრულების მინისტრების — **სოზარ სუბარის, კახი კახიშვილისა და გიორგი მღებრიშვილის** მიერ რუდუნებით შექმნილი საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობის ტრადიცია მკვეთრად შეწყვიტა და გამჭვირვალე სისტემა საზოგადოებისთვის უცნობ, ბუნდოვან ინსტიტუტად გარდაქმნა.

ადვოკატები, უფლებადამცველები და პატიმართა ახლობლები ხშირად აღნიშნავენ, რომ **რატი ბრეგაძე, სასჯელაღსრულების ზემოთ დასახელებული მინისტრებისგან განსხვავებით,** ზარებს საერთოდ არ პასუხობს და საზოგადოების წარმომადგენელთა რჩევებს თუ შენიშვნებს არ ითვალისწინებს და შედეგმაც არ დააყოვნა!

> ბათუმის ციხის პატიმართა მამხილებელი წერილის შემდეგ **უკვე გასაკვირიც აღარ არის,** რომ იუსტიციის სამინისტრომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე **ფართოდ გაუღო კარი** სააკაშვილ-ადეიშვილის ღამის ნოტარიუს **ნუნუ ბინტურს, რომლის ამაზრზენი საქმიანობის შესახებაც არაერთხელ(!) წერდა გაზეთი „ასავალ-დასავალი“ და მინისტრს ბოროტმოქმედი ნოტარიუსისგან დაზარალებული ადამიანების პოზიციის შესმენისკენ დაჟინებით მოუწოდებდა!**

ინფორმაციის, მომხდარი ფაქტების უარყოფა იუსტიციის სამინისტროს უკვე ჩვეულებად ექცა, მაგრამ **ქართველი საზოგადოება არ დაუშვებს, იოლად დათმოს ის დიდი მონაპოვარი, რაც ბიძინა ივანიშვილის მიერ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დამარცხებაში გამოიხატა. ქართველი საზოგადოება არ დაუშვებს პენიტენციური სისტემის განმეორებით ნაციზაციას,** ამიტომ, ბატონო მინისტრო, პატივცემულო რატი ბრეგაძევ, ცოტა ფრთხილად მოეპყარით ხალხის დიად მონაპოვარს, სასწრაფოდ ალაგმეთ სასჯელაღსრულების თანამედროვე სისტემის თითქმის უკვე გაჯალათებული ზოგიერთი თანამშრომლის თვითნებობა და პენიტენციურ სისტემას გამჭვირვალე იერი დაუბრუნეთ, **ვინძლო, ხალხის რისხვა ამჯერად თქვენ არ წამოგეწიოთ!**

***ზაზა დავითაია***



# ნათია ჩხეტიანი:

# ყველა ნიშნით სახეზეა პენიტენციური სისტემის სისტემური კრიზისის დასაწყისი!

***ქუთაისის ციხის ხელმძღვანელობამ და თვით ომბუდსმენმაც კატეგორიულად უარყვეს ქუთაისის ციხეში მომხდარი მასობრივი თვითდაზიანება და შიმშილობის ფაქტები. მაშ, სად არის სიმართლე? ამ კითხვით მივმართეთ ქუთაისის ციხეზე არეულობის ამსახველი ინფორმაციის ერთ-ერთ პირველწყაროს, ადვოკატს და უფლებადამცველს ნათია ჩხეტიანს, რომელიც სასჯელაღსრულების ამ დაწესებულებაში მყოფი არაერთი მსჯავრდებულის უფლებებს იცავს და მის მიერ გავრცელებულ თავდაპირველ ვერსიას ისევ დაჟინებით ადასტურებს:***

— რა თქმა უნდა, ეგენი ყველაფერს უარყოფენ, სხვა რა დარჩენიათ?! იმით სარგებლობენ, რომ მე თავს უფლებას ვერ ვაძლევ, ამ ინფორმაციის ჩემთვის მომწოდებელი პატიმრების ვინაობა დავასახელო.

**— რა გიშლით ხელს?**

— იმ პატიმრებს მოსვენებას აღარ მისცემს ადმინისტრაცია, ყველა მეთოდით შეავიწროებს. ვისაც უნდა გაუკვირდეს — **ადმინისტრა-**

***გაგრძელება მე-6 გვერდზე***



*დასაწყისი მე-5 გვერდზე*



## ნათია ჩხეტიანი:

# ქუთაისის ციხეზე 50-ზე მეტმა მიიყენა თვითდაზიანება, თავები დაიჩეხეს! ხოლო შიმშილობა ამ რაოდენობაზე გაცილებით მეტმა დაიწყო!

**ციის მხრიდან პატიმართა ამგვარი შეწუხების პრაქტიკა ისევ არსებობს!** ამიტომაც პატიმრები ცდილობენ, ინფორმაცია იმგვარად გაიტანონ ხოლმე საზოგადოებაში, რომ ადმინისტრაციამ ეჭვი ვერ აიღოს, თუ რომელმა მსჯავრდებულმა მოიმოქმედა ეს. მაგრამ პრობლემის მთელი არსი იმაშია, რომ **ასეთი არეულობა და პატიმართა პროტესტი მარტო ქუთაისში არ დაფიქსირებულა.** ზუსტად ვიცი, რომ მასობრივ პროტესტს გამოხატავენ **ბათუმის ციხის პატიმრები და პატიმრების ოჯახების წევრებმა** შემატყობინეს, რომ **სასჯელაღსრულების ქსნის №10 დაწესებულებაშიც** დიდი უკმაყოფილებაა, რის გამოც პატიმართა ნაწილმა შიმშილობა გამოაცხადა!

პენიტენციურ სისტემაში მასობრივი უკმაყოფილებების ტალღა გასული კვირის დასაწყისში გავრცელდა. დიახ, მე გახლდით ერთ-ერთი პირველი, რომელმაც **ქუთაისის ციხეში** პატიმართა მასობრივი თვითდაზიანების და შიმშილობების შესახებ ინფორმაცია საზოგადოებამდე მივიტანე, მაგრამ ხომ ხედავთ ადმინისტრაციის დამოკიდებულებას? **როცა ეკითხებით — უარყოფენ, მაგრამ ჩემი სახელის ხსენება და იმის თქმა, რომ ტყუილებს ვავრცელებ — ვერავინ გაბედა!**

**იციან, რომ სიმართლეა, იციან, რომ შემიძლია, ადვოკატების ჯარი დავაყენო და მერე თვითდაზიანებულ და მოშიმშილე პატიმრებს შორის სხვა ადვოკატებიც რომ ამოიცნობენ თავიანთ კლიენტებს, მათი სიცრუის „მოკლე ფეხები“ უმალ გამოჩნდება! ამიტომაც ზედმეტი ხმაური აღარ აწყობთ!**

**— მოდით, დავაზუსტოთ — რა საშუალებით გამოხატეს პატიმრებმა უკმაყოფილება? რამდენი პატიმარი აცხადებს აქტიურ პროტესტს?**

— ვიმეორებ იმას, რაც თავიდან ვთქვი — **ქუთაისის ციხეზე 50-ზე მეტმა მიიყენა თვითდაზიანება, თავები დაიჩეხეს! ხოლო შიმშილობა ამ რაოდენობაზე გაცილებით მეტმა დაიწყო!**

**— ასეთი რა ხდება? პრობლემები უეცრად გაჩნდა თუ დიდხანს მწიფდებოდა?**

— სამედიცინო დახმარება თითქმის არ არსებობს! ავადმყოფი, მძიმე მდგომარეობაში მყოფი პატიმარი თუ ექიმს უხმობს, მის გოდებას ყურს არავინ ათხოვებს! პატიმრებზე ზემოქმედების მიზნით, ადმინისტრაცია სულ მცირე გადაცდომისთვისაც კი უკრძალავს ციხის მაღაზიით სარგებლობას. ამ დროს განსაკუთრებით გაუსაძლის მდგომარეობაში ვარდებიან მწეველი პატიმრები.

**მსჯავრდებულები ამბობენ, რომ ადგილი აქვს რეჟიმის დაბრუნების მცდელობას, რაც გამოიხატება ადმინისტრაციის თანამშრომელთა მხრიდან უხეშად მიმართვებში.**

**თითქმის არ მუშაობს პატიმრის ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი** — ადმინისტრაციის ეს მექანიზმი ეხება არა იმ კატეგორიის პატიმრებს, რომლებიც თავისუფლებას თავიანთი ყოფაქცევით იმსახურებენ, არამედ მათ, რომელთა გათავისუფლებაც თავად სურთ! ისე გამოდის, რომ დიციპლინური სასჯელის კი არა, თუნდაც შენიშვნის და საყვედურის პირად საქმეში საერთოდ არმქონე პატიმრებსაც ბოლო წუთის ჩათვლით უწევთ ხოლმე მათთვის მისჯილი სასჯელების მოხდა!

მაშ, საერთოდ რა საჭიროა ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტი?! **მე ვიცნობ ისეთ პატიმრებს, რომლებიც კარგად იქცევიან, ყველანაირი კრიტერიუმით იმსახურებენ ვადამდე გათავისუფლებას, მაგრამ, თურმე, ეს საკმარისი არ არის! თუ პატიმარს რომელიმე მაღალი თანამდებობის პირი არ ლობირებს, სასჯელის სრული ვადის უკანასკნელ წუთამდე მოუწევს ციხეში დარჩენა!**

ფაქტობრივად, არ მუშაობს პატიმართა ამნისტირების ინსტიტუტი. **თვით სააკაშვილის რეჟიმის დროს წელიწადში ხან ორჯერაც ხორციელდებოდა ამნისტია. რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მოვიდა, 12 წლის განმავლობაში პატიმრებს არ ღირსებიათ ნორმალური ამნისტია, რომელიც ციხეებს განტვირთავდა. არადა, ძალიან ბევრ პატიმარს თითქმის არაფრის გამო 10 და 15 წლები აქვთ მისჯილი!**

კორონაპანდემიის დროს ევროსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, ციხეში პანდემიის გავრცელების აღკვეთის მიზნით, სასჯელაღსრულების ადგილებიდან ხანდაზმული და დაავადებული პატიმრების მაქსიმალურად გათავისუფლების შესახებ, რაც საქართველოში საერთოდ არ გაითვალისწინეს და ამ მხრივაც მხოლოდ თავიანთი პროტეჟე პატიმრები გაათავისუფლეს! აბა, ერთი დადონ ანგარიში, რომელი და სულ რამდენი ქრონიკულად დაავადებული გაათავისუფლეს?!

ღია დაწესებულებაში მყოფ პატიმარს წელიწადში 3 ხანგრძლივი პაემანი აქვს; დახურულ დაწესებულებაში მყოფ პატიმარს კი წელიწადში მხოლოდ 2-ჯერ აქვს მეუღლესთან ხანგრძლივად შეხვედრის უფლება. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა.

**პატიმრების ოჯახები მიყოლებით ინგრევა. რატი ბრეგაძეს არაფერი დაუშავდება, თუ იმუშავებს პროექტზე, რომლის მიხედვითაც ყოველ პატიმარს თვეში ერთხელ მიეცემოდა მეუღლესთან 24-საათიანი ურთიერთობის შესაძლებლობა!**

ეს მნიშვნელოვნად დადებითად აისახებოდა პატიმრის რესოციალიზაციაზე!

**— სააკაშვილის პატიმრობა როგორ აისახა დანარჩენი პატიმრების განწყობაზე? პაემნები კი არა, მას ბევრი ისეთი რამ არ ეკრძალება, რაც ჩვეულებრივი პატიმრისთვის მიუღწეველია.**

— საზოგადოებამ შეიძლება არ იცის, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფება უამრავი ხანდაზმული პატიმარი; ასევე, უამრავი მძიმე და საწოლს მიჯაჭვული ისეთი პატიმარი, რომელთაც დამოუკიდებლად საპირფარეშომდე მისვლაც არ შეუძლიათ და ზოგი მათგანი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის! არადა, **აქტირებით პატიმრების გათავისუფლების მექანიზმიც თითქმის არ მუშაობს; პატიმრებს ეუბნებიან — ექსპერტიზა ჩაიტარეთ, მერე სასამართლოს მიმართეთ და სასჯელს გადაგივადებენო, მაგრამ რეალურად ისე ხდება, პატიმარი საკაცითაც რომ მიიყვანონ ექსპერტიზის ჩასატარებლად, სასჯელის გადადებას მაინც ვერ ეღირსება!**

ამ დროს ხელისუფლება და, კონკრეტულად,

**იუსტიციის სამინისტრო ახდენს პატიმრების სეგრეგაციას; მთელი აქცენტი გადატანილია „ვივამედის“ ვიპ პალატაში მოთავსებული მიხეილ სააკაშვილის მიმართ და ეს არის სახელმწიფოს მხრიდან გაუგონარი უსამართლობა სააკაშვილთან შეუდარებლად მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტი მსჯავრდებულების მიმართ!**

ისინი არ უნდა იყვნენ დისკრიმინაციის მდგომარეობაში, რადგან ყველა ადამიანი თანაბარია! რეალურად, **მძიმედ სნეული პატიმრები უკიდურესად ლიზიანდებიან, როდესაც სასათბურე პირობებში მოთავსებული სააკაშვილის მიმართ სახელმწიფოს ამდენ დათმობას ხედავენ!** თუ სააკაშვილი მართლაც ავად არის და ამიტომ იმყოფება საავადმყოფოში, მაშინ დაე, საავადმყოფოში მოათავსონ უფრო მძიმედ მყოფი ავადმყოფი სხვა პატიმრებიც!

**— გუშინდელის მერე (ინტერვიუ 12 სექტემბერს არის ჩაწერილი — ზ.დ.) ხომ არ დაცხრა პატიმრების პროტესტი?**

— ოღონდ ფართო საზოგადოებამდე არ მივიდეს ინფორმაცია და ადმინისტრაცია ცდილობს, პატიმრები დაამშვიდოს. გუშინაც ჰქონდა ეს მცდელობა. **პატიმრებს დაჰპირდნენ, რომ, თუ დაშოშმინდებიან, მათი მოთხოვნების დიდი ნაწილი შესრულდება. მაგრამ ამ მოთხოვნებს კონკრეტული ციხის ადმინისტრაცია ვერ შესწვდება, კეთილი ნების შემთხვევაში, იუსტიციის სამინისტროს უმაღლესი თანამდებობის პირებმა უნდა დაიწყონ მოგვარების მცდელობა.** თანაც, ადმინისტრაციები დიდი ხნის გან-



## „მძიმე მდგომარეობაში მყოფი პატიმარი თუ ექიმს უხმობს, მის გოდებას ყურს არავინ ათხოვებს!“

# „ამ სლოგანების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში დაძაბულობა გაიზრდება და შეიძლება, უმართავი სახეც მიიღოს!“

მავლობაში უმიზეზოდ სჯიდნენ იმ პატიმრებს, რომლებიც კანონიერ და სამართლიან შენიშვნებს გამოთქვამდნენ. ასეთებს „კრიტავდნენ“ (**„გაკრიტვა“** — დახურული ტიპის დაწესებულებაში პატიმრის გამოკეტვა), ზოგს ცილისწამებით და ცრუმოწმე თანამშრომლების ჩვენებებით სასჯელები დაუმატეს.

**— როგორ მიგაჩნიათ, კონკრეტულ ციხეებში სპონტანურად წარმოქმნილ კონკრეტულ პრობლემებთან გვაქვს საქმე თუ სისტემურ კრიზისთან?**

— რომელიმე ციხე აქ არაფერ შუაშია. **ყველა ნიშნით სახეზეა პენიტენციური სისტემის სისტემური კრიზისის დასაწყისი.**

**„ოცნებამ“ აიშვა და ნელ-ნელა ნაციონალურ მოძრაობას ემსგავსება. მალე შეიძლება ის ჟამი დაბრუნდეს, როცა ციხეს პოლიციური რეჟიმი მართავდა,**

**შესაბამისად, პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობა, რაც ამ მომენტში იკვეთება,** მალე შეიძლება გაუსაძლის ფიზიკურ ზემოქმედებაში და წამებაში გადაიზარდოს. ადმინისტრაციას პატიმრებთან სალაპარაკო რესურსი ამოეწურა და ცდილობს, ციხე მის ხელთ არსებული ძალადობის მეთოდებით მართოს.

**— გამორიცხავთ, რომ საქართველოს ციხეებში ე.წ. „სექტემბრის მასობრივი უკმაყოფილება“ ნაცებისგან იყოს პროვოცირებული?**

— ამ ეტაპზე ეს გამორიცხულია. ნაცებს, რა თქმა უნდა, დიდი სურვილი აქვთ, „ოცნება“ იმავე მოედანზე (ციხის თემით) დაამარცხონ, სადაც თავად იგემეს მათგან მარცხი, მაგრამ ამ ეტაპზე ხელი არ მიუწვდებათ, პატიმრების უკმაყოფილება მართონ.

**— არ გიცდიათ, იუსტიციის მინისტრის რატი ბრეგაძის ან პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელის ნიკა ცხვარაშვილის ნომერი აგეკრიფათ და სისტემაში დაგროვებული პრობლემების შესახებ მოგეთხროთ?**

— **ისინი ჩვენს ზარებს არ პასუხობენ!** საზოგადოებასთან კონტაქტი გაწყვეტილი აქვთ. სასწაული რომც მოხდეს და მოგვისმინონ, არ მჯერა, რომ მიღებულ ინფორმაციას შეისწავლიან და პრობლემის გამოსწორებას შეუდგებიან. **მოსმენას ვინ ჩივის? რომელმა პატიმარმაც ადმინისტრაციასთან სამართლებრივი დავა დაიწყო, ყველას ჩააცივდნენ, მოგებული სარჩელები უსაჩივრეს და სასჯელის ვადებიც ბოლომდე მოახდევინეს.** ამგვარად, პატიმარს აჩვენებენ, რომ თუნდაც კანონიერი საშუალებებით სისტემასთან დაპირისპირებას არ აპატიებენ!

**ნებისმიერი პატიმარი, რომელიც სისტემას კანონის ფარგლებში დაუპირისპირდება – ვერც ვადამდე თავისუფლებას, ვერც ამნისტიას ვერ ეღირსება. ეს ხომ, თავის მხრივ, ზეწოლის ფორმაა!**

**— რა გამოსავალს ხედავთ?**

— სისტემა უნდა შეიცვალოს! **მანამდე კი, თუ ხელისუფლებას არ სურს, ციხეებში მასობრივი უკმაყოფილება და ბუნტი მიიღოს, უახლოეს მომავალში სასწრაფოდ დააკმაყოფილოს პატიმრების ყოველი კანონიერი მოთხოვნა და საფუძვლიანი საჩივარი! პატიმრებს სამართლის პოვნის იმედი დაუბრუნონ!**

სამედიცინო მომსახურება, ვადამდე გათავისუფლების მექანიზმები, ნორმალური ადამიანური მოპყრობა და თუნდაც ციხის მაღაზიით სარგებლობის უფლება მარტო გამორჩეულებს კი არა, უკლებლივ ყველა პატიმარს უნდა შეეხოს!

**— გაძლევთ საშუალებას, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან სლოგანებით მიმართოთ იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძეს.**

## – ბატონო რატი!

**1.** ვინც კანონის ფარგლებში იმსახურებს, უკლებლივ ყველა რესოციალიზაციისკენ და გამოსწორებისკენ მიდრეკილ პატიმარს შეახეთ ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი! თითოეული იმ პატიმრის პირადი საქმე (თუნდაც, ვინაობის სრულად დასახელების გარეშე), ვისაც ვადამდე გათავისუფლების მექანიზმს ახებთ — საზოგადოებისთვის იყოს გამჭვირვალე!

**2. ხელისუფლების სხვა შტოებთან, კონკრეტულად, პარლამენტთან ერთად, დაუყოვნებლივ დაიწყეთ მუშაობა საყოველთაო ამნისტიის მასშტაბურ პროექტზე!**

**3. დაუყოვნებლივ განაახლეთ** პატიმრებისთვის, განსაკუთრებით, ქრონიკულად ავადმყოფებისთვის მაღალი დონის იმგვარი სამედიცინო მომსახურება, როგორიც იყო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველ ხანებში!

**4. დაუყოვნებლივ შეწყდეს** პატიმრების დაყოფა და სააკაშვილის ჩათვლით, ყველა ავადმყოფმა პატიმარმა მიიღოს ისეთი სამედიცინო მომსახურება, რომელიც მას კონკრეტულად იმ მომენტისთვის ესაჭიროება!

**5. ხელისუფლება და ციხის ადმინისტრაციები პატიმარს ნუ ესაუბრებიან იძულების მეთოდებით!** აკი, ოცნების ხელისუფლების პირველ წლებში პატიმრებთან ადამიანურმა დამოკიდებულებამ თავისი პოზიტიური შედეგები გამოიღო!

ამ სლოგანების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში დაძაბულობა გაიზრდება და შეიძლება, უმართავი სახეც მიიღოს!

*ესაუბრა* **ზაზა დავითაია**



# სასაცილოა, რომ ღარიბაშვილის მამის 34 ათასი ევრო უკვირს იმ ხალხს, ვისაც სააკაშვილის დედის მილიონები არ აკვირვებს!

**ელიზბარ ჯაველიძე:**

***საქართველოში, ცოტა არ იყოს, უჩვეულო და უცნაური პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, როცა დღის წესრიგში ერთდროულად დგას ორი უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირის იმპიჩმენტის საკითხი — „ქართული ოცნება“ პრეზიდენტ ზურაბიშვილის იმპიჩმენტს გეგმავს, ნაცოპოზიცია კი პრემიერ ღარიბაშვილის იმპიჩმენტით იმუქრება! სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი საქართველოს განათლების ყოფილ მინისტრთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ ელიზბარ ჯაველიძესთან:***



**„ნაციონალები და მთელი მათი შლეიფი ოპოზიცია კი არა, საქართველოს გამოკვეთილი მტრები არიან!“**



ნიკუშა წერეთელი

— სრულებითაც არ მიკვირს, რომ **სალომე ზურაბიშვილმა** აიწყვიტა და ასე ღიად მოქმედებს არამხოლოდ „ქართული ოცნების“, არამედ საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ! ჯერ კიდევ მაშინ, როცა პრეზიდენტობის კანდიდატად დააყენეს, ხმამაღლა ვთქვი და თქვენს გაზეთშიც დავწერე, რომ მისი არჩევა არ შეიძლებოდა, რადგან ეს არის ყოვლად უზნეო და ამორალური ქალი, რომელიც ყველანაირ სისაძაგლეს იკადრებს!

ახლა ზოგს ისიც უკვირს — ზურაბიშვილმა პოზიცია შეიცვალა და ნაცების მოკავშირე გახდაო... სინამდვილეში ამ ქალს არანაირი პოზიცია და პრინციპები არ გააჩნია, მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს და იმაზე ზრუნავს, რომ შვილებს ევროპაში კარიერა გაუკეთოს!

**— ზურაბიშვილის იმპიჩმენტის საპირწონედ ოპოზიცია პრემიერ ღარიბაშვილის იმპიჩმენტზე საუბრობს!**

— ნაციონალები და მთელი მათი შლეიფი — **ხოშტარიები, ჯაფარიძეები, ვაშაძეები, ხაზარაძეები და სხვები,** ოპოზიცია კი არა, საქართველოს გამოკვეთილი მტრები არიან! ეს არის გასამეტებელი ხალხი, რომელიც დანდობას არ იმსახურებს და ხელისუფლებას სწორედ იმაში ვადანაშაულებ, რომ ეს ნაგავი ქართული პოლიტიკიდან არ გაიტანა! იგივე **ხაზარაძე,** რომელსაც ჯგუფური თაღლითობის ჩადენა და მილიონობით დოლარის გათეთრება დაუმტკიცდა, ციხეში რატომ არ ჩასვეს?! **ეს უთოფო ყაჩაღი, რომელმაც ნახევარი საქართველო ცოცხლად გაატყავა, დღეს პოლიტიკაში კი არა, ვირის აბანოში უნდა იყოს!**

რაც შეეხება ღარიბაშვილის იმპიჩმენტს, ეს ყვავ-ყორნები პრემიერს იმიტომ ესევიან, რომ გამოკვეთილად ეროვნული და პატრიოტი კაცია, რომელსაც სამშობლო უყვარს! ზურაბიშვილის იმპიჩმენტის საკითხი იმიტომ დადგა, რომ საქართველოს კონსტიტუცია დაარღვია, ღარიბაშვილს კი არც კონსტიტუცია დაურღვევია და არც რომელიმე კანონი — **საკუთა-**

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*



**„ჩემზე უკეთ არავინ იცის, რა ქონება და შეძლება ჰქონდათ მის წინაპრებს, რადგან გიულის ბაბუა — ნიკუშა წერეთელი დედაჩემის ძმა იყო, რომელიც ბიძებს შორის ყველაზე მეტად მიყვარდა. იგი გადასახლებიდან ჩამოვიდა, კაპიკი არ ებადა, ჭიათურაში იურისტად მუშაობდა და სად ჰქონდა იმის საშუალება, შვილებისა და შვილიშვილებისათვის ათასობით ჰექტარი მიწა და მილიონების ღირებულების უძრავი ქონება დაეტოვებინა?!“**

# ელიზბარ ჯაველიძე:

# პირდაპირ ასე დაწერეთ – თუ ქართველი ხალხი ნაცბანდის ხელისუფლებაში დაბრუნებას დაუშვებს, პირადად მე იარაღს ავიღებ ხელში და ტყვიით დავუპირისპირდები მაგ გარეწრებს!

დასაწყისი მე-7 გვერდზე

რი ფულით, ოჯახის ფინანსებით გაემგზავრა უცხოეთში!

**ანდა, ვინ გაჰყვირის დღეს ღარიბაშვილის ჩარტერულ რეისზე? ის ხალხი, რომელსაც ხმა არ ამოუღია, როცა სააკაშვილი სახელმწიფო ბიუჯეტის ფულით მსოფლიოს ძვირადღირებულ სპა-კურორტებზე დაეთრეოდა, ცოლ-შვილის დასვენებაზეც ბიუჯეტის თანხებს ხარჯავდა და, ბოდიში მომითხოვია, ბოზებშიც სახელმწიფოს ფულით გრიალებდა!**

აგერ, ახლაც გამოაშკარავდა, რომ **მარტო თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან 14 მილიონი დაუხარჯავს პირად ვიზიტებსა და ჩარტერულ ფრენებში!**

**— თუმცა, საზოგადოებაში კითხვა გაჩნდა: ხელისუფლება მხოლოდ ახლა — 11 წლის შემდეგ რომ საუბრობს სააკაშვილის პირად ვიზიტებზე დახარჯული 14 მილიონის შესახებ, აქამდე სად იყო და რატომ არ გამოიძია ეს საქმე?**

— რა თქმა უნდა, საზოგადოებას უფლება აქვს, ეს კითხვები დასვას და მართალიც არის, მაგრამ ერთი რამ ნუ დაგვავიწყდება — ბიძინა ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, დღესაც სააკაშვილი იქნებოდა ხელისუფლებაში და საქართველო დაიღუპებოდა! ისიც გავითვალისწინოთ, საქართველოს ახალ ხელისუფლებაზე რამხელა ზეწოლა იყო დასავლეთიდან, რომ სააკაშვილი არ დაესაჯათ და ნაციონალებთან კოჰაბიტაციაში შესულიყვნენ! ახლაც გველის სისინივით ჩამესმის ყურში 2013 წელს პარლამენტის თავმჯდომარე **უსუფაშვილის** მიერ გაკეთებული განცხადება — **ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა ქართული დემოკრატიის მთავარი ამოცანა არისო!**

შესაძლოა, **ღარიბაშვილმა** შეცდომა დაუშვა, როცა ევროპაში ჩარტერული რეისით გაფრინდა და ოპოზიციად წოდებულ საქართველოს მტრებს სალაპარაკო მისცა, მაგრამ იმ ხალხს, ვისაც სააკაშვილის სისხლიან დანაშაულებზე კრინტი არასოდეს დაუძრავს, ამაზე საუბრის უფლება არა აქვს!

**— ზოგიერთები იმაზე ქილიკობენ, რომ ჩარტერული რეისის დაქირავების თანხა — 34 ათასი ევრო — პრემიერ ღარიბაშვილს მამამ ტარიელ ღარიბაშვილმა გადაუხადა!**

**— სასაცილოა, რომ ღარიბაშვილის მამის 34 ათასი ევრო უკვირს იმ ხალხს, ვისაც სააკაშვილის დედის მილიონები არ აკვირვებს!**

მთავარი განსხვავება მაინც ის არის, რომ ღარიბაშვილის მამამ თავის ფულით შვილსა და შვილიშვილს ჩარტერული რეისი დაუქირავა, სააკაშვილის დედა კი ხალხისთვის მოპარული მილიონებით ლობისტებს ქირაობს საქართველოსათვის სანქციების დასაწესებლად!



„ბიძინა ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, დღესაც სააკაშვილი იქნებოდა ხელისუფლებაში და საქართველო დაიღუპებოდა!“

**მე ვიცნობ ღარიბაშვილის მამას, უწესიერესი კაცია, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა და ახლაც აქვს თავისი საქმე, წარმოება, შემოსავალი... რადგან პრემიერ-მინისტრის მამაა, უფლება არა აქვს, შემოსავალი ჰქონდეს? მაინცდამაინც უქონელი უნდა იყოს?**

**— სააკაშვილის დედასა და თქვენს ნათესავს — გიული ალასანიასაც ხომ აქვს უფლება, შემოსავალი ჰქონდეს და ლობისტების დასაქირავებლად მილიონები დახარჯოს?**

— საქმე ის არის, რომ **გიული ალასანია** უტიფრად ცრუობს — ქონება წინაპრებმა დამიტოვესო! არადა, ჩემზე უკეთ არავინ იცის, რა ქონება და შეძლება ჰქონდათ მის წინაპრებს, რადგან გიულის ბაბუა — **ნიკუშა წერეთელი** დედაჩემის ძმა იყო, რომელიც ბიძებს შორის ყველაზე მეტად მიყვარდა. იგი გადასახლებიდან ჩამოვიდა, კაპიკი არ ებადა, ჭიათურაში იურისტად მუშაობდა და სად ჰქონდა იმის საშუალება, შვილებისა და შვილიშვილებისათვის ათასობით ჰექტარი მიწა და მილიონების ღირებულების უძრავი ქონება დაეტოვებინა?!

**— პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი ოპოზიციის რისხვისა და ბრალდებების სამიზნედ იქცა იმის გამოც,**

## „ხელისუფლებას სწორედ იმაში ვადანაშაულებ, რომ ეს ნაგავი ქართული პოლიტიკიდან არ გაიტანა!“



**რომ თბილისში ჩამოსულ ევროკავშირის მაღალჩინოსანს — ჟოზეფ ბორელს ენის მოჩლექით არ ელაპარაკა და თავჩაღუნული არ დახვდა! თქვენ როგორ აფასებთ ბორელის ვიზიტსა და საქართველოს მთავრობის მეთაურის დახვედრას?**

— ძალიან მესიამოვნა, რომ ღარიბაშვილი **ბორელს** ვასალივით კი არა, სუვერენული ქვეყნის ლიდერივით დახვდა და ქართველი ხალხის დიდი ნაწილის სათქმელიც პირდაპირ უთხრა!

საერთოდ, დღევანდელი ქართველი პოლიტიკოსებისა და ინტელიგენციის ნაწილი, რომელიც შევარდნაძის წიაღიდან მოდის, პროვინციული აზროვნებით გამოირჩევა — **აუჰ, ევროპელმა ასე თქვა, უცხოელმა ისე გვითხრაო...**

**კი მაგრამ, რა თქვა ევროპელმა თუ ამერიკელმა ისეთი, რაც რუსთაველს, გურამიშვილს, ვაჟა-ფშაველას არ უთქვამთ?!**

მაგრამ უბედურება სწორედ ის არის, რომ ამ უწიგნურებს, „ევროპა-ევროპას“ რომ გაიძახიან, წარმოდგენა არა აქვთ, რა არის ნამდვილი ევროპა, არცერთს წაუკითხავს არც დანტე, არც გოეთე, არც ნიცშე, არც კანტი, არც ჰეგელი, არც ჰესე და არავინ... **მხოლოდ კუბილიუსი, ფოტიგა და ბორელი იციან!**

და კიდევ, **როცა ე.წ. დეპოლარიზაციისა და რაღაც საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებისაკენ მოგვიწოდებენ, უნდა იცოდნენ, რომ ეს შეუძლებელია, რადგან**

**საქართველო მკაფიოდ არის გაყოფილი სამშობლოს მოყვარულებად და სამშობლოს მტრებად, ქართველი ხალხი კი სამშობლოს მტრებთან – ნაცებთან და მათ ამქართან – ვერასოდეს გაერთიანდება!**

**— ჰოდა, პოლარიზაციას თუ არ აღმოფხვრით, კანდიდატის სტატუსსაც არ მოგცემთო! — გვეუბნებიან... ოპოზიციაც კბილებს ილესავს — თუ სტატუსს არ მოგვცემენ, „რუსეთუმე ხელისუფლებას“ დავამხობთო! როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?**

— ეს ე.წ. კანდიდატის სტატუსი არაფერს ნიშნავს და არაფრის მომცემია, რისი მაგალითიც, თუნდაც, ჩვენი მეზობელი თურქეთი გახლავთ, რომელიც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ჯერ კიდევ 1999 წელს გახდა, მაგრამ დღემდე არ გაუწევრიანებიათ!

დიდი სისულელე და, ამავდროულად, დიდი მზაკვრობაა, რასაც ნაციონალები და მათი ევროპელი მოკავშირეები აცხადებენ — ქართველ ხალხს ევროპაში უნდა, ხელისუფლება კი დასავლურ კურსს ეწინააღმდეგებაო! კი მაგრამ, სწორედ ამ ხელისუფლებამ არ შეიტანა ჩანაწერი კონსტიტუციაში საქართველოს პროდასავლური კურსის ურყეობის შესახებ? ამ ხელისუფლების პირობებში არ მივიღეთ ევროპასთან უვიზო მიმოსვლა და თავისუფალი ვაჭრობა?

მოკლედ, **საქართველოს მტრებს, თავიანთ თავს ოპოზიციას რომ ეძახიან, არაფერი გამოუვათ, რადგან ქართველ ხალხს დასანახად ეზიზღება და არასოდეს დაუშვებს ხელისუფლებაში მათ დაბრუნებას!**

და თუ ქართველი ხალხი ნაცბანდის ხელისუფლებაში დაბრუნებას დაუშვებს, **პირადად მე იარაღს ავიღებ ხელში და ტყვიით დავუპირისპირდები მაგ გარეწრებს! პირდაპირ ასე დაწერეთ, სიტყვა არ შემიცვალოთ — იარაღს ავიღებ და ტყვიით დავუპირისპირდები!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

**„ხაზარაძე, რომელსაც ჯგუფური თაღლითობის ჩადენა და მილიონობით დოლარის გათეთრება დაუმტკიცდა, ციხეში რატომ არ ჩასვეს?! ეს უთოფო ყაჩაღი, რომელმაც ნახევარი საქართველო ცოცხლად გაატყავა, დღეს პოლიტიკაში კი არა, ვირის აბანოში უნდა იყოს!“**

## კვირგვინოსნები

**რევაზ ჯაველიძე**
*მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი*



პრემიერ-მინისტრს **კერძო ვიზიტის დროს არასდროს უმგზავრია და არც მომავალში აპირებს, რომ სახელმწიფოს ხარჯზე იმგზავროს.**

„ახალი თაობა“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



თავდაცვის სამინისტროსა და Georgian Airways შორის დადებული ხელშეკრულება უმსგავსობის მწვერვალია — **14 მილიონი დაიხარჯა მიხეილ სააკაშვილის პირად ფრენებზე.**

„იმედინიუსი“

**თამაზ გაიაშვილი**
*„საქართველოს ავიახაზების“ წარმომადგენელი*



პრეზიდენტობის დროს **სააკაშვილის ყველა ფრენა დაფინანსებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან,** რასაკვირველია.

„TV იმედი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ექსპერტი*



ხელისუფლებას ეშინია, **ზურაბიშვილმა** ხვალ-ზეგ პოლიტიკაში დარჩენა რომ მოინდომოს, **შეიძლება გახდეს მესამე ძალის ლიდერი,** რომელსაც დასავლეთის სრული მხარდაჭერა ექნება.

„კვირის პალიტრა“

**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტარი*



არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადგილი აქვს **სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დიდ შეთანხმებას** კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფებსა და **სალომე ზურაბიშვილს** შორის.

„იმედინიუსი“



# გიორგი მამაცაშვილი

# ნაც გინახავთ, ველარ ნახავთ!

***დღეს ზოგს ევროპაში უნდა.***
***ზოგს — საბჭოთა კავშირში.***
***ზოგს ამერიკისკენ გაურბის თვალი.***
***მახსოვს, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ზოგს (!) წითელი ხიდისკენ წაუცდა ფეხი.***
***ასეა.***
***ადრე თუ გვიან, ოცნებები ხდება.***

შეიწყალა.

ჰო, ზურაბიშვილისაგან ასევე შეწყალებულ და წყალწაღებულ და თავის დროზე თაღლითობისთვის გასამართლებულ **უგულავასაც უნდოდა, არაფრისმაქნის პოლიტიკოსად ქცეულიყო და თვალების მისეულ დაბრიალებას თუ არ ჩავთვლით, იქცა კიდეც არაფრისმაქნის მასხარად.**

**ბოკერიასაც უნდოდა, ჩერგოს ბიჭად ქცეულიყო და...**

პარტია, ფაქტიურად, დაშლილებში ჩააბარეს და კი არიან ახლაც ტკბილად.

მართალს ბრძანებთ!

— არც არაფერმა...

ეჰ, სად იყო მაშინ ჭუტავიზია?!

ან შაბათის რვასაათიანი „უჟასები" „მძაფრსიუჟეტიანი" მუსიკის თანხლებით?!

ყოფილი პრემიერის ცოლის მსგავსად, ყოფილი მერის ცოლის ისტორიებიც დავიწყებას მისცეს, თითქოს ხალხსაც ბნედა დაემართა და ყველაფერი დაავიწყდა...

ოცნებების ახდენაზე ვსაუბრობთ და არ დაგავიწყდეთ — **ხაბეიშვილსაც უნდოდა ნაცმოს ლიდერობა და აუხდა კიდეც.**

უბრალოდ, ბონუსად — მასაც კეზერაშვილის ხელისბიჭობა შერჩა მხოლოდ და მხოლოდ.

„ლიაკას", იგივე ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი დამამხობლის, გოგი ხოშ-



**ჩემი ძმაკაცის ახლობელს უკრაინის ფრონტზე უნდოდა წასვლა.**

წავიდა კიდეც და, მადლობა ღმერთს, ცოცხალი და საღ-სალამათი დაბრუნდა.

მართალია, დასტრესილი და ფსიქოლოგიურად განადგურებული, მაგრამ მაინც ცოცხალი დაუბრუნდა ოჯახსა და პატარა შვილებს.

**სალომეს გერმანიაში უნდოდა წასვლა და კონსტიტუციაც ფეხზე დაიკიდა, ისე წავიდა.**

ოცნებად ჰქონდა, სულელური ნაბიჯი გადაედგა და გადადგა კიდეც.

არაფერს არ შეუშლია მისთვის ხელი.

წითლიძისა და სამადაშვილის მადლმა, სულელური ნაბიჯის გადადგმა გაუჭირდებოდა.

აკი, **სააკაშვილსაც უნდოდა საქართველოში შემოსვლა და მასხრად ქცევა.**

**მოახტა არაჟნებიან სატვირთოს და აიხდინა ოცნება.**

მერე რა, რომ სულელია.

უნდოდა მასხარად ქცევა და იქცა კიდეც...

**გვარამიასაც უნდოდა, განსხვავებული ყოფილიყო და არის კიდეც.**

თან ისეთი, რომ...

მტრისას...

უნდოდა და უკანასკნელი სიტყვებით ამკობდა პრეზიდენტ ზურაბიშვილს.

ალბათ, **პრეზიდენტ ზურაბიშვილსაც უნდოდა და შეიფერა მის მიერ ნათქვამი ყველა უწმაწურობა და რაც გვარამიას უნდოდა, აუხდინა.**

თან ისე, რომ ყველასგან დაცინვის ობიექტად ქცეული სააკაშვილიც კი დასცინის.

**გივი თარგამაძეს, ალბათ უნდოდა, მაგრამ რა — არ ვიცით.**

არც თვითონ იცის, მაგრამ მთავარია, გადარჩა მისი მანქანის აფეთქებისას და რაც უნდოდა, დაიჯერა.

დაიჯერა, რომ სააკაშვილია მისთვის ერთადერთი მხსნელი და გადამრჩენელი.

მერე რა, რომ ბოროტი ენები სწორედ სააკაშვილის სახელს უკავშირებდნენ მისი მანქანის აფეთქებას.

დაიჯერა, თორემ... რავი, სიმართლეა?!.

**მერაბიშვილსაც უნდოდა, გამიჯვნოდა სააკაშვილს და, უბრალოდ, კეზერაშვილი შერჩა ხელთ...**

ჰო, მერაბიშვილზე გამახსენდა...

**იმ „ბედნიერ" წლებში უნდოდა მერაბიშვილს და საკუთარი ცოლის დაბადების დღე საკმაოდ პომპეზურად გადაიხადა კიდეც.**

რაც სახელმწიფოს ბიუჯეტს (!) 19600 ლარი დაუჯდა.

მოქმედი პრემიერის მეუღლეზე რომ საუბრობენ და ყოფილი პრემიერის ცოლი ავიწყდებათ, მიყვარს ისეთი ხალხი...

ახლა, მერაბიშვილის ცოლზე უგულავას ცოლიც გამახსენდა.

დიახ, **უგულავასაც უნდოდა ასევე საკუთარი ცოლისთვის პლასტიკური ოპერაციის გაკეთება სახელმწიფოს ხარჯზე და როგორ გახსოვთ, ძვირფასო მკითხველო, შეუშალა რამემ ხელი?**

ტარიას ასულს და **იაგო ხვიჩიასაც უნდოდათ პოლიტიკაში ყოფნა მხოლოდ ყოფნისთვის და კი არიან.**

არიან რა, იგულისხმებიან...

**გირჩელ ზურაბასაც და მის თანამეინახეებსაც უნდოდათ უკანალის ჩვენება ოკუპანტებისთვის და აჩვენეს კიდეც.**

მერე რა, რომ შარვლის აწევა დაავიწყდათ.

მთავარია, რაც უნდოდათ, აიხდინეს.

**შალვასაც უნდოდა, გუგავა მისული ყოფილიყო ყველგან და, ფაქტიურად, მიდის კიდეც.**

**„ფაქტიურადაა"** სწორი ფორმა ამ შემთხვევაში თუ **„ფაქტობრივად"**, არა აქვს მნიშვნელობა.

მთავარია, **გუგავა** მოვა...

ქართველ ხალხს რომ აგინებდა, აი, იმ ბინძური ჩანაწერების გამოქვეყნების მერე, მალევე, **თემურ ალასანიასაც უნდოდა, გამწარებული ხალხისგან კუთვნილ ალიყურს გადარჩენილიყო და ისე გაქრა ქვეყნიდან, როგორც თუთაშხია გრაფი სეგედის თვალთახედვიდან თავის დროზე...**

**დავით ბაქრაძესაც უნდოდა, ერთპროცენტიანი პარტიის თვრამეტპროცენტიანი ლიდერი ყოფილიყო ენდიაის კვლევებით და იყო კიდეც.**

უბრალოდ, ამ ჩვენს თვრამეტიანს ბოლომდე არ გაუმართლა და ჩერგოს გიგას პარტიაშიც აღარ დაედგომებოდა და სად არის ახლა, მისი თავმჯდომარეობის დროინდელი პარლამენტის თვრამეტმა პროცენტმაც არ იცის...

**კობა ნაყოფიასაც უნდოდა რუსეთის მოქალაქეობა და არც 2008 წლის ომს შეუშლია მისთვის ამაში ხელი და არც რუსეთის ოკუპანტობას.**

**გრიშა ვაშაძესაც უნდოდა ქართველი პოლიციელისთვის თავში ხელის ჩარტყმა და ჩაარტყა კიდეც.**

პასუხიც არ მოუთხოვია არავის და კი არის დღესაც ისევ „რუსული კულტურის ნაწილი", როგორც 2008 წლის ომის შემდეგ ტრაბახობდა.

რამდენიმე **პირჩელსაც** მოუნდა გაღადავება და ირაკლი ღარიბაშვილის მამას — **„გვიშვილეო", — ანი წითლიძის** პომადით გაზავებული ცრემლებით მოხატული ტრანსპარანტები გაუშალეს და კი გასცა **სულიკო კედელაშვილმა** თავისებური პასუხი — **ჯერ დედები „გაიმეტეთ" და მერეო...**

ჰო, **ბორელსაც** უნდოდა.

უნდოდა რა.

**ეგონა, რომ უნდოდა, მაგრამ პრემიერის მკვეთრმა და პირში მიხლილმა სიმართლემ მონდომება გაუქრო.**

მონდომება იმისა, რომ პროფესორად წარმოეჩინა თავი და საქართველო დასჯილი სტუდენტივით „ქოისმინა"-თი გაეშვა ლექციიდან.

პირიქით კი გამოვიდა.

ღარიბაშვილის მიერ ნათქვამ სიმართლეს მხოლოდ სახეზე მიყინული ღიმილით შეხვდა.

აი, ღარიბაშვილმა კი ზუსტად ის და იმ ფორმით უთხრა **მისტერ ბორელს,** როგორც მის უდიდებულესობას ქართველ ხალხს უნდოდა!

ჰო, მართლა...

**სააკაშვილსაც უნდოდა, არავის გაეგო და საიდუმლო ხელშეკრულება გააფორმა თავისივე ჯიბის თავდაცვის სამინისტროსთან და ზედმეტად შინაურებისთვის და საყვარლების ვოიაჟებისთვის 14 მილიონი ჰქონდა გამოყოფილი. თან ისე, როგორც მერაბიშვილს ჰქონდა ენა გამოყოფილი ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე.**

მაგრამ „არა არს დაფარული, რომელიც არ გაცხადდეს"...

ე.წ. **კვესიტაძესაც უნდოდა, პრემიერის შვილის გაკილვით და წითელი ხაზების გადაკვეთით გვარამიას დამსგავსებოდა, მაგრამ IQ-მ უღალატა და მხოლოდ უტიაშვილის უტრირებულ ნახევრად დარჩა.**

ისევე, როგორც **ბაბუნიას მოუნდა ცოდვების მონანიება და პირდაპირ ეთერში აღიარა, აღარ ვართ კეზერაშვილის ფულს დახამებული და ანგაჟირებული ხელისბიჭები და ახლა თავისუფლებით ტკბობას ვიწყებთო...**

დაავიწყდა, რომ „თავისუფლება ლომთა ხვედრია" და არა მედროვე ეგრეთ წოდებულებისა...

მოკლედ, **ძალიან ბევრს უნდოდა და რაც უნდოდა, მიიღო კიდეც.**

კი, ნამდვილად კიდევ ძალიან ბევრს აუხდინა ოცნება „ქართულმა ოცნებამ", მაგრამ ვინაა დამნახავი?!.

**ოცნებების ახდენის ჟამი აქვს ყველას და დიახ, დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში ნამდვილად ყველას აქვს შანსი, ოცნებები აიხდინოს.**

ისევე, როგორც იმპიჩმენტისთვის დამსახურებულად „გამეტებულმა" **სალომე ზურაბიშვილმა.**

თორემ, რომ არ სდომოდა პრეზიდენტს იმპიჩმენტი, ივლიდა კაფე-კაფე და შეჭამდა ლობიოს.

რა, გაუჭირდებოდა თუ არ ყოფილა მსგავსი?

ჰო, ერთიცაა: **ოცნებაახდენილ სხვა ჟუუუუუუუურრრრრრნალისტებზე დღეს შეგნებულად ბევრს არაფერს ვიტყვი.**

მათ, უბრალოდ, რაც უნდოდათ, მიიღეს.

რეიტინგებს ვგულისხმობ და აქვე, მეტი სიცხადისთვის დავამატებ, რომ მათთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რეიტინგი მინუსებით განისაზღვრება თუ პლიუსებით.

არადა, მეცინება.

**რაც ზემოთ ჩამოვთვალე, ძვირფასო მკითხველო, ხომ არის ოცნებების ახდენის უტყუარი და ნათელი მაგალითი?!**

**ჰოდა, მოდგებიან მერე ეს ოცნებაახდენილები და ისევ ივანიშვილს ლანძღავენ.**

**უმადურობა მეტი კი არაფერია?!.**

## კვირგვინოსნები

**თორნიკე რიჟვაძე**
*აჭარის მთავრობის თავმჯდომარე*



პრემიერის ამ მოგზაურობაზე **არცერთი თეთრი ბიუჯეტიდან არ დახარჯულა** — ის დრო წარსულს ჩაბარდა, როდესაც **საბიუჯეტო რესურსით ხდებოდა მაღალჩინოსნების პირადი მოგზაურობის თუ სხვა ხარჯების დაფარვა.**

„ინტერპრესნიუსი"

**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



არ უნდა იყოს დღეს **სააკაშვილი** ლამის ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, **ჩემი ფულით ვინახავ დღეს ქურდ, მძარცველ, მკვლელ პრეზიდენტს სასტუმროში.** ბიუჯეტის ნამდვილი ქურდები, თავის დროზე, **შესაბამისად და მკაცრად არ დაისაჯნენ.** ისინი რომ მკაცრად დასჯილიყვნენ, დღეს სხვას არ გადააბრალებდნენ ქურდობას.

„POSTV"

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



პრეზიდენტი და რადიკალური ოპოზიცია **ერთ ნავში სხედან და ერთი მიმართულებით ცურავენ,** რომელსაც საქართველოსთვის ევროკავშირის **სტატუსის არმინიჭება** ჰქვია.

„ახალი თაობა"

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



ვურჩევ ოპოზიციას, **პრემიერ-მინისტრი არ შეეშალოთ წინა ხელისუფლების მეთაურში,** რომელიც თავისი შვილის უცხოეთში სწავლას ბიუჯეტიდან აფინანსებდა.

„იმედინიუსი"

# P.S.

ერთადერთ ოცნებას ვერ აიხდენენ ეს ნაძირალები და ვერ ხვდებიან კიდევ, რომ ქართული მულტფილმისა არ იყოს, არავინ აღარ გადმოდგება აივანზე და აღარასდროს შესძახებს ხალხს — **„გუშინ რომ იყვნენ, ისევ ისინი მოდიანო...".**

ასეა, ბატონებო! 2024 წლის არჩევნებიც ჩაივლის და 2028-საც, მაგრამ თქვენი უზნეობის შემხედვარე, თამამად გეტყვით: **ნაც გინახავთ, ვეღარ ნახავთ!**

## ᲘᲒᲝᲠ ᲙᲕᲔᲡᲔᲚᲐᲕᲐ:

# ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ!



*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი* ***ᲘᲒᲝᲠ ᲙᲕᲔᲡᲔᲚᲐᲕᲐ*** *საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობაში კონკრეტულ პირებს ამხელს და გაოგნებულია ზვიად გამსახურდიას ვაჟის — კონსტანტინე გამსახურდიას მიერ 2007 წელს გაკეთებული სკანდალური განცხადებით, რომ მან თექვსმეტი წელიწადია, იცის, ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია და დუმს:*

— შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას მხოლოდ საქართველოში არ ებრძოდა. როცა 1992 წლის დეკემბერში საქართველოს პრეზიდენტი ფინეთში ჩავიდა და ჩვენთან დატრიალებული უბედურების შესახებ სიმართლე თქვა, ამბროსოვიჩმა განაცხადა — **ნუთუ არ შეიძლება, ფინეთში მოკალათებული ანტიქართული ძალების გაჩუმება?!** სხვათაშორის, ცოტა ხნის შემდეგ შევარდნაძეს თავად მოუწია ფინეთში ჩასვლა და ადგილობრივი პრესა მას ასეთი შეფასებებით შეხვდა — **„ფინეთში სისხლიანი დიქტატორი ჩამოვიდა!“**

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ ევროპაში ჩასულ ზვიად გამსახურდიას, რომელსაც **ავსტრიის კრონ-პრინცმა** ბრწყინვალე დახვედრა მოუწყო, შევარდნაძემ მკვლელები დაადევნა. გამსახურდიას ძალიან თბილად დახვდა თურქეთის პრეზიდენტი **თურქუთ ოზალიც.** შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში ისინი კვლავ შეხვდებოდნენ და დეტალურად განიხილავდნენ საქართველოში შექმნილ ვითარებას. პრეზიდენტ **ოზალზე** დიდ ზეწოლას ახდენდა მისი ვაჟი, რომელიც ზვიად გამსახურდიათი აღფრთოვანებას ვერ მალავდა და საქართველოს დევნილ პრეზიდენტს გროზნოშიც ჩააკითხა. ზვიადისადმი დიდი იყო მხარდაჭერა თურქეთში მცხოვრები ლაზი პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების მხრიდანაც, რომლებსაც ევროპაში გამგზავრების წინ გამსახურდიამ განუცხადა, რომ თავადაც ლაზი იყო.

სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ევროპიდან თურქეთში დაბრუნებულ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტი ოზალი აღარ შეხვდა. იგი შეშინებული ჩანდა, რაც შევარდნაძის ამერიკელი მფარველების პირდაპირი ჩარევით უნდა აიხსნას. უფრო მეტიც, რამდენიმე თვეში ფრიად საეჭვო ვითარებაში პრეზიდენტი **თურქუთ ოზალი** გულის შეტევით გარდაიცვალა. აშკარაა, რომ ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრამ მისი სიკვდილი ძალიან დააჩქარა. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ ყველაფრის უკან ის ბნელი და გლობალური ძალა იდგა, რომელმაც შევარდნაძე მოსკოვიდან თბილისში ჩამოიყვანა და ქართველებს თავზე დაგვასვა.

**— მაინც ვინ დაადევნა შევარდნაძემ გამსახურდიას ევროპაში?**

— ეს საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძალიან სირცხვილიანი საკითხია. **ამ ხალხის ვინაობა ცნობილია და უახლოეს მომავალში მათ დავასახელებ.** ისინი **გიორგი ჭანტურიას** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და „მხედრიონის“ წევრები არიან. სხვა ფაქტორებთან ერთად სწორედ ეს მკვლელები იყვნენ მიზეზი იმისა, რომ მაშინ გერმანიამ და საფრანგეთმა ზვიად გამსახურდიას უსაფრთხოების დაცვაზე უარი განაცხადა. ეს მკვლელები დღესაც ცოცხალი არიან და მთელი უბედურება ის არის, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობენ. ზვიად გამსახურდიას გროზნოში კი არ უნდოდა დარჩენა, საფრანგეთიდან აპირებდა შევარდნაძისა და მისი ხროვის მხილებას, მაგრამ ქართული ემიგრაციის ერთი ნაწილი საქართველოს პრეზიდენტს საფრანგეთში მტრულად შეხვდა...

**— მტრულად კი არა, სალომე ზურაბიშვილი და მისი კაგებეშნიკი ქმარი ჯანრი კაშია პირდაპირ უბინძურესი მეთოდებით ებრძოდნენ მას და გაზეთ „ლე მონდში“ მერაბ მამარდაშვილთან ერთად წერდნენ, თითქოს გამსახურდიამ საქართველოში ოსებს ერთ შვილზე მეტის გაჩენა აუკრძალა!**



ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲠᲝᲑᲘᲖᲝᲜ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲜᲘ



**„საბოლოოდ ყველაფერი ასე მოხდა: შევარდნაძემ ზვიადის მკვლელობის ხელმძღვანელობა დაავალა ავთანდილ მარგიანს, რომელმაც კავშირი დაამყარა რობიზონ მარგველანთან. ეს ვინ ჩაიდინა, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ კარლო ღურწკაიას სახლში იმ სამიდან ერთ-ერთმა ზვიად გამსახურდია მოკლა!“**

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ



## ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ:

# ᲘᲥᲜᲔᲑ, ᲖᲕᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ ᲯᲔᲠ ᲛᲝᲙᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲔᲡᲠᲝᲚᲔᲡ ᲘᲡ ᲢᲧᲕᲘᲐ?!

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ**
*„ლელოს“ ლიდერი*



დასაწყებია **ღარიბაშვილის იმპიჩმენტის წესით** გადაყენების პროცედურა.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲓᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



ერთი მხრივ, „ქართულ ოცნებას“ დაწყებული აქვს **ყალბი იმპიჩმენტი პრეზიდენტის წინააღმდეგ,** ამ დროს ოპოზიცია გვეუბნება, რომ **პრემიერის წინააღმდეგ მეორე ყალბი იმპიჩმენტი** დავიწყოთ.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ძალზე საინტერესო სასამართლო პროცესი გველოდება სულ ახლო მომავალში** და ამას ყოველგვარი ირონიისა თუ სარკაზმის გარეშე ვიძახი. **ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔᲛ** დააანონსა, რომ **საკუთარი ღირსების დაცვას** სასამართლო დარბაზში შეეცდება. **ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ** ეცდება, ჩამოირეცხოს ისეთი ბრალდებები საკუთარი მისამართით, რომ **ის წინა ხელისუფლების დროს იყო რექტორი და სხვისი ქონების ჩამორთმევისა თუ ხელოვნური გზით გაკოტრების ერთ-ერთი ორგანიზატორი ან თანამონაწილე მაინც.**

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲐᲚᲔᲙᲝ ᲔᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*პარტია „მოქალაქეების“ ლიდერი*



**„ᲚᲔᲚᲝᲛ“** ვერ ისწავლა, რომ **არ უნდა იცანცაროს** და ცოტა კოლეგიალური იყოს, **პრემიერის იმპიჩმენტზე ვსაუბრობთ,** პატარა ქარხნის საკითხზე ხომ არა, რომ საქმის კურსში არ ჩააყენო კოლეგები.

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ“

**ᲐᲜᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲫᲔ**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ᲔᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გაყიდვასა და ნაციონალურ მოძრაობაზე რომ ლაპარაკობს, **ძალიან დიდი სირცხვილია** იმიტომ, რომ ამის მთავარი მაგალითი არის თვითონ.

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

# „გამსახურდიას კაბინეტიდან გამოსული არძინბა გაკვირვებას ვერ მალავდა და ლალი მაისურაძის თანდასწრებით სულ ამას იმეორებდა – „ეს რა კაცი ყოფილა! მე კი მეუბნებოდნენ, რომ ზვიად გამსახურდიასთან ლაპარაკი არ შეიძლებაო!“

— **სალომე ზურაბიშვილსა და ჯანრი კაშიაზე** ჩვენ აუცილებლად ცალკე ვილაპარაკებთ. საერთოდ, ზვიად გამსახურდიას გროზნოში წასვლა არ სურდა, ის დასავლეთ საქართველოში აპირებდა გადასვლას, მაგრამ 1992 წლის 6 იანვარს დასავლეთისკენ წასასვლელი გზა ჩაუკეტეს. ზვიადის პირადი მდივნის, ცნობილი **ლალი მაისურაძისგან,** რომელიც პუტჩისტებმა წალენჯიხაში მოკლეს, ვიცი, რომ **არძინბას** ზვიად გამსახურდიასთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, რასაც მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა აფხაზეთიდან თბილისში ჩამოვიდა და პრეზიდენტს კაბინეტში ესტუმრა. არძინბა გაკვირვებას ვერ მალავდა და ლალი მაისურაძის თანდასწრებით სულ ამას იმეორებდა — **„ეს რა კაცი ყოფილა! მე კი მეუბნებოდნენ, რომ ზვიად გამსახურდიასთან ლაპარაკი არ შეიძლება!“** სხვათაშორის, სახელოვანი ქართველი მეცნიერის **გიორგი ჩიტაიას** ოჯახში, რომლის ასპირანტიც გახლდით, ძნელაძის ქუჩაზე ორჯერ შევხვედრილვარ არძინბას.

***— რამდენკაციანი ჯგუფი გააგზავნა შევარდნაძემ ევროპაში გამსახურდიას სალიკვიდაციოდ?***

— ჩვენ ამ თემას აუცილებლად მივუბრუნდებით, მაგრამ შევარდნაძისა და მისი პატრონების მიერ მოწყობილი საერთაშორისო შეთქმულება საქართველოსა და ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ იმდენად მასშტაბური იყო, რომ ზვიად გამსახურდიას ევროპაში მოგზაურობის დროს ჩეხეთისა და უნგრეთის პრეზიდენტები დაემალნენ. შევარდნაძეს არ შერცხვა, 1992 წელს ზვიადზე ეთქვა — **„საქართველოს ზვიადზე დიდი მოღალატე არასოდეს ჰყოლია!“** — ხოლო 1998 წელს საქვეყნოდ განეცხადებინა — **„ზვიად გამსახურდიამ საქართველოში სიმართლის დროშა აღმართა!“** შევარდნაძეს, რომელმაც სრულიად უდანაშაულო ბერი **თეოდორე ჩიხლაძე** დაახვრეტინა და საეკლესიო პირებს დევნიდა, 1992 წელს არც იმის შერცხვა, პატრიარქისთვის ეთხოვა — **მომნათლეო!** აი, ასე გახდა ის **ედუარდ (გიორგი).**

სხვათაშორის, ზვიად გამსახურდიას სიკვდილზე 2004 წლს ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა **მიხეილ სააკაშვილმაც,** რომელმაც თქვა — **„როგორც ქრისტიანი ადამიანი, დარწმუნებული ვარ, რომ ზვიად გამსახურდია თავს არ მოიკლავდა!“** ეს განცხადება სააკაშვილმა საპატრიარქოში გააკეთა... მე ვესწრებოდი იმ შეხვედრას და მახსოვს, მაშინ საპატრიარქო ტაშით დაინგრა. სააკაშვილს ეს სიტყვა შემთხვევით არ უთქვამს, რადგან ღრმად მწამს, რომ დაინტერესდა გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზებით და ყველაფერი დეტალურად შეიტყო! უფრო მეტიც, **სააკაშვილი ერთ-ერთია იმ რამდენიმე პიროვნებას შორის, რომელმაც ზვიად გამსახურდიას მკვლელის ვინაობა იცის!** სწორედ ამიტომ გააკეთა მან საპატრიარქოში ზემოხსენებული განცხადება. სააკაშვილს ზვიად გამსახურდიაზე ასეთი რამეც აქვს ნათქვამი — **„ზვიადისნაირი დიდბუნებოვანი ადამიანი იმ დროისთვის მიუღებელი იყო და ის მოკლეს!“** სწორედ ამიტომ 2004 წლიდან ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ იურიდიულ თუ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩნდება ასეთი ტერმინები — **„ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტი“, „საქართველოს პრეზიდენტის ფიზიკური ლიკვიდაცია“...**

***— ეს ფრაზები პროკურატურის მიერ შექმნილ დოკუმენტებში ჩნდება?***

— დიახ, 2004 წლიდან საქართველოს მაშინდელი გენერალური პროკურატურის მიერ შექმნილ დოკუმენტებში ასეთი ფრაზები ჩნდება... ეს შემთხვევით არ მომხდარა და გვაქვს სრული საფუძველი, ვიფიქროთ, რომ **2004 წელს ზვიად გამსახურდიას მკვლელობა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გახსნა, მაგრამ საქმე დღემდე თაროზეა შემოდებული. ზემოხსენებული ფრაზები და შეფასებები ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში 671-ე, 673-ე, 675-ე გვერდებზე ჩნდება...** დღემდე ვფიქრობ, თუ რატომ არ აქცევენ ყურადღებას ბესარიონ გუგუშვილის ერთ ფრაზას, რომელიც მან თქვა — **„იქნებ, ზვიად გამსახურდია ჯერ მოკვდა და მერე ესროლეს ის ტყვია?!“**

***— ეს რას ნიშნავს?***

— არ ვიცი, რას ნიშნავს! ამას გამოძიებამ და საზოგადოებამ უნდა გასცეს პასუხი! კიდევ უფრო გაუგონარია პრეზიდენტის უფროსი ვაჟის **კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდიას** განცხადება 2007 წლის ერთ-ერთ გაზეთში — **„ვიცი, ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია და მე ამას ვიტყვი!“** შე დალოცვილო, თუ ეს იცი, მაშინ თექვსმეტი წელიწადია, ხმას რატომ არ იღებ? გამოდი და თქვი, ვინ მოგიკლა მამა! საერთოდ, მიმაჩნია, რომ მსგავსი განცხადებები ემსახურება საზოგადოების დეზორიენტაციას... ჩვენ წინა ინტერვიუში ვახსენეთ ცნობილი ქართველი ისტორიკოსი **ლევან სანიკიძე,** რომელიც 1993 წლის 31 დეკემბერს, საღამოს, შევარდნაძეს კაბინეტში სტუმრობდა და შეესწრო სატელეფონო საუბარს, როცა **ავთანდილ მარგიანმა** ედუარდს უპატაკა — **ზვიად გამსახურდიას საქმე დამთავრებულიაო!** ახლა ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით: **ავთანდილ მარგიანმა ყველაფერი იცის, რადგან ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში მონაწილეობდა!** მე არ ვამბობ იმას, რომ ავთანდილ მარგიანმა ესროლა ზვიად გამსახურდიას, მაგრამ ის ყველაფრის საქმის კურსშია!!! უფრო მეტიც, **შევარდნაძის დავალებით, ავთანდილ მარგიანი ერთ-ერთი ის პირია, რომელიც ზვიად გამსახურდიას დევნისა და ლიკვიდაციის საქმეს ხელმძღვანელობდა.**

***— მარგიანი სპეცოპერაციაში მონაწილეობდა?***

გაგრძელება მე-12 გვერდზე



## „ევროპაში ჩასულ ზვიად გამსახურდიას შევარდნაძემ მკვლელები დაადევნა!“



## ედუარდ შევარდნაძე:

## საქართველოს ზვიადზე დიდი მოღალატე არასოდეს ჰყოლია!

## ზვიად გამსახურდიამ სიმართლის დროშა აღმართა!

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



ოპოზიციამ **პრეზიდენტის იმპიჩმენტის** პროცედურის პასუხად **პრემიერის იმპიჩმენტის** საკითხზე უფრო დახვეწილი ვერაფერი მოიფიქრა, ეს განცხადებები დარჩება განცხადებებად.

„პირველი არხი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



ზურაბიშვილი არავის თამაშს არ თამაშობს. **მისი კონტროლი ძალიან ძნელია.**

„ახალი თაობა“

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



მანამდე **„გვერდები არ აუდგეთ“, პრემიერ-მინისტრის იმპიჩმენტი მოახერხონ** — კატას ნამდვილად ვერ დაიჭერთ იმ ოთახში, სადაც ის არ არის.

„იმედინიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



უტიფრობა და ნაძირლობაა, რასაც **კოლექტიური ნაცმოძრაობა კადრულობს,** როდესაც არ იმჩნევენ **მათი ბელადის მიერ საქართველოს ბიუჯეტის ჯიბეში ჩადებას.**

„იმედინიუსი“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიციას ვთხოვ — **ნუ გექნებათ ძალიან დაბალი წარმოდგენა** საკუთარ ხალხსა და საკუთარ ამომრჩეველზე.

„ახალი თაობა“

**დავით ზარდიაშვილი**
*ანალიტიკოსი*



უახლოეს მომავალში **ევროკავშირში ჩვენი დამკვიდრება გამორიცხულია,** თუმცა, კანდიდატის სტატუსი საკუთარი თავის რწმენის აღდგენაში დაგვეხმარება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

## იგორ კვესელავა:

# სააკაშვილი ერთ-ერთია იმ რამდენიმე პიროვნებას შორის, რომელმაც ზვიადის მკვლელის ვინაობა იცის!


ზვიად გამსახურდიას დაცვის ყოფილი წევრი ბაჩუკი გვანცელაძე მიხეილ სააკაშვილთან ერთად

## მიხეილ სააკაშვილი:

### ზვიადისნაირი დიდბუნებოვანი ადამიანი იმ დროისთვის მიუღებელი იყო და ის მოკლეს!

დასაწყისი მე-10 გვერდზე

— არა, სპეცოპერაციაში, ანუ უშუალოდ პრეზიდენტის ლიკვიდაციაში მას მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ **მარგიანი** შევარდნაძესთან ძალიან დაახლოებული პირი იყო. სწორედ ავთანდილ მარგიანს ანდო შევარდნაძემ ბალტინისთვის ფულის გადაცემა, როცა რუს ადმირალს 250 მილიონი დოლარი გადასცეს. ეს ფული მოსკოვიდან ჩამოიტანა **გურამ მამულიამ...** სხვათაშორის, მამულიას, მოსკოვში რომ მიდიოდა, ფეხსაცმელი არ ჰქონდა... *(იცინის)*.

გადატრიალების მოსაწყობად და ზვიად გამსახურდიას მოსაკლავად ფული საქართველოშიც გროვდებოდა. ცხადია, თანხას შევარდნაძის მორჩილი ელიტა აგროვებდა — **გურამ მგელაძე** და მისთანა საქმოსნები... შევარდნაძეს თავისი ფონდი ჰქონდა და უფულობას არასოდეს უჩიოდა, მაგრამ 250 მილიონი დოლარი, რომელიც ზვიადის განადგურებაში **ავთანდილ მარგიანის** ხელით გადაიხადეს, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა... სხვათაშორის, **ავთანდილ მარგიანს** ჩემთვის ნათქვამი აქვს — **ბალტინი ჩვენ ზვიად გამსახურდიას დასამარცხებლად კი არა, აფხაზეთში შესასვლელად გვჭირდებოდა, რათა სოხუმის ტრაგედიის გამო შური გვეძია და აფხაზებისთვის ჭკუა გვესწავლებინაო!**

**— თავად გითხრათ მარგიანმა, რომ რუს ადმირალ ედუარდ ბალტინს 250 მილიონი ამერიკული დოლარი გადაუხადეს?**

— დიახ, ამის შესახებ სწორედ **ავთანდილ მარგიანმა** მითხრა — ზვიად გამსახურდია ვინ იყო, ამდენი ფული რუსებსა და უკრაინელებს იმიტომ მივეცით, რომ აფხაზეთი დაგვებრუნებინაო!

**— მერედა, რატომ ვერ დავიბრუნეთო?**

— ეს მას არ უთქვამს... თუმცა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მომხდარიყო. როგორც ვიცი, ეს **250 მილიონი დოლარი** ადმირალმა ბალტინმა, უკრაინის პრეზიდენტმა **ლეონიდ კრავჩუკმა** და ბალტინის მოადგილეებმა გაინაწილეს! ბალტინი და მისი ხელქვეითები ფოთის სასტუმროში ცხოვრობდნენ, სადაც შევარდნაძესა და ადმირალს შორის რამდენიმე შეხვედრა გაიმართა ავთანდილ მარგიანის თანდასწრებით.

ზვიად გამსახურდიას მკვლელობისა და ბალტინის შემოყვანის შესახებ ყველაფერი დეტალებში იცოდა **ლეონარდო დევდარიანმაც,** მაგრამ მან ამის შესახებ სიცოცხლეში მნიშვნელოვანი არაფერი თქვა და სამარეში ბევრი საიდუმლო ჩაიტანა! საბოლოოდ ყველაფერი ასე მოხდა: **შევარდნაძემ ზვიადის მკვლელობის ხელმძღვანელობა დაავალა ავთანდილ მარგიანს, რომელმაც კავშირი დაამყარა რობიზონ მარგველანთან.** ეს ვინ ჩაიდინა, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ **კარლო ღურწკაიას სახლში** იმ სამიდან ერთ-ერთმა ზვიად გამსახურდია მოკლა!

**— ბესარიონ გუგუშვილს, რობიზონ მარგველანსა და ბაჩუკი გვანცელაძეს გულისხმობთ?**

**— დიახ, ამ სამი კაციდან ერთ-ერთმა საქართველოს პირველ პრეზიდენტს ესროლა!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



## კონსტანტინე გამსახურდია:

# ვიცი, ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია და მე ამას ვიტყვი!



# „ლეონარდო დევდარიანმა სამარეში ბევრი საიდუმლო ჩაიტანა!“



## კვირგვინოსნები

**მიხაილ პოდოლიაკი**
*უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი*



საქართველოს **ერთი შანსიც კი არ აქვს,** რომ გახდეს ევროპული თანამეგობრობის წევრი.

„პირველი არხი“

**გია ხუხაშვილი**
*ანალიტიკოსი*



არც უკრაინის და არც სხვა ქვეყნის მოქალაქეებს **არავინ ეკითხება** საქართველოს შიდა პოლიტიკას. **პოდოლიაკმა** ჯობს, ომში მყოფ თავის ქვეყანას მიხედოს.

„რეზონანსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



არ არის გამორიცხული, **უკრაინა** ევროპაში თავისი კავშირებისა და გავლენების გამოყენებით შეეცადოს, **დაბლოკოს ჩვენთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭება.** ეს არ არის მარტო **პოდოლიაკის** აზრი, **პოდოლიაკმა** გააჟღერა როგორც თავისი პირადი დამოკიდებულება, ასევე ის დამოკიდებულება, რაც **უკრაინის მაღალი რანგის ოფიციალურ პირებს** აქვთ.

„რეზონანსი“

**ანა ბუჩუკური**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



**პოდოლიაკის** საქმე არ არის, საქართველო რას იმსახურებს და რას — არა. საქართველოს **თავისუფლებისთვის ბრძოლის ფასი** არაერთხელ აქვს გადახდილი.

„რეზონანსი“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



ვინ არის **პოდოლიაკი,** რომ ასე ლანძღავს ამ ქვეყანას. კარგად უნდა ახსოვდეს, რომ **მისი თითქმის 30000 თანამემამულე ქართველებმა შეიფარეს,** იმ ქართველებმა, რომლებსაც **თავიანთი 300 000 ლტოლვილი ჰყავთ ამ ერთ ციდა ქვეყანაში.**

„POSTV“

დასაწყისი
იხ. „ა-დ“ №38-40

# წელს, 30 წლის წინათ, ჟიული შარტავა უნდა მოკვდეს!

*ცნობილი ჟურნალისტი* ***მაყვალა ბერიანიძე*** ***მიიჩნევს, რომ საქართველოსა და ჟიული შარტავას ტრაგედიას წინ უსწრებდა უდიდესი ღალატისა და სამშობლოს ბედით ვაჭრობის სამარცხვინო ისტორია, რაც ჩვენი საზოგადოების უდიდეს ნაწილს გაცნობიერებული ჯერ კიდევ არ აქვს! ჩვენი კოლეგა, რომელიც არაერთი ისტორიული პროცესის მონაწილეა, აცხადებს, რომ შევარდნაძემ 1992 წლის 26 ნოემბერს შექმნილ ე.წ. „აფხაზეთის კომისიას“ ჟიული შარტავა არ გააკარა, სამაგიეროდ, 1993 წლის ივლისში, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ გაამწესა და ერთ კვირაში, 1993 წლის 27 ივლისს, სოჭის ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი, რითიც აფხაზეთი, ფაქტობრივად, ჩააბარა:***

— **ჟიული შარტავა** 49 წლის იყო, როცა დახვრიტეს... არსებობს აფხაზეთის ერთ-ერთ ტაძარში გადაღებული ფოტო, რომელზეც გამოსახულია ჟიული... შარტავა ტაძარში სანთლებს ანთებს. ოჯახისგან ვიცი, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მას ჰქონდა ხილვა — თითქოს აფხაზეთში იყო, იქ უნდოდა დაბადების დღის გადახდა და ტაძარში სანთლებს ანთებდა. ორმოცდაათი სანთელი უნდა დაენთო... 49 სანთელი რომ დაანთო, ორმოცდამეათე გადატყდა! ეს სურათი სწორედ ამ ხილვის შემდეგ არის გადაღებული. **სხვათაშორის, არსებობს ერთ-ერთი სასულიერო პირის ჩვენება, რომელმაც გაიხსენა — როცა ჟიული შარტავა ამ სანთლებს ანთებდა, მეც იქ ვიყავი და კარგად მესმოდა მისი ვედრება — ღმერთო, მე შემიწირე და აფხაზეთი გადაარჩინეო!** ეტყობა, ქვეცნობიერმა ჟიულის არ მისცა საშუალება, სხვაგვარად მოქცეულიყო და ეკლესიაში ორმოცდაათი სანთელი ამიტომაც დაანთო. მაგრამ ბედისწერას **ჟიული შარტავა** მაინც ვერსად გაექცა და ორმოცდამეათე დაბადების დღე ვერ იზეიმა! ჟიული 1944 წლის 7 მარტს იყო დაბადებული. 2024 წელს ის 80 წლის გახდებოდა...

**— საინტერესოა, შევარდნაძეს თუ უამბო ჟიული შარტავამ ამ ხილვის შესახებ!**

— არ უამბობდა იმიტომ, რომ... ეს ამბავი, როგორც გითხარით, მოგვიანებით ჟიულის ოჯახის წევრებისგან შევიტყვე. სხვათაშორის, ჟიულის ამ ხილვის შესახებ **რობერტ ღარიბაშვილმაც** მითხრა. უკანასკნელ ხანს 1900-1924 წლების საქართველოს ისტორიაზე ვმუშაობ, არაერთ არქივში ვიყავი, არაერთ დოკუმენტს გავეცანი, იმ ბოლშევიკების — მკვლელებისა და სამშობლოს გამყიდველების 3 ათასამდე ჩვენება წავიკითხე და გაოგნებას ვერ ვმალავ —

**უსამართლოდ დასჯილთა და წამებულთა შთამომავლები დღესაც დევნილობაში არიან, რომლებსაც ახლაც ებრძვიან, ხოლო მოღალატეებისა და მწვალებლების მემკვიდრენი აღზევებულნი გახლავან!**

გაოგნდებით, პირდაპირ სახელებითა და გვარებით მეორდება ისტორია. საქართველომ უნდა იცოდეს არა შელამაზებული, არამედ ნამდვილი ისტორია... როცა **ჟორდანიას** დევნილი მთავრობის წევრები ეროვნულ განძს ჰყიდდნენ და შარდონეს ღვინოებით ქეიფობდნენ, ამ დროს ყველასაგან მიტოვებული **ქაქუცა ჩოლოყაშვილი** საავადმყოფოში მშიერი იწვა და იღბლად შემორჩენილ ორად ორ მეგობარს — **გრიგოლ ბერიძესა და ალექსანდრე სულხანიშვილს** ეხვეწებოდა — რომ მოვკვდები, დამწვითო! საქართველომ უნდა იცოდეს, რომ 1918 წლის დეკემბერში, სომხეთ-საქართველოს ომის დროს, ერთმა სომეხმა და ერთმა რუსმა ძეგვის ხიდი ააფეთქეს. ტერორისტები დაიჭირეს, რომელთა ადვოკატობაც იკისრა ვინმე **ზელენსკიმ,** რომელმაც სასამართლოზე უტიფრად განაცხადა — *„დიდი ამბავი, რომ ხიდი ააფეთქეს! რა, ეს დანაშაულია? თქვენ, ქართველები, ამას დანაშაულად მიიჩნევთ? არ არის ეს დანაშაული და დაკავებულები უნდა გაათავისუფლოთ, რადგან ისინი ბრიტანეთის აგენტები არიან!“*

ქართველებმა ძეგვის ხიდის ამფეთქებლები გაათავისუფლეს, ხოლო **ზელენსკი** ამის შემდეგ ბრიტანეთში წავიდა, სადაც ადვოკატობა გააგრძელა და ბრიტანეთის სუპერაგენტი გახდა. 1930 წლის 7 დეკემბერს პარიზში სოციალ-დემოკრატმა **პარმენ ჭანუყვაძემ** ტყვია ზურგში დაახალა **ნოე რამიშვილს** და მოკლა, ხოლო 1923 წელს ვინმე **კალე მისაბიშვილმა** მთელი „სამხედრო ცენტრი“ ჩაუშვა და ბოლშევიკებს დამოუკიდებელი საქართველოს გენერლები, მათ შორის, **ილია ჭავჭავაძის დისშვილი, გენერალი კოტე აფხაზი** დაახვრეტინა.

სხვათაშორის, დღეს ოკუპირებულ აფხაზეთში სკოლის მოსწავლეებს ასწავლიან, რომ თითქოს ქართველმა გენერალმა **გიორგი მაზნიაშვილმა** 1918-1919 წლებში აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა და საქართველოს მიუერთა! ქართველებმა უნდა იცოდნენ, რომ, როცა **ნოე ჟორდანია** საქართველოდან გაიქცა და დედა და უფროსი ქალიშვილი — **ასმათი** საქართველოში დატოვა, 1924 წელს ბოლშევიკებმა ორივე დააპატიმრეს და ბათუმის ციხეში გამოკეტეს.

სტალინის უახლოესი მეგობარი და შემდგომში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის **ვიაჩესლავ მოლოტოვის** მოადგილე **სერგო ქავთარაძე** ყვავილებით, ტორტითა და შოკოლადებით ეწვია ჟორდანიას დედასა და ქალიშვილს ბათუმის ციხეში და ევროპაში გამგზავრება შესთავაზა — ნოესთან წადით, გიშვებთო! ნოე ჟორდანიას დედამ, ჩიქოვანის ქალმა, სერგო ქავთარაძეს ასე უთხრა — **ევროპაში რა მინდა, ჩემი შინა აქ არისო!** ამას იმ აგენტურის გასაგონად ვამბობ, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე გულში მჯიღებს იცემს და გაიძახის — „შინ ევროპაში!“

**— ზემოთ მითხარით, მოღალატეებისა და პატრიოტების გვარები და სახელებიც კი მეორდება, ბევრი არაფერი შეცვლილაო! რას გულისხმობთ?**

— 2024 წელს 1924 წლის აჯანყებას ასი წელი უსრულდება! 1924 წელს დუშეთში ერთი **ღარიბაშვილი** ცხოვრობდა, რომელიც **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** რაზმს პურსა და სანოვაგეს უგზავნიდა. გაგიკვირდებათ და, ბოლშევიკების დროს,

გაგრძელება
მე-14 გვერდზე



## ჟიული შარტავა: 1985 წლიდან მოყოლებული, არც ძველი ხელისუფლებისთვის ვარ მისაღები პიროვნება და არც ახალი ხელისუფლებისთვის!



## მაყვალა ბერიანიძე: საქართველოსთან ერთად ცხონებული ჟიული შარტავაც „გადააგდეს“!

## კვირგვინოსნები

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**კუბილიუსი ამბობს, რომ** ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, **პოდოლიაკი ამბობს, რომ** ერთი შანსიც არ არსებობს სტატუსის მისაღებად, **დანილოვი ამბობდა, რომ** ომში უნდა ჩავერთოთ, ყველაფერი ერთი კონტექსტია.

„პირველი არხი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



**პოდოლიაკის** გადასაწყვეტი არასოდეს იქნება **საქართველოს ევროინტეგრაცია.** უხერხულია, რომ **სალომე ზურაბიშვილი** თურმე იმ ადამიანების **პრეზიდენტი** გახდა, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ მას **რეზიდენტს** უწოდებდნენ.

„პირველი არხი“

**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*



ევროკავშირში პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია, **სტატუსს მოგვცემენ!** დღეს ბრიუსელში ყველამ, ევროკავშირის ოფისის დამლაგებელმაც კი იცის, რომ **საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსზე უარი პუტინისთვის საჩუქარი იქნება.**

„ახალი თაობა“

**გრიგოლ გეგელია**
*„ფორმულა“ წამყვანი*



იმდენად **„უხერხულში“** ჩააყენა **სალომე ზურაბიშვილმა მაკრონი და შტაინმაიერი,** რომ უმაღლესი კალიბრის დახვედრა მოუწყვეს — ჩავიდეს **მდინარაძე** ბერლინში და ვნახოთ, ვინ დახვდება და ვინმე შეხვდება თუ არა.

„პალიტრანიუსი“

# 1993 წლის 8 აგვისტოს ამერიკელი სპეცაგენტის ვუდროფის მკვლელობა დაკავშირებულია სწორედ აფხაზეთის ჩაბარებასთან!

## მაყვალა ბერიანიძე:



ამერიკული სპეცსამსახურების აგენტი ფრედი ვუდროფი, რომელიც 30 წლის წინათ საქართველოში მოკლეს!



დასაწყისი მე-13 გვერდზე

როცა **ქაქუცა ჩოლოყაშვილი** დაიჭირეს, სიღნაღში მილიციის უფროსი იყო **გომელაური,** რომელიც **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** შეფიცულებთან მივიდა და უთხრა — წაიყვანეთ, თორემ ქაქუცას მოკლავენო! შეფიცულები თავს დაესხნენ სიღნაღის მილიციას და დაპატიმრებული **ქაქუცა** გამოიხსნეს. ამ თავდასხმის ორგანიზატორი გახლდათ **ვასო თამაზაშვილი — ირაკლი ღარიბაშვილის** სიმამრის, გენერალ **თამაზ თამაზაშვილის** პაპის ძმა. **ვასო თამაზაშვილი** ბოლშევიკებმა ხელფეხშეკრული დახვრიტეს და მაჩხანში, ხევში გადააგდეს, რომლის გვამიც ვერსად იპოვეს! სწორედ იმ **ვასო თამაზაშვილის** შვილიშვილია **რეზო შავიშვილის** მეუღლე. სხვათაშორის, მწერალი **თამაზ ნატროშვილი,** რომლის დეიდაც **ვასო თამაზაშვილის** დიდედა გახლდათ, **ქაქუცა ჩოლოყაშვილს** სულ საყვედურობდა და წერდა — რატომ წახვედი და ხალხი რატომ მიატოვეო?! ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ ქვემძრომობა, ხალხის „გადაგდება“, საშინელი ღალატი და უბედურება საქართველოს ისტორიას შლეიფად მოჰყვება და ეს არ არის ადვილად გადასაგდები სენი. **1921 წლის 25 თებერვალს** „წითელ არმიას“ მოღალატე ქართველები მოუძღოდნენ... ევროპამ ჩვენ მაშინაც მიგვატოვა და თუ დასჭირდა, ახლაც მიგვატოვებს. დოკუმენტებით დასტურდება, რომ **1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების უფლება ევროპამ რუსეთისგან მოიპოვა, მაგრამ ევროპამ მაინც „გადაგვაგდო“ და 1921 წლის იანვარში, ისევ და ისევ ბოლშევიკური რუსეთის შიშით, „ერთა ლიგაში“ ცოცხალი თავით არ მიგვიღო!** საუბედუროდ, საქართველოსთან ერთად ცხონებული ჟიული შარტავაც „გადააგდეს“...

**— მაინც რა მოხდა 1993 წლის 27 სექტემბერს?**

— **ჟიული შარტავამ** ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაწერა ცნობილი წერილი — **„ორივე მხარეს საქართველოა!“** ჟიული წერდა — 1985 წლიდან მოყოლებული, არც ძველი ხელისუფლებისთვის ვარ მისაღები პიროვნება და არც ახალი ხელისუფლებისთვისო! ამ წერილს დიდი აჟიოტაჟი და გამოხმაურება მოჰყვა... საბოლოო ჯამში იმის თქმა მსურს, რომ 90-იანი წლების სწორად გაგებისა და შეფასების გარეშე დღევანდელ ეპოქას ვერც ავწონით და ვერც გავაანალიზებთ.

თუ ჩვენ არ გვეცოდინება, რატომ მოკლეს ამერიკელი სპეცაგენტი **ვუდროფი,** როგორ გაწვრთნეს „ალფა“ და „ომეგა“, როგორ გახდა მათი უფროსი **ელდარ გოგოლაძე,** რომელიც ჯერ გაუშვეს და მერე დააბრუნეს, როგორ დაასახელა **ედუარდ შევარდნაძემ** ჩემთან ინტერვიუში ყველა ის პიროვნება, რომლებიც მასთან მოსკოვში დარბოდნენ, როგორ „ჩაუშვა“ იმავე ინტერვიუებში ედუარდმა სოროსი და მადლენ ოლბრაიტი, როგორ მზადდებოდა ბელგრადში ვიზიტი, რა სპექტაკლი დაიდგა ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ დროს თბილისში, როგორ მოკლეს **ბადრი პატარკაციშვილი და ზურაბ ჟვანია,** ვერასოდეს გავიგებთ, რატომ ვართ ამ დღეში!



„1924 წელს დუშეთში ერთი ღარიბაშვილი ცხოვრობდა, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს პურსა და სანოვაგეს უგზავნიდა. როცა ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაიჭირეს, სიღნაღში მილიციის უფროსი იყო გომელაური, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულებთან“ მივიდა და უთხრა — წაიყვანეთ, თორემ ქაქუცას მოკლავენო!“

*ვახტანგ გომელაური და ირაკლი ღარიბაშვილი*

# „ირაკლი ღარიბაშვილმა თავისი „შეფიცულთა რაზმი“ უნდა შექმნას!“

წინა ინტერვიუში ჩვენ დავასახელეთ ის ადამიანები, რომლებიც შევარდნაძემ 1992 წლის 26 ნოემბერს შექმნილ ე.წ. „აფხაზეთის კომისიაში“ შეიყვანა და იქაურობას ჟიული შარტავა არ გააკარა. გადახედეთ ამ სიას და ნახეთ, თუ როგორ ცხოვრობს ის ხალხი, როგორ არიან მათი შვილები და შვილიშვილები! სამაგიეროდ, შევარდნაძემ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ **ჟიული შარტავა** 1993 წლის ივლისში გაამწესა და ერთ კვირაში, 1993 წლის 27 ივლისს, სოჭის ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი, რითიც აფხაზეთი, ფაქტობრივად, ჩააბარა!

**— ანუ ჟიული შარტავა შევარდნაძეს თავიდანვე გაწირული ჰყავდა?**

— ცხადია, ეს ყველაფერი წინასწარი განზრახვით მოხდა! სხვათაშორის, 1993 წლის 8 აგვისტოს ამერიკელი სპეცაგენტის **ვუდროფის** მკვლელობა დაკავშირებულია სწორედ აფხაზეთის ჩაბარებასთან... სოხუმის დაცემის შემდეგ, 1993 წლის ოქტომბერში, შევარდნაძის ხელისუფლებაში ახალი მინისტრები გაჩნდნენ — **ვარდიკო ნადიბაიძე და იგორ გიორგაძე.** ამის შემდეგ შევარდნაძის მთელი ყურადღება კონცენტრირებული იყო ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ ლიკვიდაციაზე. 1994 წელი პოლიტიკური მკვლელობების სერიით აღინიშნა... ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ირაკლი ღარიბაშვილმა** ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს და თავისი „შეფიცულთა რაზმი“ შექმნას! ირაკლი ღარიბაშვილს ასეთი რაზმი ჯერ არ ჰყავს... ამიტომაც ბედავს ამერიკელი **ადამ კინზინგერი** და ამბობს — ქართველ ხალხს მე უფრო კარგად ვიცნობ, ვიდრე ირაკლი ღარიბაშვილიო! აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ უკრაინელი **პოდოლიაკი** ქართველებს „გვიწინასწარმეტყველებს“ — ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს საქართველოს არავინ მისცემსო!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

№54 (222) ★ 2023 წლის 18 სექტემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

## პოლიტიკოსის სიტყვა ★




## სოსო შატბერაშვილი:

# საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზის გახსნა პირდაპირ მესამე მსოფლიო ომს გამოიწვევს!

***ნაციონალური მოძრაობის პარტიულმა ტელევიზიამ — „მთავარმა არხმა“, ერთ-ერთი ნაცლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის „ანონიმურ წყაროსა“ თუ „კონფიდენციალურ ღელეზე“ დაყრდნობით, მეტად „სკანდალური ინფორმაცია“ გაავრცელა — ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში სამხედრო ბაზის გახსნას გეგმავდა, მაგრამ „ქართული ოცნების“ რუსეთუმე და მოღალატე ხელისუფლებისაგან უარი მიიღო!***

*ნაკლებად სავარაუდოა, რომ ნაცსექტასა და მის „პროპაგანდონებს“ მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელებით მხოლოდ ხელისუფლების დისკრედიტაცია სურდათ და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის დარტყმის მიყენებაზე არც კი ფიქრობდნენ! ნაცბანდის ზნე და ბუნება, მისი წარსული და აწმყო, როგორც მინიმუმ, გონივრული ეჭვის საფუძველს იძლევა, რომ ამ „მეხუთე კოლონის“ მიზანი სწორედ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების საბოტაჟი და ქვეყნის პროვოკაციაში გახვევა იყო! უფრო მეტიც, „მთავარი არხის“ დეზინფორმაცია — **ამერიკა საქართველოში სამხედრო ბაზის გახსნას გეგმავდაო** — დამაზიანებელი გახლდათ არამხოლოდ საქართველოს, არამედ ამერიკის ინტერესებისთვისაც! სწორედ ამიტომ, საქართველოში აშშ-ის საელჩომ უმალ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, რომლითაც გავრცელებული ინფორმაცია უარყო — **მსგავსი საკითხი დღის წესრიგში არასოდეს დამდგარაო!***

***ამ და სხვა აქტუალურ თემებზე საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს, პარტია „მემარცხენე ალიანსის“ გენერალურ მდივანს სოსო შატბერაშვილს ვესაუბრებით:***

— რუსეთი საქართველოში არათუ ამერიკული სამხედრო ბაზის განთავსებას, არამედ ჩვენს ნატოში გაწევრიანებასაც კი არ დაუშვებს, რადგან ეს პირდაპირ ემუქრება მის უსაფრთხოებას. საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ღარიბაშვილი** ლამის ანათემას გადასცეს იმის გამო, რომ ერთ-ერთ საერთაშორისო ფორუმზე სრული სიმართლე განაცხადა — რუსეთი უკრაინაში იმიტომ შეიჭრა, რომ უკრაინის ხელისუფლება ნატოსაკენ მიისწრაფვოდაო!

**— კონკრეტულად, რა საფრთხეებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზის გახსნა?**

— საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზის გახსნა პირდაპირ მესამე მსოფლიო ომს გამოიწვევს, რადგან სამხედრო დაპირისპირება საქართველოსა და რუსეთს შორის კი არა, რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის დაიწყება, საქმე ბირთვული იარაღის გამოყენებამდე მივა და საქართველო პირისაგან მიწისა აღიგვება!

მაინტერესებს, **რომელ ჭკუათამყოფელს წარმოუდგენია, რომ ამერიკული სამხედრო ბაზა გაიხსნას, მაგალითად, გორში, საიდანაც სულ რამდენიმე კილომეტრში — ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზებია განთავსებული?** ამაზე საუბარიც კი სრული სიგიჟეა და აშშ-ის საელჩომ დაადასტურა კიდეც, რომ მსგავსი საკითხი არასოდეს განხილულა.

საერთოდ, დროა, მივხვდეთ, რომ საქართველოს, რუსეთის ფაქტორის გამო, ნატოში არასოდეს მიიღებენ და „ნატო-ნატოს“ ფუჭი ძახილი კიდევ მეტი ტერიტორიის დაკარგვის გარდა არაფერს მოგვიტანს!

**— თუ ასე განვსჯით, მაშინ რუსეთს საქართველოს ევროკავშირში შესვლაც არ აძლევს ხელს და რა უნდა ვქნათ — ქართულმა სახელმწიფომ კრემლის ნება-სურვილზე იაროს?**

— არა მგონია, რუსეთს საქართველოს ევროკავშირში შესვლაზე პრობლემა ჰქონდეს. თავის დროზე ბევრ რუს მაღალჩინოსანთან, მათ შორის, საგარეო საქმეთა მინისტრ **ლავროვთანაც** მისაუბრია და ვიცი, რომ კრემლი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას არ ეწინააღმდეგება, რადგან ეს ეკონომიკური გაერთიანებაა და არა — სამხედრო ბლოკი.

სხვა საკითხია, რომ საქართველოს ევროკავშირში მიღებას თავად ევროპელი ლიდერები აყენებენ კითხვის ნიშნის ქვეშ. გავიხსენოთ, ცოტა ხნის წინათ რა განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა **მაკრონმა** — საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით უკრაინისა და მოლდოვისაგან განსხვავდებაო!



თუმცა, ევროკავშირი ახლო მომავალში არც უკრაინისა და მოლდოვის მიღების საკითხს განიხილავს. ის კი არა, ევროპელმა ლიდერებმა ცინიკური განცხადებები გააკეთეს — 2050 წლისათვის ვიმსჯელებთ, მივიღოთ თუ არა უკრაინა ევროკავშირში, მანამდე კი მან რუსეთს ომი უნდა მოუგოსო, რაც ზღაპრისა და ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება!

აგერ, სულ ახლახან, **პუტინმა** განაცხადა — დროა, **ზელენსკიმ** დედაქალაქის კიევიდან ლვოვში გადატანაზე იფიქროს, რადგან უახლოეს თვეებში რუსეთი კიევზე თავდასხმას აპირებს!

**— თუმცა, ერთია, რას ამბობს პუტინი და მეორეა, რა რესურსები გააჩნია რუსეთს!**

— ჯერჯერობით, **რასაც ვხედავთ, რუსეთს აღმოაჩნდა რესურსი, რომ აღმოსავლეთ უკრაინა გაენადგურებინა!** თუ გავითვალისწინებთ რამდენიმე დღის წინანდელ შეხვედრას **პუტინსა** და ჩრდილოეთ კორეის ლიდერ **კიმ ჩენ ინს** შორის, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი რუსეთს ყველანაირ საჭირო იარაღს მიაწვდის და შესაძლოა, ცოცხალი ძალაც კი მიახმაროს. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ირანი დაუფარავად აწვდის დრონებს რუსეთს უკრაინის დასაბომბად, თუმცა, თეირანში უკრაინის საელჩო მუშაობას აგრძელებს და ზელენსკის, რომელმაც ომის დაწყებიდან ერთ კვირაში საქართველოდან ელჩი გაიწვია, ირანთან მიმართებაში იგივე ნაბიჯი დღემდე არ გადაუდგამს.

ამასწინათ მოვუსმინე ერთ-ერთ ამერიკელ სამხედრო ექსპერტს — გადამდგარ პოლკოვნიკს, რომელმაც განაცხადა, რომ უკრაინა ნელ-ნელა იცლება სისხლისაგან — **ნახევარი მილიონი ადამიანი დაღუპულია, სამჯერ მეტი დასახიჩრებულია, 24 მილიონი მოქალაქე ქვეყნიდან არის გაქცეული და ქვეყანაში მასობრივი დეზერტიროზაა, ახალგაზრდა უკრაინელებს ქუჩებში იჭერენ და ძალით ერეკებიან ომში.**

ასეთი უმძიმესი ვითარების ფონზე, დეზინფორმაციის გავრცელება, თითქოს საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზის განთავსების საკითხი განიხილებოდა, სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოსა და მისი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია!

**— ქართული რადიკალური ოპოზიციის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საკმაოდ პრინციპული და საყვედურნარევი ტონით ესაუბრა თბილისში ჩამოსულ უმაღლეს ევროკომისარ ბორელს... რას იტყვით ნაცების ნარატივზე, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთის დავალებით ცდილობს, ქვეყანამ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს?**

— ნაცმოძრაობასა და მის მოკავშირე ოპოზიციურ ჯგუფებს მკაფიოდ აქვთ გაცხადებული — თუ ევროპელები გვიბრძანებენ, ცალ ფეხზე ხტუნვა უნდა დავიწყოთ და ყველაფერი ვიკადროთ, რათა ევროკავშირში მიგვიღონ! დიახ, ასეთია ამ ნაცოპოზიციის მორალური სახე, მაგრამ **უნდა კი ქართველ ხალხს, ევროკავშირში დამცირებული და ღირსებაშელახული მიგვიღონ?** არამც და არამც! ჩვენ გვინდა, ევროკავშირში ღირსეულ წევრად შევიდეთ და არა — კუთხეში დაყენებული ღარიბი ნათესავივით!

**პრემიერი ღარიბაშვილი** ძალიან სწორად და ღირსეულად მოიქცა, როცა **ბორელის** წინაშე თავდახრილი კი არ დადგა, არამედ პირდაპირ უთხრა, რაც სათქმელი იყო! მართალია, „ქართული ოცნების“ ბევრი რამ არ მომწონს და ხშირად ვაკრიტიკებ, მაგრამ არ შეიძლება, ხელისუფლებას არ დავუფასო, რომ დასავლეთიდან უზარმაზარი ზეწოლის მიუხედავად, საქართველოში მეორე ფრონტი არ გახსნა და ურთულესი გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე ქვეყანაში მშვიდობას ინარჩუნებს!

**— და მაინც, როგორ ფიქრობთ, მიმდინარე წლის ბოლოს საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მიანიჭებენ?**

— **თუ ევროკავშირის ლიდერები შარშანდელ შეცდომას გაიმეორებენ და საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსს არც ამჯერად გაიმეტებენ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ რუსეთს არაფორმალურად ეუბნებიან — მიდი, საქართველო შენიაო!**

**— არადა, რადიკალურ ნაცოპოზიციას თავისი რევოლუციური გეგმები სწორედ იმაზე აქვს აწყობილი, რომ საქართველო კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებს... ამის კვალდაკვალ აპირებენ ხალხის ქუჩაში გამოყვანას და ე.წ. თბილისური მაიდნის მოწყობას!**

— კანდიდატის სტატუსის მინიჭება სრული კონსენსუსით ხდება, ანუ ევროკავშირის წევრი ერთი ქვეყანაც რომ შეეწინააღმდეგოს, სტატუსს არ მოგვცემენ. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, **ბიძინა ალასანიამ, კეზერაშვილმა, ხაზარაძემ, ჭყონიამ, ჭუტა წერეთელმა და ხალხის ხარჯზე გამდიდრებულმა მათმა მსგავსმა ოლიგარქებმა** დიდი ფული დახარჯონ და ქრთამით უზრუნველყონ საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის დაბლოკვა!

რაც შეეხება ე.წ. თბილისურ მაიდანს, ამის მცდელობაც აუცილებლად ექნებათ და თუ გამოუვიდათ, ქვეყანასაც დაღუპავენ, მაგრამ ჩვენ, ჩვენი პარტია და ჩვენი თანამოაზრე პოლიტიკოსები ქართველი ხალხის დიდ ნაწილთან ერთად ყველაფერს გავაკეთებთ, რომ „ქართული მაიდანი“ არ შედგეს!

**— ამასობაში მმართველი გუნდი პრეზიდენტ ზურაბიშვილის იმპიჩმენტისათვის ემზადება, ოპოზიცია კი პრემიერ ღარიბაშვილის იმპიჩმენტით იმუქრება! რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— ვერც **პრეზიდენტ ზურაბიშვილის** იმპიჩმენტი შედგება და, მითუმეტეს, ვერც — **პრემიერ ღარიბაშვილის,** ეს მხოლოდ პოლიტიკური კატათაგვობანას თამაშია!

ქვეყანაში უამრავი პრობლემაა, ოპოზიცია კი იმაზე ყვირის, რატომ გაფრინდა პრემიერ-მინისტრი ევროპაში ჩარტერული რეისით და რატომ დაუფინანსეს კერძო ვიზიტი მისმა მშობლებმა... აქეთ, „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ ახლა — 11 წლის შემდეგ გაახსენდა, რომ სააკაშვილი, თურმე, პირადი ვიზიტებისათვის სახელმწიფოს ფულს ხარჯავდა და ჩარტერულ ფრენებს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან იფინანსებდა! კი მაგრამ, აქამდე სად იყვნენ, 2012 წელს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე რატომ არ გამოამზეურეს ეს ფაქტი?!

**მოკლედ, რასაც დღეს საქართველოში ვხედავთ, ეს პოლიტიკური ზოოპარკია და მეტი არაფერი!**

> „დროა, მივხვდეთ, რომ საქართველოს, რუსეთის ფაქტორის გამო, ნატოში არასოდეს მიიღებენ და „ნატო-ნატოს“ ფუჭი ძახილი კიდევ მეტი ტერიტორიის დაკარგვის გარდა არაფერს მოგვიტანს!“

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



## ისტორიკოსის თვალით

# სვიმონ მასხარაშვილი:

# თბილისში ჩერნენკოს ვიზიტის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ ავტორიტეტი ძალიან სწრაფად დაკარგა!



ედუარდ შევარდნაძე და კონსტანტინე ჩერნენკო. თბილისი. 1982 წელი

„კონსტანტინე ჩერნენკო წარმოშობით გაციმბირებული უკრაინელი იყო... ჩვენ მხოლოდ მოწამლული და მოხუცი ჩერნენკო გვახსოვს, თორემ ის ფიზიკურად ძალიან ძლიერი ადამიანი გახლდათ!“

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას აღწერს, რომელიც წინ უსწრებდა 1985 წლის 2 ივლისს ედუარდ შევარდნაძის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნას. ამბროსოვიჩს იმდენად კარგი ურთიერთობა ჰქონდა ჩერნენკოსთან, რომ 1983 წლის 18 ნოემბერს, ჯერ კიდევ ანდროპოვის სიცოცხლეში, გატაცებული თვითმფრინავის საქმეზე 1984 წლის დასაწყისში მისი გარდაცვალების შემდეგ არავითარი შენიშვნა აღარ მისცეს და ბოლომდე აღასრულებინეს სატანური რიტუალი — დააკვლევინეს მღვდელი:***

— 80-იანი წლების დასაწყისში **ზურაბ ბაქაშვილთან**, იმავე „ნუღლასთან“ და დანარჩენ მეღვინეებთან დაკავშირებული მაქინაციები, რაც სწორედ შევარდნაძის ხელდასხმით ხდებოდა, ედუარდს სჭირდებოდა იმისათვის, რათა კრემლის მესვეურები მოექრთამა და მოსკოვში დამკვიდრებულიყო. ასე რომ, შევარდნაძემ ზღაპრული სიმდიდრე მოსკოვში გადასვლის შემდეგ დააგროვა, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, თორემ, ვიდრე ცეკას მდივანი იყო, საქართველოში ნაშოვნი მილიონები სულ კრემლში ზიდა და ზიდა. ჩვენ ერთხელ უკვე ვთქვით, რომ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს **ნიკოლაი შჩოლოკოვს** შევარდნაძე მოსკოვში ხშირად სტუმრობდა და მთელ მის ოჯახს საჩუქრებით ავსებდა. 1983 წელს საქართველოში არსებობდა რამდენიმე მითი. მათ შორის ყველაზე გავრცელებული ეს იყო — **„1983 წელს შევარდნაძეს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღნიშვნა იმიტომ დასჭირდა, რომ ანდროპოვთან ურთიერთობა დაძაბული ჰქონდა და დიდი იყო შანსი, იური ვლადიმეროვიჩს ედუარდ ამბროსოვიჩი მოეშორებინა!“** პირდაპირ ვაცხადებ, რომ ეს არის ტყუილი, რადგან, როგორც უკანასკნელი კვლევებით დასტურდება, შევარდნაძის, როგორც ანტიქართული ძალის გაცეკასმდივნებაში, ანდროპოვის დამსახურება უდიდესია... შევარდნაძეს ტრაქტატის ორასი წლისთავის აღნიშვნა მხოლოდ იმისთვის დასჭირდა, რომ მოსკოვს უფრო კარგად შეძრომოდა. გარდა ამისა, ყველას ავიწყდება ერთი რამ — 1960 წლიდან მოყოლებული, ბრეჟნევის სიკვდილამდე და მერეც — ანდროპოვის ადმინისტრაციაში, კრემლში უდიდესი იყო **კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს** გავლენა, რომელიც ჯერ კიდევ 1948 წლიდან **ლეონიდ ბრეჟნევის** უახლოესი მეგობარი და თანაგუნდელი გახლდათ... ჩერნენკო იყო კრემლის „რუხი კარდინალი“.

**— ვიდრე პირველი პირი გახდებოდა, ჩერნენკოს კრემლში ოფიციალურად რა პოზიცია ეჭირა?**

— **ჩერნენკო** ახალგაზრდობაში ძალიან სიმპათიური კაცი და მუსუსი იყო. მას ორი ცოლი ჰყავდა, რაც მაშინ მიუღებელი გახლდათ. ამიტომ რუსეთის ერთ-ერთი ოლქის მდივნობიდან ის მოლდოვაში აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ გადაიყვანეს, სადაც ბრეჟნევს დაუახლოვდა. ქალები ჩერნენკოს ერთადერთი მინუსი იყო, თორემ სხვა მხრივ ის გახლდათ ძალიან ლაღი, მოქეიფე, თბილი და ვაჟკაცური ბუნების ადამიანი, რომელსაც ქართველები უყვარდა. **კონსტანტინე ჩერნენკო წარმოშობით გაციმბირებული უკრაინელი იყო... ჩვენ მხოლოდ მოწამლული და მოხუცი ჩერნენკო გვახსოვს, თორემ ის ფიზიკურად ძალიან ძლიერი ადამიანი გახლდათ.**

**— ჩერნენკო ვინ მოწამლა?**

— **ჩერნენკო** ანდროპოვის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე მოწამლეს. არსებობს ოფიციალური დასკვნა, რომ ის **1983 წლის ზაფხულში** თევზით მოიწამლა, რაც ძალიან საეჭვოა. როგორც ცნობილია, უკრაინის „კაგებეს“ ყოფილი მინისტრი, არმიის გენერალი **ვიტალი ფედორჩუკი** 1982 წლის მაისში ანდროპოვმა საბჭოთა კავშირის „კაგებეს“ მინისტრად დანიშნა, სადაც მან რამდენიმე თვე დაჰყო, ხოლო 1982 წლის დეკემბერში **ფედორჩუკი** საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრად გაამწესეს. სწორედ **ვიტალი ფედორჩუკმა** გაუგზავნა ჩერნენკოს თევზი, რომლითაც ის მოიწამლა... არადა, **ფედორჩუკიც, შჩოლოკოვიც, ტიხონოვიც, ბრეჟნევიც, ჩერნენკოც და ანდროპოვის** მოადგილეები — **ცვიგუნი** და **ცინიოვი** წარმოადგენდნენ ერთ სამეგობრო წრეს, განუყრელ ძმაკაცებს.

როგორც კი **ლეონიდ ბრეჟნევი** გენერალური მდივანი გახდა, **ჩერნენკო** საბჭოთა კავშირის კომპარტიის საერთო განყოფილების უფროსად დაინიშნა. ჩერნენკოს გარეშე ბრეჟნევთან ვერცერთი ინფორმაცია და წერილი ვერ შევიდოდა. სწორედ ჩერნენკოს საერთო განყოფილებაში მუშავდებოდა „კაგებეს“, შინაგან საქმეთა სამინისტროს, აუდიტის სამსახურისა და აბსოლუტურად ყველა სამინისტროს მიერ მოწოდებული ცნობები. ჩერნენკოს ვიზის გარეშე არცერთი საქმე არ წყდებოდა... შესაბამისად, **ყველა ცეკას მდივანი, ყველა საოლქო მდივანი, თუ მას რაიმე საკითხის მოგვარება სურდა, ჩერნენკოს ვიზის გარეშე ვერაფერს გააწყობდა.**

როგორც ირკვევა, შიდა პოლიტიკის მთელი რიგი საკითხები ბრეჟნევს ისე ჰქონდა ჩერნენკოსთვის დელეგირებული, რომ ეს უკანასკნელი ბევრ რამეს ბრეჟნევის დაუკითხავად წყვეტდა. **ბრეჟნევსა და ჩერნენკოს** შორის აბსოლუტური ნდობა იყო და ჩერნენკოს მითითებას პოლიტბიუროს ნებისმიერი წევრი ასრულებდა. ზუსტად იგივე ეხებოდა საკადრო პოლიტიკასაც... მაგალითად, **ანდროპოვი,** როცა „კაგებეს“ მინისტრი იყო, ვერცერთ თავის სამმართველოს უფროსს ვერ მოხსნიდა, თუ ეს საკითხი ჩერნენკოსთან არ იქნებოდა შეთანხმებული. ამ ყველაფერს იმიტომ მოგახსენებთ, რომ კარიერისტ და კორუმპირებულ შევარდნაძეს **ჩერნენკოსთან,** როგორც კრემლის „რუხ კარდინალთან“, იდეალური ურთიერთობა ჰქონდა...

**— რაში გამოიხატებოდა ეს „იდეალური ურთიერთობა“?**

— ვიდრე **ჩერნენკო** ცუდად გახდებოდა, 1982 წლის შემოდგომაზე ის საქართველოში ჩამოვიდა. ჩემს საოჯახო არქივში ინახება ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია „მზიურში“ ჩერნენკოს სტუმრობა. წინა პლანზე ჩვენ ვხედავთ **ჩერნენკოს, შევარდნაძეს, სოსო ორჯონიკიძესა და ირაკლი მასხარაშვილს** — ბიძაჩემს, რომელიც მაშინ „მზიურის“ პროექტის ავტორი იყო, ხოლო შემდეგ ქალაქის არქიტექტორი გახდა. სიღრმეში ჩანს ახალგაზრდა **იგორ გიორგაძე,** აქვეა **ალექსი ინა-**



**„წინა პლანზე ჩვენ ვხედავთ ჩერნენკოს, შევარდნაძეს, სოსო ორჯონიკიძესა და ირაკლი მასხარაშვილს – ბიძაჩემს, რომელიც მაშინ „მზიურის“ პროექტის ავტორი იყო, ხოლო შემდეგ ქალაქის არქიტექტორი გახდა!“**

**შურიც,** რომელიც ამრეზით იყურება... „მზიური“ საბჭოთა კავშირში პირველი „დისნეი-ლენდი“ იყო. შევარდნაძის დავალებით, ჩერნენკოს ბიძაჩემი ელაპარაკა და „მზიურისთვის“ 150 მილიონი საბჭოთა მანეთის გამოყოფა **ჩერნენკომ** იქვე გადაწყვიტა. ეს კოლოსალური თანხა იყო, მაგრამ ჩერნენკოს შეეძლო ასეთი გადაწყვეტილების მიღება. მერე „გარდაქმნამ“ ეს პროექტი ჩაშალა, თორემ „მზიურში“ საოცარი რაღაცები უნდა გაკეთებულიყო... **რომ არა შევარდნაძის იდეალური ურთიერთობა ჩერნენკოსთან, ეს ამბავი არ გადაწყდებოდა.**

ჩერნენკოს ჰქონდა ერთი დიდი პლუსი — მას არ უნდოდა პირველკაცობა და არ იყო კარიერისტი! სწორედ ამის გამო ბრეჟნევი მასში კონკურენტს ვერ ხედავდა და ბოლომდე ენდობოდა... ამ სურათზე შევარდნაძე ბედნიერია, მას ყველაფერი დალაგებული აქვს, მაგრამ თბილისში ჩერნენკოს ვიზიტის შემდეგ ედუარდმა საქართველოში ავტორიტეტი ძალიან სწრაფად დაკარგა, რადგან რამდენიმე მოვლენა ერთმანეთს დაემთხვა!

**— მაინც რა იყო ამის მიზეზი?**

— ამის მიზეზი იყო **გეორგიევსკის ტრაქტატის** 200 წლისთავის დამამცირებელი აღნიშვნა და „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმე, რასაც ემატებოდა საშინელი კორუფცია და მეღვინეებთან დაკავშირებული სკანდალი. ყველა მიხვდა, რომ შევარდნაძის სახით ქვეყანას მართავდა გაქანებული კარიერისტი და ყველაფერზე ხელის მომწერი მედროვე, რომელიც სამშობლოს ინტერესებს არად დაგიდევდათ. სხვათაშორის, „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმეს ძალიან ცუდი სამსახური გაუწია საბჭოთა პროპაგანდის მიერ იმის დამალვამ, რომ **მამა-შვილი ბრაზაუსკასები,** რომლებმაც 1970 წლის 15 ოქტომბერს ბათუმი-სოხუმის სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცეს და ტრაპიზონის აეროპორტში დასხდნენ, ამერიკელებმა ტაშფანდურით კი არ მიიღეს, არამედ სინამდვილეში დააპატიმრეს და დიდხანს ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი.

მოსკოვმა მამა-შვილის დაპატიმრების ფაქტი დამალა და ხმა დაყარა, თითქოს ამერიკა ტერორისტებს დროშების ფრიალით შეხვდა. ამ ცრუ პროპაგანდამ



**მარიკა ლორთქიფანიძე, ნიკო ჭავჭავაძე, ოთარ ჯაყელი**

„ზუსტად ვიცი, რომ ისტორიკოს მარიკა ლორთქიფანიძეს, ფილოსოფოს ნიკო ჭავჭავაძესა და არქიტექტორ ოთარ ჯაყელს „თვითმფრინავის ბიჭების“ გადასარჩენად

# თავიანთი ხელმოწერები უკან არ წაუღიათ!“

ელიტურ ოჯახებში დაბადებული და გაზრდილი ქართველი ახალგაზრდების გონებაში წარმოშვა რომანტიკული განცდა იმის შესახებ, რომ მათაც იგივე „გმირობა“ ჩაედინათ. **დარწმუნებული ვარ, „თვითმფრინავის ბიჭებს“ რომ სცოდნოდათ, ბრაზაუსკასების დაპატიმრების შესახებ, თვითმფრინავის გატაცების საშინელ იდეას თავიდან ამოიგდებდნენ.** შევარდნაძის მიმართ ხალხში საშინელი აგრესია წამოვიდა მაშინ, როცა მან სრულიად უდანაშაულო ბერი **თეოდორე ჩიხლაძე** დახვრიტა!

**— მისაუბრია მის ყოფილ მეუღლესთან და ვიცი, რომ მამა თეოდორე ჩიხლაძის ქალიშვილს, რომელიც შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ამ საქმეს იძიებდა, უშიშროების თანამშრომლები დაემუქრნენ — გაჩერდი, თორემ მოგკლავთო!**

— ამ თემაზე მილაპარაკია დახვრეტილთა ოჯახის წევრებთან, ცეკას მდივან **გურამ ენუქიძესთან** და დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ **მამა თეოდორე ჩიხლაძე** არც თვითმფრინავში ყოფილა, არც — აეროპორტში და არც — **გეგა კობახიძისა და თინა ფეტვიაშვილის** ქორწილში. უფრო მეტიც, შემთხვევამდე, ანუ 1983 წლის 18-19 ნოემბრამდე ერთი წლით ადრე, **მამა თეოდორე ჩიხლაძეს** უკვე ბიჭებთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა, რადგან ის არ ემხრობოდა ძალადობრივი გზით საზღვრის გადალახვის გეგმას და ეკლესიაში ბერად აღიკვეცა.

მიუხედავად ამისა, შევარდნაძემ **მამა თეოდორე** მაინც დააზვრეტინა, რათა მოეხდინა საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაცია და ეთქვა — **„აი, რას ასწავლის საზოგადოებას ეკლესია, აი, ვინ არიან მღვდლები!“ სოსო წერეთელი** თვითმფრინავიდან რომ გამოჰყავდათ, ცოცხალი იყო. გაყვანის დროს სოსომ შევარდნაძეს დედა აგინა... შევარდნაძის ბრძანებით, **სოსო წერეთელს** არ უმკურნალეს და რამდენიმე დღეში ციხეში გარდაიცვალა! ეს ამბავი გახმაურდა და ამის გამო ხალხი შევარდნაძეზე აიჯაგრა. ამას დაემატა **გეგა კობახიძის** ცოლის **თინა ფეტვიაშვილის** ტრაგედია, რომელიც ორსულად იყო, ძალით გაუკეთეს ოპერაცია და მუცელი მოუშალეს... ეს ამბავიც გახმაურდა და შევარდნაძეს ამის გამო აგინებდნენ.

მოკლედ, იმისათვის, რათა შევარდნაძეს მოსკოვის რისხვა თავიდან აეცილებინა — აქაოდა, კომკავშირი სათანადოდ ვერ მუშაობს და ახალგაზრდები თვითმფრინავებს იტაცებენო! — გამოჩხრიკა ბიჭების ნაცნობმეგობარი, სრულიად უდანაშაულო **ბერი თეოდორე ჩიხლაძე,** რომელიც ტყუილუბრალოდ დახვრიტა და ხელი ეკლესიისკენ გაიშვირა — „აი, ვინ გვღუპავსო!“ ბერმა **თეოდორე ჩიხლაძემ** თავი გაწირა და მთელი დანაშაულის ორგანიზატორობა თავის თავზე აიღო, რათა თვითმფრინავში ცოცხლად გადარჩენილი გეგა კობახიძე და ძმები ივერიელები დახვრეტას გადაერჩინა. მოგეხსენებათ, ვინც თვითმფრინავში გაისროლა, ყველა დახოცილი იყო, ამიტომ, თუ **ბერი თეოდორე** დანაშაულის ორგანიზატორობას თავის თავზე აიღებდა, თვით საბჭოთა კანონმდებლობითაც კი **გეგა კობახიძესა და ძმებ ივერიელებს** ვერ დახვრეტდნენ, რადგან მათ არავინ მოუკლავთ. მიუხედავად ამისა, შევარდნაძის მითითებით, **გეგა კობახიძე და ძმები ივერიელები** მაინც დახვრიტეს! სიკვდილმისჯილთა შესაწყალებლად ქართველმა ინტელიგენციამ ხელმოწერები შეაგროვა და შევარდნაძეს მიმართა...

**— თუმცა, მერე მათმა უდიდესმა უმრავლესობამ — თემურ ჩხეიძემ, ვახუშტი კოტეტიშვილმა და სხვებმა ისევ უკან წაიღეს თავიანთი თხოვნა!**

— ზუსტად ვიცი, რომ ისტორიკოს **მარიკა ლორთქიფანიძეს,** ფილოსოფოს **ნიკო ჭავჭავაძესა** და არქიტექტორ **ოთარ ჯაყელს** „თვითმფრინავის ბიჭების“ გადასარჩენად თავიანთი ხელმოწერები უკან არ წაუღიათ, დანარჩენმა ყველამ უკან დაიხია. **ნოდარ დუმბაძემ** შევარდნაძეს ბიჭების შეწყალება პირადად სთხოვა, მაგრამ არაფერმა გაჭრა.

**— კი მაგრამ, მოსკოვმა არ იცოდა, რომ ბერ თეოდორე ჩიხლაძეს შევარდნაძე ტყუილად ხვრეტდა?**

— **სასამართლო პროცესზე, რომელიც 1984 წლის ზაფხულში სწორედ ჩერნენკოს გენერალური მდივნობის დროს მიმდინარეობდა,** ბერი თეოდორე ჩიხლაძის უდანაშაულობა ნათლად გამოჩნდა, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შევარდნაძეს იმდენად კარგი ურთიერთობა ჰქონდა **ჩერნენკოსთან,** არავითარი შენიშვნა არ მისცეს და ბოლომდე აღასრულებინეს სატანური რიტუალი — დააკვლევინეს მღვდელი! ამით ედუარდმა კრემლს კიდევ ერთხელ დაანახა, რომ მოსკოვის გულისთვის უდანაშაულო კაცსაც დახვრეტდა...

**— კი მაგრამ, ასეთი მედროვე და დაუნდობელი შევარდნაძე კრემლში რა ნიშნით გადაიყვანეს?**

— ეს ძალიან საინტერესო საკითხია! **ჩერნენკო** გენერალური მდივანი რომ გახდა, ცხადი იყო, რომ დიდხანს ვერ იცოცხლებდა. ისიც ცხადი გახლდათ, რომ მთავარი ბრძოლა გაჩაღდებოდა ანდროპოვის ფავორიტ **მიხეილ გორბაჩოვსა და ვლადიმერ შჩერბიცკის** შორის, რომელიც **გრიშინისა და კაპიტონოვის** აზრით, **ბრეჟნევს** თავის მემკვიდრედ მიაჩნდა. როცა **ჩერნენკო** მოკვდა, **შჩერბიცკი** მაშინ ამერიკაში იყო. თანაშემწეებმა **შჩერბიცკის** ჩერნენკოს გარდაცვალება დაუმალა. ამიტომ ახალი გენერალური მდივნის არჩევისას **შჩერბიცკი** არ ესწრებოდა იმ პოლიტბიუროს სხდომას, სადაც **ანდრეი გრომიკომ** არჩევანი **გორბაჩოვზე** გააკეთა. როგორც ჩანს, **გორბაჩოვის** გუნდი **შევარდნაძის** მოსკოვში გადაყვანას და საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნას იმთავითვე განიხილავდა!

**— რატომ, შევარდნაძემ ხომ საგარეო პოლიტიკის არაფერი იცოდა? მოგეხსენებათ, ამის შესახებ თვითონაც ამბობს ინტერვიუში...**

— საქმეც ის გახლავთ, რომ **გორბაჩოვსა და მის თანაგუნდელებს — იაკოვლევს, არბატოვს, მედვედევსა და აკადემიკოსთა ჯგუფს,** რომლებიც, როგორც ჩანს, ამერიკის სპეცსამსახურების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ესაჭიროებოდათ უწიგნური, გაუნათლებელი, მაგრამ ამბიციური და არტისტული ბუნების მქონე პიროვნება, რომელიც უარს არაფერზე იტყოდა და უცხოელთა ნებას ადვილად დამორჩილდებოდა. ასეთი სწორედ **შევარდნაძე** იყო...

ამ ჯგუფის სურვილი გახლდათ სტალინური გეგმური ეკონომიკის დანგრევა და საბჭოთა კავშირის ტრანსფორმაცია ახალ რუსულ იმპერიად. **არ ვიცი, იყვნენ თუ არა ისინი ამერიკული „ცერეუს“ პირდაპირი აგენტები, მაგრამ კუჭის აგენტები რომ იყვნენ, ცხადია!** ამდენად, შევარდნაძე, როგორც უწიგნური, ჯალათი და არაპროფესიონალი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე გორბაჩოვისა და მისი გუნდის კრიტერიუმებს ყოველმხრივ აკმაყოფილებდა.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



**იაკოვლევი, გორბაჩოვი და შევარდნაძე**

**„გორბაჩოვსა და მის თანაგუნდელებს — იაკოვლევს, არბატოვს, მედვედევსა და აკადემიკოსთა ჯგუფს, რომლებიც, როგორც ჩანს, ამერიკის სპეცსამსახურების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ესაჭიროებოდათ უწიგნური, გაუნათლებელი, მაგრამ ამბიციური და არტისტული ბუნების მქონე პიროვნება!“**

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## საინტერესოა, რა აზრისა იყვნენ ი. სტალინზე ფაშისტური გერმანიის ხელმძღვანელები, რას ამბობდნენ მასზე არა ფართო საზოგადოებისათვის, არამედ ვიწრო წრეში, როგორ აფასებდნენ მას, როგორც პოლიტიკოსს?

ეს აზრი თანდათან იცვლებოდა ომის მსვლელობისას, რომელიც **ჰიტლერსა** და მის თანამოსაგრეებს პირველ ხანებში მოგებულად ეჩვენებოდათ, მაგრამ კატასტროფად გადაექცათ. თავიდან **ჰიტლერი სტალინზე** დიდი აზრისა არ ყოფილა, რაც მისი **„სუფრასთან საუბრებიდან“** ჩანს (ჩაიწერა ფიურერის ერთ-ერთმა მდივანმა ჰენრი პიკერმა). ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე **ფიურერმა**, მაგალითად, განაცხადა: **„რუსი ადამიანი არასრულფასოვანია. რუსულ არმიას ნამდვილი მეთაურები არ ჰყავს. სტალინი, მთელი მისი კოლოსალური ძალაუფლების მიუხედავად, როგორც ბელადი, ქმედუუნაროა.“** სხვა საუბარში **ჰიტლერმა** აღნიშნა, რომ **„სტალინი, შესაძლოა, შემდგარიყო, როგორც ბელადი, ბოლშევიზმის ცრუ დოქტრინა რომ არ ელიარებინა და მსოფლიო ებრაელობას რომ არ გამოეჭირა.“**





მაგრამ პირველივე დარტყმების შემდეგ, რომლებიც ვერმახტს წითელმა არმიამ მიაყენა, **ფიურერი** დიამეტრულად იცვლის შეხედულებას მოწინააღმდეგეზე. ის აღიარებს, რომ **ი. სტალინმა „კარგი მხედართმთავრების მთელი პლეადა გამოზარდა“** და რომ ის **„თავისი ავტორიტეტითა და მნიშვნელობით რუსეთისთვის ნებისმიერ რუს მეფეზე მაღლა დგას“**. ერთ-ერთ მომდევნო **„სუფრასთან საუბარში“ ფიურერი** პირდაპირ ამბობს, რომ **„სტალინი, უდავოდ, თავისებური გენიოსია“** და რომ ის, **ჰიტლერი,** ომის ძლევამოსილად დასრულების შემდეგ **„მზად არის, გერმანიის ერთ-ერთი საუკეთესო ციხესიმაგრე უბოძოს, რათა საბჭოთა ბელადმა იქ საპატიო ტყვის რანგში იცხოვროს“. ჰიტლერის** აზრით, **სტალინი „გერმანიის ეგიდით რუსეთის საუკეთესო მმართველი“** იქნებოდა, მაგრამ **ფიურერს,** რა თქმა უნდა, ესმის, რომ **„მსგავსი ვარიანტი სრულებით გამორიცხულია“.**

საგულისხმოა, რომ დაახლოებით ასევე ეცვლებოდა **სტალინზე** აზრი პროპაგანდის მინისტრ გებელსს, რასაც მისი პირადი დღიურები მოწმობს. აი, ერთ-ერთი ჩანაწერი: **„საბჭოთა ხელმძღვანელობა სამხედრო მიზნების მიღწევაში უკიდურესად უნაყოფო და მოუქნელი აღმოჩნდა. მას, პრაქტიკულად, არაფერი გაეგება არც სამხედრო ფსიქოლოგიაში, არც სამხედრო მმართველობაში. სტალინი ისე გვიყურებს, როგორც ბაჭია — პითონს.“**

გამოფხიზლება ბრძოლის ველებზე წითელი არმიის გამარჯვებათა კვალდაკვალ მოდის: **„სტალინი უფრო დიდ რეალისტად მეჩვენება, ვიდრე ინგლისელ-ამერიკელი შეშლილები“; „სტალინი სულით ხორცამდე რეალისტია“; „ფიურერი მართალია, როდესაც ამბობს, რომ სტალინმა დროულად ჩაატარა სამხედრო რეფორმა და ახლა მისი ნაყოფით სარგებლობს“; „სტალინს შეუძლია საკუთარ გენერლებს კინოვარსკვლავებივით ელოლიავოს“; „სტალინს მისივე აღზრდილი გამოჩენილი მხედართმთავრების მთელი წყება ჰყავს...“**

აი, შეფასებების ამპლიტუდა. ფაშისტური გერმანიის მეთაურები მეტისმეტად გვიან გამოფხიზლდნენ.

## მსმენია, რომ 20-იან თუ 30-იან წლებში გარდა საკავშიროსი, რესპუბლიკური ორდენებიც არსებობდა და თავისი ორდენები საქართველოსაც ჰქონდა. მართალია თუ არა ეს?





**დიახ, ამგვარი ორდენები მართლაც არსებობდა, თანაც ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. თუმცა ისინი, ფაქტობრივად, საერთო-საკავშირო ორდენების დუბლირებას წარმოადგენდა როგორც სტატუტით, ისე შესრულებით.** ეს იყო ორი რესპუბლიკური ორდენი, რომლებსაც სახელწოდებაც კი საკავშიროსი ჰქონდა — წითელი დროშის და შრომის წითელი დროშის. **„საქართველოს სსრ წითელი დროშის ორდენი“ 1921 წლის 9 ოქტომბერს** დაარსდა და მისით **1924 წლის ჩათვლით** აჯილდოებდნენ. გარეგნულად ის თითქმის არაფრით განსხვავდებოდა საკავშიროსაგან, ერთის გარდა — წარწერა **„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“** ქართულ ენაზე იყო შესრულებული. **„საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენი“ 1928 წლის დასაწყისში** დაარსდა და თავის **„თანამებრძოლზე“** ბევრად მეტ ხანს იარსება — **1936 წლამდე,** რის შემდეგაც გაუქმდა.

რესპუბლიკური ორდენებით დაჯილდოების პრაქტიკის აღდგენა **1953 წლის ზაფხულში ლ. ბერიამ** სცადა. ის **სკკპ ცკ-ში შევიდა წინადადებით ამა თუ იმ ხალხის დიადი შვილების სახელობის რესპუბლიკური ორდენების დაარსების შესახებ.** ასე, მაგალითად, **უზბეკეთისათვის** ის **ალიშერ ნავოის** ორდენს სთავაზობდა, **უკრაინისათვის — ტარას შევჩენკოს, საქართველოსათვის** კი — **რუსთაველის.** მაგრამ ეს მცდელობა ამაო გამოდგა. **26 ივნისს ბერია** დაიღუპა. სკკპ ცკ-ის ივლისის პლენუმზე კი რესპუბლიკური ორდენები **„ხალხის მტრის ნაციონალისტურ დივერსიად“** შეაფასეს.

## როდის გახდა ქალაქი მოსკოვი საბჭოთა კავშირის დედაქალაქი? თავიდან ხომ ლენინი და მისი თანამოსაგრეები პეტროგრადში იმყოფებოდნენ.

**1918 წლის მარტში.** დედაქალაქის შეცვლის გადაწყვეტილება ბოლშევიკური ხელმძღვანელობის თათბირზე მიიღეს **ლენინის** თავმჯდომარეობით. ეს განაპირობა, ერთი მხრივ, **პეტროგრადზე თეთრი გენერალი იუდენიჩის** შეტევამ, მეორე მხრივ კი — საზღვრის სიახლოვემ. **სტალინის** აზრით, მიზანშეწონილი იყო, დედაქალაქი **მოსკოვში** გადაეტანათ, რომელიც საზღვრიდან შორს მდებარეობდა და თანაც რუსეთის ისტორიული დედაქალაქი გახლდათ. ამავე სხდომაზე განისაზღვრა, სად განლაგდებოდა ბოლშევიკური ხელმძღვანელობა — კრემლში. ამ წინადადებას **ზინოვიევი** და **კამენევი** არ დაეთანხმნენ და განაცხადეს, რომ **„არ შეიძლება მუშურ-გლეხური ხელისუფლება იქ იმყოფებოდეს, სადაც რუსეთის მეფეებს ადგამდნენ გვირგვინს“.** ამაზე **სტალინმა** უპასუხა: **„ესე იგი, მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას შეეძლო, სმოლნის კეთილშობილ ასულთა ინსტიტუტში დარჩენილიყო?“** ამის შემდეგ კრემლი, როგორც მთავარი რეზიდენცია, ხმათა უმრავლესობით, მხიარული გამოცოცხლების და ლენინის ხმამაღალი სიცილის თანხლებით დამტკიცდა. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საკ-ის და სახკომსაბჭოს ხელმძღვანელობა ახალ რეზიდენციაში **1918 წლის 10 მარტს** გადავიდა. იმ დღეს მოსკოვის ნიკოლაის (ამჟამად ლენინგრადის) სადგურზე, პრაქტიკულად, მთელი ბოლშევიკური ხელმძღვანელობა ჩამოვიდა. **ლენინი მოსკოვში** მეორე დღეს გადაბარგდა. ასე გახდა **მოსკოვი** ჯერ რსფსრ-ის, **1922 წლის დეკემბრიდან** კი (სსრკ-ის ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ) — საკავშირო დედაქალაქი.



*ვლადიმერ ლენინი მოსკოვში, წითელ მოედანზე. 1919 წლის 25 მაისი.*

## გთხოვთ, გვიამბოთ 20-30-იან წლებში საქართველოს ჩეკისტური ორგანოების ხელმძღვანელთა შესახებ. მართალია, რომ უკლებლივ ყველა დახვრიტეს?

ერთადერთი გამონაკლისი მაინც არსებობდა — საქართველოს ЧК-ს პირველი თავმჯდომარე **გიორგი ელისაბედაშვილი** (1881-1955), **ი. სტალინის** თანაქალაქელი და თანაკლასელი გორის სასულიერო სასწავლებელში. თუმცა, **ელისაბედაშვილი** ჩეკისტურ „აღლუმს“ ცოტა ხანს მეთაურობდა. ის ამ პოსტზე **1921 წლის 26 თებერვალს** დანიშნეს, ანუ ტფილისში მე-11 არმიის შემოსვლის მეორე დღესვე, ხოლო **8 მარტს** უკვე გაათავისუფლეს და მას შემდეგ პარტიულ და საბჭოთა აპარატში სხვადასხვა თანამდებობა ეკავა. ეს თანამდებობები სავსებით საპატიო, მაგრამ, ფაქტობრივად, სინეკურული იყო და, როგორც ჩანს, სწორედ ამან მისცა შესაძლებლობა, **„თავისი სიკვდილით“** აღსრულებულიყო გორელ თანაკლასელზე ორი წლით გვიან.

საქართველოს ЧК-ГПУ-НКВД-ს დანარჩენ ხელმძღვანელთა ბედი მართლაც ტრაგიკულია. გაგაცნობთ ჩეკისტი სიკვდილმისჯილების მთელ სიას. საქართველოს ЧК-ს ხელმძღვანელის პოსტზე **ელისაბედაშვილი კოტე ცინცაძემ** შეცვალა. მან ამ პოსტზე **1922 წლის 3 ნოემბრამდე** დაჰყო, მერე კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო. პარტიიდან გარიცხეს და გადაასახლეს, როგორც **ბუდუ მდივანის „ნაციონალ-უკლონისტთა ჯგუფის“** წევრი. **1937 წლის 20 ოქტომბერს** დახვრიტეს.



ლავრენტი ბერია

შემდეგი იყო **ეპიფანე კვანტალიანი,** რომელიც საქართველოს ЧК-ГПУ-ს **1926 წლის 28 ნოემბრამდე** ხელმძღვანელობდა. შემდგომში საბჭოთა ორგანოებში უმნიშვნელო თანამდებობებზე მუშაობდა. დახვრიტეს **1937 წლის 4 ოქტომბერს.**

**კვანტალიანის** ადგილი **ლავრენტი ბერიამ** დაიკავა. ის ამ პოსტზე **1931 წლის დეკემბრის დასაწყისამდე** იმყოფებოდა. ბერიას შემდგომი კარიერა მკითხველისთვის ცნობილია. ოფიციალური ვერსიით, ის **1953 წლის 23 დეკემბერს** დახვრიტეს, სინამდვილეში კი იმავე წლის **26 ივნისს** მისი სახლის შტურმის დროს მოკლეს. შემდეგი **ტიტე (დიმიტრი) ლორთქიფანიძე** გახლდათ, რომელიც ГПУ-ს თავმჯდომარე **1933 წლის 14 თებერვლამდე** იყო. ამის შემდეგ კი სხვადასხვა მაღალი პოსტი ეკავა ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობაში. უკანასკნელი სამუშაო ადგილი — ყირიმის ასსრ შინაგან საქმეთა სახკომი. **დახვრიტეს 1937 წლის 14 სექტემბერს.**

**ლორთქიფანიძის** შემცვლელად ძველი ბოლშევიკი **დავით კილაძე** დაინიშნა. ის ორგანოებს **1933 წლის თებერვლიდან 1934 წლის ნოემბრამდე** ხელმძღვანელობდა. დახვრიტეს **1937 წლის 4 ოქტომბერს.**

**კილაძის** შემდეგ ვახტზე **ბერიას** უახლოესი თანამოსაგრე — **სერგო გოგლიძე** დგება. საქართველოს НКВД-ს სავარძელს ის **1938 წლის ნოემბრამდე** მართავდა, ანუ იმ მომენტამდე, როდესაც მისი პატრონი და მეგობარი მთელი კავშირის სადამსჯელო ორგანოებს ჩაუდგა სათავეში. **ბერიამ გოგლიძე** მოსკოვში გადაიყვანა, სადაც ის НКВД-ს ცენტრალურ აპარატში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა — სამმართველოს უფროსად, სახალხო კომისრის მოადგილედ. **გოგლიძე 1953 წლის 23 დეკემბერს დახვრიტეს ბერიას** სხვა თანამოსაგრეებთან — **კობულოვთან, დეკანოზოვთან, მერკულოვთან, მეშიკთან და ვლოძიმირსკისთან** ერთად.

აი, ასეთია 20-30-იანი წლების სურათი.



ტიტე (დიმიტრი) ლორთქიფანიძე



დავით კილაძე



სერგო გოგლიძე


2023 წლის 18 სექტემბერი, №54 (222)

**სარედაქციო კოლეგია**

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**




მიხაილო პოდოლიაკი და დავით არახამია

# პოდოლიაკსა და მისნაირ პოდონოკებს შევახსენებთ!

***დღევანდელი სტამბოლისა და ადრინდელი კონსტანტინოპოლის ხელში ჩასაგდებად რუსეთი ჯერ კიდევ იმ დროიდან იბრძვის, რაც კიევის რუსეთის სახელმწიფოს კონტურები მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე გამოიკვეთა.***

უძველესი რუსული მატიანის, **„გარდასულ წელთა ამბავის“** მიხედვით, **ნოვგოროდის მთავარმა ოლეგმა** 907 და 911 წლებში ბიზანტიაში ორჯერ ილაშქრა, ორივეჯერ კონსტანტინოპოლზე მიიტანა იერიში და იმპერატორი **ლეონ მეექვსე ბრძენი** აიძულა, რუსებისთვის უბაჟოდ ვაჭრობის ნება დაერთო. ამ გამარჯვების ნიშნად ოლეგმა კონსტანტინოპოლის კარიბჭეზე თავისი ფარი მიაჭედა.

არსებობს ლეგენდა, რომ **ოლეგი კონსტანტინოპოლში თავისი ფარის წამოსაღებად აუცილებლად დაბრუნდება და მიწასთან გაასწორებს ქალაქს!** 941-944 წლებში **კონსტანტინოპოლს,** იგივე **ცარგრადს** ორჯერ შეუტია ოლეგის მემკვიდრე **იგორმაც,** რომელიც მამის მსგავსად, ყოველთვის ბიზანტიისკენ ისწრაფოდა.

გაივლის, სულ რაღაც, ათასი წელი და ყველა დროის უდიდესი იმპერატორი **იოსებ სტალინი** მას შემდეგ, რაც ფაშისტური გერმანიის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, **აქტიურ მზადებას დაიწყებს ბოსფორისა და დარდანელის დასაპატრონებლად**. 1945 წლის აგვისტოში ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბების აფეთქებამ ეს გეგმა დროებით ჩაშალა, თუმცა, **სტალინს კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდებაზე უარი არ უთქვამს.** 1945 წლის დეკემბერში სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული დიდი ქართველი ისტორიკოსების — **სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის** გახმაურებული წერილი — **„საქართველოს კანონიერი პრეტენზიები ოკუპანტი თურქეთის მიმართ!“** 1952 წლის მიწურულს, როცა საბჭოთა კავშირს წყალბადის ბომბი, ფაქტობრივად, შექმნილი ჰქონდა, სტალინმა საბჭოთა არმიის საუკეთესო ნაწილები თურქეთის დასანგრევად და კონსტანტინოპოლის ხელში ჩასაგდებად საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მეცადინეობით, **1952 წელს თურქეთი და საბერძნეთი ნატოში ყურით შეათრიეს, რითიც ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე წამომართულ ოკუპანტსა და ქრისტიანობის კარიბჭის დამამხობელს ქართული და სომხური მიწების მიტაცება უკურთხეს!**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ

**ბრიტანეთს საქართველოს ისტორიული მიწების გასხვისებაში არავისზე ნაკლები დანაშაული არ მიუძღვის. 1918–1919 წლის დეკემბერ–იანვარში კაიზერულ გერმანიასთან მოკავშირეობის გამო სწორედ ბრიტანეთმა დაგვსაჯა და ლორე-ტაშირი, ფაქტობრივად, დაშნაკურ სომხეთს მიუზომა, ხოლო 1952 წელს თურქეთის მიერ ოკუპირებული ტაო-კლარჯეთის დაბრუნების შანსი მოგვისპო და თურქეთს ნატოს ქოლგა გადააფარა.**




ვლადიმერ ლენინი

ლევ ტროცკი

## გერმანელი ერის დიდ შვილს ოტო ფონ ბისმარკს მიაწერენ შემდეგ სიტყვებს:

**„რუსეთის სიძლიერე შეიძლება მხოლოდ მისგან უკრაინის გამოყოფამ შეარყიოს. აუცილებელია, უკრაინა რუსეთს არამხოლოდ მოვწყვიტოთ, არამედ დავუპირისპიროთ კიდეც, ერთი ხალხის ორი ნაწილი ერთმანეთს გადავკიდოთ და ვუყუროთ, როგორ კლავს ძმა ძმას!“**

•

რუსეთი კონსტანტინოპოლს ისევე, როგორც მართლმადიდებლობის სიწმინდეს, ყოველთვის ელტვოდა. ამ მხრივ მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარის ვნებებს პოლიტიკურად ახლომხედველი და გულუბრყვილო ქართველები ხშირად ამძაფრებდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, **სპარსეთის შაჰმა, სულძაღლმა აბას პირველმა, რომელმაც ქართველი ბებიის წყალობით ქართული უცდომლად იცოდა,** თითქოსდა სვეტიცხოველში მართლაც იპოვა აბრეშუმის თეთრი ნაჭერი, რომელიც რუსთხელმწიფეს დიდი პატივითა და ზარ-ზეიმით გაუგზავნა, ვითარცა ქრისტეს კვართი. **იმ დღიდან, რაც ღვთისპირისგან შეჩვენებულმა და საქართველოს ამომგდებმა შაჰმა მოსკოვს სვეტიცხოველში ნაპოვნი თეთრი ნაჭერი გაუგზავნა, რუსეთის ეკლესია ირწმუნება, რომ უფლის კვართი მოსკოვშია,** ხოლო ჩვენ ვამტკიცებთ და გვჯერა, რომ, რაკი დედამიწაზე არ შეიძლება ქრისტეს ორი კვართი არსებობდეს, **კვართი სწორედ სვეტიცხოველშია!**

**ეკატერინე მეორეს** სურდა, უფლის კვართიც ხელში სჭეროდა და სტამბოლიც, მაგრამ მიზნის მიღწევაში ორმა ფაქტორმა შეუშალა ხელი — უფალმა და დიდმა ბრიტანეთმა!

საქართველომ უნდა იცოდეს, რომ, რაც შაჰ-აბასმა ვერ შეძლო, ის ქართველებმა „მოახერხეს“... კერძოდ, 1688 წელს **მეფე არჩილმა** რუსეთში ნამდვილად წმინდა ნინოს ის ჯვარი გაიტანა, რომლითაც მოციქულთა სწორმა მეოთხე საუკუნეში საქართველო გააქრისტიანა, ხოლო შემდეგ ეს უდიდესი ეროვნული სიწმინდე **ბაქარ ბატონიშვილის** შთამომავალმა იმპერატორ **ალექსანდრე პირველს** მიართვა. მამის მკვლელმა **ალექსანდრემ,** რომელმაც ძალიან კარგად უწყოდა, რომ მამამისი, იმპერატორი **პავლე პირველი** შეთქმულების ღამეს სწორედ ქართველმა გენერალმა **ვლადიმერ იაშვილმა** მოახრჩო გენერლის ლენტით, ქართველებს „პატივისცემა“ იმით გადაგვიხადა, რომ ნინოს ჯვარი ვერცხლით მოჭედილ ყდაში ჩააბრძანებინა, 1802 წელს რუსის ჯარს წინ წარუმძღვარა, დარიალის გზით საქართველოსკენ გამოისტუმრა და ქართველებს სილა გაგვაწნა, როცა შემოგვითვალა — **ნინოს ჯვარი თქვენი უდიდესი ეროვნული სიწმინდეა და რუსეთში რა უნდა, თქვენთან იყოსო!**

ქართველთა მცონარობისა და მუცელღმერთობის წყალობით რუსეთში აღმოჩნდა ქრისტიანობის კიდევ ერთი უდიდესი სიწმინდე — **მაცხოვრის სამსჭვალი.** საქართველო რომ გაქრისტიანდა, ამ ფაქტით აღფრთოვანებულმა ბიზანტიის იმპერატორმა **კონსტანტინე დიდმა** ქართველებს საჩუქრად ქრისტეს ორი სამსჭვალი გამოგვიგზავნა. ერთი დღემდე საპატრიარქოში ინახება, ხოლო მეორე, რომელიც ვახტანგ გორგასლის ეპოქიდან მოყოლებული მანგლელი მიტროპოლიტის მიტრაში იყო ჩატანებული, ვახტანგ მეექვსემ თუ მისმა მემკვიდრეებმა რუსეთში გაიტანეს და დღემდე ერმიტაჟში ინახება.

**ეს მხოლოდ ნაწილია იმ უგერგილობისა და ბედოვლათობისა, რომლითაც მამულს ასე ვავნეთ, თორემ რაც რუსის ეგზარქოსებმა საქართველოდან საეკლესიო განძი და სიწმინდეები გაიტაცეს, იმათ აღწერასა და აღნუსხვას ტომეულები არ ეყოფა.**



ოტო ფონ ბისმარკი

•

გერმანელი ერის დიდ შვილს **ოტო ფონ ბისმარკს,** რომელმაც ოდესღაც 400 სამეფო-სამთავროდ დაშლილი და დანაწევრებული გერმანია ერთ მუშტად შეკრა და 1871 წლის 18 იანვარს ვერსალის სარკეებიან დარბაზში კაიზერის იმპერია გამოაცხადა, მიაწერენ შემდეგ სიტყვებს — **„რუსეთის სიძლიერე შეიძლება მხოლოდ მისგან უკრაინის გამოყოფამ შეარყიოს. აუცილებელია, უკრაინა რუსეთს არამხოლოდ მოვწყვიტოთ, არამედ დავუპირისპიროთ კიდეც, ერთი ხალხის ორი ნაწილი ერთმანეთს გადავკიდოთ და ვუყუროთ, როგორ კლავს ძმა ძმას. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ნაციონალურ ელიტაში მოღალატეების პოვნა და გამოზრდა, და მათი დახმარებით დიადი ხალხის ერთი ნაწილის თვითშეგნების იმგვარად შეცვლა, რომ ის შეიძულებს ყოველივე რუსულს, შეიძულებს საკუთარ ჯიშს და ვერც გააცნობიერებს ამას. ყველაფერი დანარჩენი — დროის საკითხია.“**

ბისმარკის ფონდის გერმანელი ამფსონები და ქართველი ყიზილბაშები გვიმტკიცებენ, რომ დიდმა გერმანელმა პოლიტიკოსმა, რომელსაც პოლიტიკას „ხელოვნება“ უწოდა, **„უკრაინის“** მნიშვნელობა არ იცოდა და მსგავს რამეს ვერ იტყოდა. ჩვენ კი გვგონია, რომ ასეთ სულელურ არგუმენტს არცერთი ჭკუათამყოფელი არ გაიზიარებს, რადგან **ბისმარკს,** რომელიც 1859 წლიდან 1861 წლამდე რუსეთში პრუსიის ელჩი იყო და რუსეთის შესა-

*გაგრძელება მე-20 გვერდზე*



დასაწყისი მე-19 გვერდზე

# სტალინს კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდებაზე უარი არ უთქვამს!

ხებ ყველაფერი ზედმიწევნით უწყოდა, შეუძლებელია, არაფერი სცოდნოდა ცნება **„უკრაინის“** შესახებ, რომელიც მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, სხვადასხვა ფორმით ევროპულ თუ რუსულ საისტორიო მწერლობაში ფიგურირებს.

სხვათაშორის, **ბისმარკს,** რომელიც გერმანელებს რუსეთთან ომს კატეგორიულად უკრძალავდა, ესეც აქვს ნათქვამი — რუსები ძნელად იკაზმებიან, მაგრამ წინ სწრაფად მიიწევენო!

ასე რომ, კაცს, რომელმაც გერმანია გააერთიანა, **ნაპოლეონ მესამის** საფრანგეთის ბრწყინვალე იმპერია სედანთან დაანგრია და ათეული წლების განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკის მაჯისცემას განსაზღვრავდა, შეუძლებელია, არ ეფიქრა იმაზე, თუ რა დაანგრევდა ყველაზე მეტად რუსეთს. **ბისმარკს** მათუსალას ასაკამდე რომ მიეღწია, ყველაზე მეტად ის გაახარებდა, რაც დღეს **„უკრაინად“** წოდებულ კვაზისახელმწიფოსა და რუსეთს შორის ხდება. ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ ზემოხსენებული სიტყვები ერთ მშვენიერ დღეს ბისმარკს სადღაც უსათუოდ დასცდა... **მართლაც, უკრაინისა და საქართველოს დამორჩილების გარეშე რუსეთი იმპერიას ვერ კრავს. ხოლო უიმპერიოდ დარჩენილი რუსეთი ეს იგივეა, რაც თევზი — უწყლოდ, ხოლო ქორწილი — უპატარძლოდ!**

უკრაინა, როგორც სახელმწიფო, 1917 წელს ლენინმა და ტროცკიმ შექმნეს. მანამდე იგი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, არასოდეს არსებობდა. თუ ვინმე იტყვის, რომ კიევის რუსეთი სწორედ უკრაინის ტერიტორიაზე ყვაოდა, მაშინ მას იმის დამტკიცებაც მოუწევს, რომ კიევის დიდი მთავრები — **ოლეგი, იგორი, ოლგა, სვიატოსლავი, ვლადიმირი, იაროსლავ ბრძენი და ვლადიმირ მონომახი რუსულად** კი არა, უკრაინულად ლაპარაკობდნენ, რაც სიგიჟეა! თუ ეს ასეა, მაშინ კირილესა და მეთოდეს ბერძნულზე დაყრდნობით ანბანი რუსეთისთვის კი არა, უკრაინისთვის შეუქმნიათ, ხოლო 555 წელს ზაქარია სქოლასტიკოსი ტერმინ **„როსში“** რუსეთსა და რუსებს კი არა, **უკრაინელებს** გულისხმობდა!

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეუძლებელია, არ გამოეხმაურო **ზელენსკის ხროვის** ერთ ცნობილ „პოდონოკს“ — ნაძირალა **მიხაილო პოდოლიაკს,** რომელმაც ჩვენი მისამართით ბოღმა და გესლი კიდევ ერთხელ გადმოანთხია და განაცხადა — **საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს არავინ მიანიჭებსო!**

პოდოლიაკსა და მისნაირ პოდონოკებს შევახსენებთ, რომ 1686 წელს რუსეთმა ე.წ. „მარადიული ზავით“ რეჩ-პოსპოლიტასგან კიევი და მისი შემოგარენი 146 ათას მანეთად იყიდა, ხოლო რეჩ-პოსპოლიტამ უარი თქვა ზაპოროჟიე-სეჩის პროტექტორატზე.

ჩვენმა მტრებმა ისიც კარგად დაიმახსოვრონ, რომ ევროკავშირიც და ნატოც საქართველოსთვის სტრატეგიული ინტერესების მისაღწევად მხოლოდ საშუალებაა. **მოვა დრო, როცა შევარდნაძე-სააკაშვილის მიერ ერთობლივად გაბახებული კონსტიტუციიდან ერთხელ და სამუდამოდ ამოიშანთება სამარცხვინო ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, თურმე, ქართველი ერის ისტორიული ოცნება ნატოში გაწევრიანებაა!**

საქართველოს არაფერი ესაქმება იმ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში, რომელიც რუსეთს ომს ვერ უგებს და ოდენ „მეტანკეობის“ პროპაგანდით გახლავთ დაკავებული!

**ჩვენი პირველი რიგის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ამოცანაა, როგორმე აღვიდგინოთ ის სტატუს-კვო, რაც საბჭოთა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობით იყო განსაზღვრული, ხოლო ამის შემდეგ ვიფიქროთ იმ დიდი საქართველოს აღდგენაზე, რომელიც სახელოვანი პავლე ინგოროყვას თქმით, დაახლოებით 300 ათას კვადრატულ კილომეტრს მოიცავდა და არზრუმამდე აღწევდა.**

**მიხაილო პოდოლიაკს** შევახსენებთ, რომ სახელმწიფო **„უკრაინა“** არის ისტორიის ანაქრონიზმი, **ასეთი პოლიტიკური ერთეული ავადსახსენებელ ლენინამდე და ტროცკამდე კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს** და ვიდრე **ზელენსკისა და მის ხროვას** ევროკავშირში მიიღებენ, მანამდე არც ევროკავშირი იქნება და არც ერთიანი და განუყოფელი უკრაინა!

***დიტო ჩუბინიძე***



## *ავთანდილ დიასამიძე:*

# სამასი წლის განმავლობაში ქართველობა ოკუპანტ თურქეთს 40-ჯერ მაინც აუჯანყდა!



*დასაწყისი იხ. „ა-დ“ №39-40*

***პროფესორი ავთანდილ დიასამიძე იმ წინააღმდეგობის მოძრაობის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც თურქეთის მიერ მიტაცებულ საქართველოს ისტორიულ მიწებზე ოკუპაციის დაწყების დღიდანვე გაჩაღდა და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოსმალეთის ხელისუფლებას, რომელიც დაპყრობილ ტერიტორიებზე ბარბაროსულ პოლიტიკას ატარებდა და გარშემო ყველაფერს ათურქებდა, ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის თხოვნა და მუდარა არასოდეს შეუწყნარებია:***

— როგორც დიდი ქართველი ისტორიკოსები **სიმონ ჯანაშია და ნიკოლოზ ბერძენიშვილი** 1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში — **„თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“** წერდნენ,

*„საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს, მაგრამ თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი. მხოლოდ სიკვდილი, აოხრება და გავლენა მიჰქონდათ მათ ყველგან, სადაც კი ისინი გამოჩნდებოდნენ. მათ მიერ დაპყრობილ ქართულ ოლქებში განვითარებული მატერიალური კულტურა რამდენიმე საფეხურით ჩამოქვეითდა. ქალაქთა ცხოვრება მთლიანად ჩაკვდა იქ, სადაც იგი წინათ სდუღდა და გადმოსდიოდა. გაქრა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურები — მევენახეობა, მეაბრეშუმეობა. მოსახლეობა გაღატაკდა. თურქები მხეცურად, არაადამიანურად სდევნიდნენ ქართველი ხალხის წმინდათა-წმინდას — მის ენას, მის კანონებს და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურასა და სარწმუნოებას. ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენას და ისლამს“.*

სწორედ ასეთი ვითარება იყო თურქ დამპყრობთა მიერ მიტაცებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და, მათ შორის, აჭარაში. ზემო ქართლი, იგივე სამცხე-საათაბაგო, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსაც უწოდებენ და რომელშიც აჭარაც შედიოდა, ვერ ეგუებოდა „ოსმალობას“, გაოსმალების პროცესს, რომელიც ითვალისწინებდა ოსმალური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის დანერგვა-დამკვიდრებას და ყოველივე ქართულის მოსპობას. როგორც **დიმიტრი ბაქრაძე** აღნიშნავდა,

*„ოსმალებმა იმთავითვე ულმობელი ომი გამოუცხადეს ზემო ქართლის ფარგლებში ქრისტიანულ რელიგიას, ქართულ ენას და ზნე-ჩვეულებებს“.*

სწორედ აღნიშნულის გამო იყო, რომ ოსმალთა მთელი სამსაუკუნოვანი ბატონობის ხანა აჭარაში ისევე, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში, **ეს იყო გაუნელებელი აჯანყებებისა და წინააღმდეგობის ისტორია.**

**— მაინც ქართველთა რომელ აჯანყებას გამოარჩევთ თურქული ოკუპაციის წინა-**



## *დიმიტრი ბაქრაძე:*

## ოსმალებმა იმთავითვე ულმობელი ომი გამოუცხადეს ზემო ქართლის ფარგლებში ქრისტიანულ რელიგიას, ქართულ ენას და ზნე-ჩვეულებებს!

## კვირგვინოსნები

**კაკო მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



**„ოცნების“** გაკეთებული არავის არაფერი უნახავს. ამიტომ უკვე **მათი წასვლის დრო მოვიდა.**

„ახალი თაობა“

**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი*



**ბიძინა** საქართველოს **ევროპულ მომავალს უწყობს იმპიჩმენტს,** მადლობა **ბიძინას** „მშვიდობისთვის“.

„ახალი თაობა“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



ჩვენი გუნდი **არც პრეზიდენტის და არც პრემიერის იმპიჩმენტს** მხარს არ დაუჭერს.

„ახალი თაობა“

**ლევან ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



საპარლამენტო ოპოზიცია გონს მოეგოს და **გაყალბებულ პარლამენტში** პროცედურებით თამაშს მორჩეს.

„ახალი თაობა“

**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ევროინტეგრაცია იმის საფასურად, რომ საქართველო განადგურდეს, **ომისა და ღალატის პარტიის წევრების გარდა,** არავის უნდა.

„POSTV“

**აღმდეგ?**

— არცერთი ამ აჯანყების გამოტოვება არ შეიძლება! სამასი წლის განმავლობაში ოკუპანტ თურქეთს ქართველობა ორმოცჯერ მაინც აუჯანყდა! დაწყებული 1578-1586 წლების აჯანყებიდან, 1582, 1587, 1592, 1598, 1604, 1632, 1636, 1640, 1668, 1675, 1680, 1685, 1690, 1697, 1726, 1731, 1737, 1739, 1744, 1770, 1774, 1781, 1792, 1815, 1816, 1830, 1840, 1843, 1844, 1846, 1852, 1855, 1856, 1859, 1862, 1872, 1873, 1875, 1876 წლებში აჭარასა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში თურქული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლა არ განელებულა.

1946 წლის 8 იანვარს გაზეთ „კომუნისტში" სავსებით სამართლიანად წერდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **კალისტრატე ცინცაძე** — „300 წელს გრძელდებოდა უსწორო ბრძოლა". თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ მიმართულ ამ წინააღმდეგობის მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ ქართველი ხალხის ისეთი თავდადებული შვილები, როგორებიც იყვნენ: **მანუჩარ მეორე ჯაყელი, სელიმ ხიმშიაშვილი, მემედ ვაჩნაძე, სულეიმან ნიჟაძე, ახმედ კიკნაძე, ილია მელაძე, სულეიმან გიორგაძე, ოსმან წილოსანი** და მრავალი სხვა.

ოსმალეთის მიერ 1578 წელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობის დასრულებისა და იქ 1879 წელს ჩილდირის, ანუ ახალციხის ვილაეთის დაარსების შემდეგ მალევე გაჩაღდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ათაბაგ **მანუჩარ მეორე ჯაყელის** (1558-1614 წ.წ.) ხელმძღვანელობით. ოსმალეთის სულთანმა 1579 წლის 25 ივნისს, ჩილდირის ვილაეთის შექმნის დღესვე გამაჰმადიანებული მანუჩარი **მუსტაფას** სახელით ვილაეთის ფაშად დანიშნა, მაგრამ მანუჩარი არ შეეგუა ოსმალეთის ხელისუფლების მიერ დაპყრობილი სამცხე-საათაბაგოს გაოსმალების პოლიტიკას.

**— მაინც როგორ იცავდა მანუჩარ ათაბაგი ქართველობას?**

— 1582 წელს მანუჩარმა ოსმალეთის წინააღმდეგ დიდი აჯანყება დაიწყო. მან მრავალი ციხე და სოფელი მტრისგან გაწმინდა, ოსმალებს დიდი ზიანი მიაყენა და მიიმხრო აჭარაც. მანუჩარის ამბოხებამ საფრთხის ქვეშ დააყენა არამარტო ოსმალეთის ხელისუფლების არსებობა სამცხეში, არამედ საგრძნობლად გააუარესა ოსმალთა გარნიზონების მდგომარეობა ქართლის ციხე-ქალაქებში და, განსაკუთრებით კი, თბილისში. ოსმალეთმა ვერ შეძლო მანუჩარის აჯანყების ჩაქრობა სამცხეში. იგი სულ უფრო საშიშ ხასიათს იღებდა. ამასთან, 1582 წელს აჯანყების შემდეგ **მანუჩარმა** სამცხეში აღადგინა ათაბაგობა, რომელიც სულთანმა, ფაქტობრივად, 1579 წელს გააუქმა ჩილდირის საბეგლარბეგოს დაარსებით. **მანუჩარ მეორემ** ასევე უარყო მაჰმადიანობა, სამცხის ათაბაგი გახდა და 1583 წელს ცოლად შეირთო ქართლის მეფის **სვიმონ პირველის ქალიშვილი ელენე.**



# სელიმ ხიმშიაშვილი:

# მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებ!

1755-1815

მანუჩარის სვიმონ მეფესთან დამოყვრება არამარტო მათ დანათესავებას ნიშნავდა, არამედ იგი, ფაქტობრივად, სამცხესა და ქართლის სამეფოებს შორის პოლიტიკური კავშირის დადებასაც მოასწავებდა.

მანუჩარი შემდგომ წლებშიც აგრძელებდა თავის ანტიოსმალურ პოლიტიკას. იგი 1587, 1592 და 1598 წლებში კვლავ ანტიოსმალურ აჯანყებებს მეთაურობდა. მანუჩარის გარდაცვალების შემდეგ მისი ქვრივი — **დედოფალი ელენეც** ცდილობდა ქართველობის დაცვას, მაგრამ ყოველი ცდა ამაო აღმოჩნდა მტრის სიმრავლისა და ძალის წინაშე.

1578-1590 წლებში, ოსმალეთ-ირანის ომის დროს, თურქეთს აჭარა აუჯანყდა. ოსმალეთის სარდლობა იძულებული გამხდარა, აჭარაში აჯანყების ჩასახშობად ლაშქარი გაეგზავნა. 1586 წელს ოსმალებმა მოახერხეს აჭარის ციხეების დაკავება და აჯანყების ჩაქრობა. 1604 წელს სულთანს აჭარა ისევ აუჯანყდა. აჯანყებული აჭარლების წინააღმდეგ სულთანმა **ახმედ მესამემ** თავისი ვეზირის **ჰასან ფაშას** ხელმძღვანელობით აჭარაში ექსპედიცია გამოაგზავნა, რომელმაც დიდხანს ვერ მოახერხა აჯანყების ჩაქრობა.

**— საინტერესოა, ლაზები როგორ ებრძოდნენ თურქულ ოკუპაციას?**

— სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვლევარი **ზაქარია ჭიჭინაძე** წერს, რომ

*„1632 წელს ლაზები აუჯანყდნენ ტრაპიზონის ვალი ფაშას. 1636 წელს ლაზისტანი ხელმეორედ აჯანყდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ოსმალოს ფაშები ძლიერ ბოროტად ექცეოდნენ მცხოვრებთ და სტანჯავდნენ ხარჯების გამო. 1640 წელს თურქეთის მთავრობამ ლაზების აჯანყების მეთაურები გადაასახლეს და დაჰფანტეს. 1668 წელს მთელი აჭარა აუჯანყდა ოსმალეთს... 1680 წელს ზედა აჭარაც აჯანყდა. ისინიც მიხვდნენ ოსმალოს მთავრობის ბოროტ საქციელს, რადგან მთელი ზემო აჭარა ოსმალოდან მოსული ყაჩაღებით გაივსო... 1685 წელს აჯანყდა ნიგალის ხევიც. ამ აჯანყების მეთაურნი იყვნენ მარადიდელნი. აჯანყების მიზეზი იყო ის, რომ ოსმალო დიდ ხარჯს თხოულობდა და ამ ხარჯს მათი ყაჩაღი მოსამართლენი უფრო ადიდებდნენ და ხალხს ტყავს აძრობდნენ. მერე ოსმალოს ფაშები მოვიდნენ და მათ დაამშვიდეს აჯანყებულნი. 1690 წელს შავშელნი აჯანყდნენ, მათ ვერ მოითმინეს ოსმალთა ძარცვა-გლეჯა და უსამართლო სამართალი. შავშელნი ოსმალებმა მალე დააწყნარეს".*

**— ოკუპანტი თურქეთის ხელისუფლება ქართველი მოსახლეობის საჩივარს ოდესმე მაინც ითვალისწინებდა?**

— მსგავსი არასოდეს მომხდარა! პირიქით, ოსმალეთი ქართველთა გათურქებას უფრო მეტი გაშმაგებით ცდილობდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ 1697 წელს მთელი სამუსლიმანო საქართველო კიდევ ერთხელ აჯანყდა ოსმალოს ბოროტების წინააღმდეგ. ოსმალთა ფაშები ბევრს ეცადნენ და ვერ დააწყნარეს ხალხი. ხალხმა თხოვნა დაიწყო, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩვენი მხარის კაცები დანიშნეთ ფაშებადო! ოსმალეთის ხელისუფლების ანტიხალხური და ანტიქართული პოლიტიკით გამოწვეული აჯანყებები მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში არ განელებულა. კერძოდ, 1731, 1737, 1739, 1744, 1770, 1774, 1781, 1792 წლებში აჭარა ხშირად აშკარად ეურჩებოდა სულთანს. **1737 წელს აჭარლებმა უარი თქვეს ახალციხის ფაშის მორჩილებაზე. ფაშამ აჭარა „მოსწვა და მოსტყვევნა", მაგრამ ქვეყანა დიდხანს მაინც ვერ დაიმორჩილა.**

**— საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ ასპინძაში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების კვალდაკვალ ქართველებმა ახალციხის უბოროტესი ფაშა — სელიმი მოკლეს!**

— დიახ, 1770 წელს ეს აჯანყება ერთობლივად დაიწყო როგორც ახალციხეში, ისე არტაანში, ოლთისსა და აჭარაქობულეთში. აჯანყებულებმა მოკლეს ბოროტებით, სისასტიკით, უსამართლობით ცნობილი და ქართველ მაჰმადიანთა სოფლების მძარცველი **ახალციხის ფაშა სელიმი,** რომელიც წარმოშობით თათრის ტომისა იყო. აჯანყებულებმა ოსმალეთის ხელისუფლებას მოსთხოვეს — ჩვენებური, გურჯი ფაშა დაგვინიშნეთო. თუ ეს არ იქნება, მაშინ ვითხოვთ, თქვენებური ფაშა მოგვეცეს, ოღონდ იყოს პატიოსანი და მართალი, ჩვენი დამჩაგრავი, შემწუხებელი და ქრთამების ამღები ნუ იქნებაო!

1774 წლის თებერვალში იმერეთში, ჩხერთან, ოსმალთა ჯარის დამარცხებისთანავე, აჭარის მოსახლეობა ოსმალებს ისევ აუჯანყდა. აჯანყებულებმა დაამარცხეს ახალციხიდან მოსული ფაშა. 1792 წელს ოსმალების წინააღმდეგ აჯანყებულ აჭარლებს აჭარის ბეგი **სელიმ ხიმშიაშვილი** ჩაუდგა სათავეში. ასე იფეთქა ახალი ძალით ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ თურქეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში, რომელიც მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში არ შეწყვეტილა.

**სელიმ ხიმშიაშვილს** (1755-1815 წწ.), რომელმაც საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი ეროვნული გმირის სახელი დაიმკვიდრა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართლ-კახეთის მეფე **ერეკლე მეორესთან,** იმერეთის მეფე **სოლომონ მეორესთან,** სხვა ქართველ მამულიშვილებთან და ასევე კავკასიის მეფისნაცვალ **პავლე ციციანოვთან.** იგი 1785 წლიდან 1803 წლამდე — აჭარის ბეგი, ხოლო 1803-1809, 1812-1815 წლებში ახალციხის ფაშა იყო. სელიმი ვერ იტანდა ოსმალთა მძლავრობას, მას დიდად აწუხებდა, რომ აჭარა და, საერთოდ, სამცხე-საათაბაგო ჩამოშორებული იყო დედასაქართველოს და იბრძოდა ეროვნული სხეულის გამთლიანებისათვის. **სწორედ სელიმის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1792 წელს მოეწყო ანტიოსმალური აჯანყება აჭარაში, ხოლო 1815 წელს ის ისევ აჯანყდა და აშკარა დაუმორჩილებლობა გამოხატა ოსმალეთის სულთნის დესპოტური რეჟიმის წინააღმდეგ.**

სელიმს ოსმალეთის სულთნის ბრძანებით, 1815 წლის 3 ივნისს საჯაროდ თავი მოჰკვეთეს ხიხანის ძირას მდებარე სოფელ ბაკოში (სერიყანაში).

**თავის მოკვეთის წინ სელიმ ხიმშიაშვილს იქ მყოფი ოსმალებისათვის ხმამაღლა უთქვამს: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებ!"**

## სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი:



**თურქები მხეცურად, არაადამიანურად სდევნიდნენ ქართველი ხალხის წმინდათა-წმინდას — მის ენას, მის კანონებს და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურასა და სარწმუნოებას. ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენას და ისლამს!**



*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ცქიტიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



პარლამენტში **ჩვენი პარტიიდან** ნამდვილად არიან ადამიანები, **ვისი ვაჭრობაც „ქართულ ოცნებასთან"** არ გამიკვირდება.

„ახალი თაობა"

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



რა მოხდება, თუ უკრაინა ახლა **ზავის შესახებ** გამოაცხადებს? — **პუტინი** აუცილებლად შეიჭრება **პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებში,** ხოლო **საქართველოსა და მოლდოვას** უბრალოდ გადაყლაპავს.

„ახალი თაობა"

**სოფო ჯაფარიძე**
*მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენელი*



**მიხეილ სააკაშვილმა** მოქალაქეებისგან ასობით წერილი მიიღო — როცა ხალხის მოსაზრება მოისმინა, **საბრძოლო განწყობა უფრო მეტად დაუბრუნდა.**

„ინტერპრესნიუსი"

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე*



**იესო ქრისტე რომ მომევლინოს** და მითხრას, პარტიას დღეს **ლევან ხაბეიშვილი** მართავსო, არ დავიჯერებ.

„ინტერპრესნიუსი"

**ანა დოლიძე**
*პარტია „ხალხისთვის" ლიდერი*



„ქართულ ოცნებას" — **ამ კრიმინალურ ბანდას** — უნდა ვუჩვენოთ, რომ მისი ძალაუფლება წარმავალია და, შესაბამისად, **მათ ვერ უნდა შეძლონ პრეზიდენტის იმპიჩმენტი.**

„ინტერპრესნიუსი"

**თინა ხიდაშელი**
*ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეის" თავმჯდომარე*



თუ საქართველოს ხელისუფლება მორიგ, **რუსული კანონის მსგავს სიგიჟეს** არ შემოგვთავაზებს, ჩვენ **კანდიდატის სტატუსს** წლის ბოლოს მივიღებთ.

„პალიტრანიუსი"

# ქართველი კრიმინალები ევროპაში

# საქართველოს იპარავენ!

***ჩემი ერთი შორეული ნაცნობისაგან, რომელიც თავიდან ჯიბგირობით შემოიფარგლებოდა, შემდეგ კი უფრო მსხვილი კალიბრის მპარავად ჩამოყალიბდა და, ძირითადად, პოსტსაბჭოთა სივრცეში ოპერირებდა, ამასწინათ მოვისმინე, თუ როგორ იოლად და უსაფრთხოდ აკეთებდა თავის საქმეს უკრაინაში.***




*— იქო — მომიყვა ერთხელ თავის „მშობლიურ ენაზე“ — ფულს რომ „გავუმაზავდით“, „მენტები“ თვითონვე გვიდგებოდნენ „ატანდაზე“, ხალხის „გასუფთავებაში“ ხელი რომ არავის შეეშალაო.*

*— ეს როგორ? — გამიკვირდასავით.*

*კიევის რომელიღაც ქუჩა თქვა, სახელი არ დამამახსოვრდა, თბილისში შარდენის ქუჩა რომ არის, ძვირიანი კაფე-ბარებით და ღამის კლუბებით, ეგეთი ყოფილა. მარტო „მაყუთა“ „მასტები“ დადიან, „შიშკები“ და „ფაშისტებიო“... ჰოდა, მე და ჩემი ორი „პადელნიკი“ — ერთი უკრაინელი და მეორე ალბანელი — საღამოობით მივიდოდით იქაო, „ძაღლებს“, ვინც ტერიტორიაზე პატრულირებდა, „მწვანეებს“ ჩავუკუჭავდით, იმათგან ორი ქუჩის თავში დადგებოდა, ორი კიდევ — ქუჩის ბოლოში და შეგვეძლო, მშვიდად „გვემუშავა“... თუ „მენტების“ სხვა „გრუპა“ „სლუჩაინად“ „გაიჩითებოდა“, ეგრევე გაგვაფრთხილებდნენ და „წიომნად ვითესებოდითო“...*

***უკრაინაში ომი რომ დაიწყო, ეს ჩემი ნაცნობი საქართველოში დაბრუნდა, ცოტა ხანს იყო აქა და მერე იჯახირა პოლონეთის საბუთები — ახლა იქ უნდა მივხედო ჩემ საქმესო!***

***ზუსტად ვერ გეტყვით, პოლონეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში როგორ არის, მაგრამ არა მგონია, უკრაინასა და რუსეთივით იქაც მიდიოდეს მილიცია-პოლიციის მოქრთამვა პარვის დროს „ატანდაზე დასაყენებლად“.***

*ყოველ შემთხვევაში, თვე ისე არ გავა, რომ ტელევიზორში არ გამოაცხადონ — იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთისა თუ საბერძნეთის ამა და ამ ქალაქში სპეცოპერაცია ჩატარდა და ქართველი კრიმინალების ბანდა დაიჭირეს, რომელმაც ათეულობით ბინა გაძარცვა ან დააყაჩაღაო!*

***ის კი არა, ხვიჩა კვარაცხელია იტალიაში, ნეაპოლის საფეხბურთო კლუბ „ნაპოლიში“ რომ გადავიდა სათამაშოდ, ერთ კვირაში ეზოდან ავტომობილი მოჰპარეს და მთელი საქართველო იმაზე ლოცულობდა — ნეტავი, ქართველების გაკეთებული არ იქნებოდესო!***

***აბა, როგორი ამბავი იქნებოდა — ქართველი ფეხბურთელისათვის, რომელმაც მთელი მსოფლიოს ყურადღება უცაბედად მიიპყრო და ევროპა-ამერიკის წამყვანი სპორტული და არამხოლოდ სპორტული მედიასაშუალებების გამადიდებელი ლუპის ქვეშ მოექცა, იტალიაში მანქანა საკუთარ თანამემამულეებს რომ მოეპარათ!***

***მოგვეჭრებოდა თავი მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ გადავრჩით — ხვიჩას მანქანის ქურდი ნეაპოლის პოლიციამ მალევე დაიჭირა და, საბედნიეროდ, ქართველი არ აღმოჩნდა!***

*სამაგიეროდ, რაც დრო გადის, სულ უფრო ბევრი შეგნებული და პატიოსანი ქართველი წუწუნებს იმაზე, თუ რარიგ უტეხენ სახელს და უფუჭებენ საქმეს მთელ საქართველოს ევროპაში მრავალრიცხოვნად ფეხმოკიდებული ქართველი ქურდ-ბაცაცები და ყაჩაღ-მძარცველები; როგორ ვარდებიან მათ გამო უხერხულ და დამამცირებელ სიტუაციებში წესიერი ქართველი ემიგრანტები თუ ტურისტები; როგორ ჰგონია უამრავ ევროპელს საქართველო კრიმინალური ქვეყანა, საიდანაც მხოლოდ საფრთხეს, ძარცვას და პარვას უნდა მოელოდეს...*

*აი, ახლახანაც* ***ესპანეთის ქალაქ სევილიაში კრიმინალი ქართველების ერთბაშად 7 დაჯგუფება დააკავეს, რომელშიც საქართველოს 22 მოქალაქე, მათ შორის, ორი ე.წ. კანონიერი ქურდი იყო გაერთიანებული.*** *ეს ყოფილა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელმაც ბოლო ორი თვის განმავლობაში, სევილიასა და ლუგანოში, ათეულობით ბინა გაძარცვა და რომლის დასაკავებლადაც ესპანეთის ნაციონალური პოლიცია მთელი ზაფხულის განმავლობაში ატარებდა სპეცოპერაციას.*

***სწორედ ამ ინფორმაციის გავრცელების კვალდაკვალ, საკუთარ თავს გადახდენილ ამბავს იხსენებს ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტთა ანსამბლ „სულიკოს“ დამაარსებელი და დირექტორი, ბასბარიტონი ვანიკო გალუაშვილი:***

— **ანსამბლი „სულიკო“** საფრანგეთის ქალაქ ლიონში, ადგილობრივი მერიის მიწვევით, გასტროლზე ჩავედით. როგორც კი აეროპორტში დავდგით ფეხი და მესაზღვრეებს საბუთები წარვუდგინეთ, ქართული პასპორტების დანახვაზე უცნაურად შეიშმუშნენ და სპეციალურ ოთახში შეგვიყვანეს, სადაც საგულდაგულოდ გაგვჩხრიკეს, ჩვენი ჩემოდნები გაქექეს და ხანჯლები ჩამოგვართვეს — ცივი იარაღიაო!

**— საბოლოო ჯამში, როგორ დამთავრდა ეს უსიამოვნო ამბავი?**

— ცხადია, ავუხსენით რომ გასტროლზე ჩამოსული მომღერლები ვიყავით, ხანჯალი კი ბუტაფორია და ჩვენი ეროვნული სამოსის — ჩოხის განუყოფელი ატრიბუტია, მაგრამ არაფერმა გაჭრა. მთელი 4 საათი გვაყურყუტეს, სანამ აეროპორტში ლიონის მერიის წარმომადგენელი არ მოვიდა ჩვენს აგენტთან ერთად, რომელიც გასტროლის ორგანიზებაში გვეხმარებოდა. მათ მესაზღვრეებს დაუდასტურეს, რომ მართლა მომღერლები ვართ და გასტროლზე ჩამოვედით. **როგორც გაირკვა, ლიონის აეროპორტში საქართველოს ყველა მოქალაქეს საგანგებოდ ჩხრეკენ და ამოწმებენ, რადგან ადგილობრივ ციხეში 420 ქართველი ზის და ყველა ქართულპასპორტიანი ადამიანი კრიმინალის ასოციაციას იწვევს.**

**— ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ალბათ, ხშირად გაქვთ გასტროლები და ყველგან ანალოგიურ სიტუაციას აწყდებით?**

— საუბედუროდ, ქართველ კრიმინალებს ევროპის ძალიან ბევრ ქალაქში აქვთ სახელი გავარდნილი და მათ გამო ადგილობრივი სამართალდამცავები თუ უბრალო მოქალაქეები საქართველოდან ჩასულ ყველა ადამიანს ეჭვის თვალით უყურებენ. ყველაზე ცუდი სწორედ ეს არის — **ევროპაში საქურდავად და სამამაძაღლოდ გაკრეფილი ქართველები სახელს უტეხენ პატიოსნად მშრომელ ემიგრანტებსაც, საქართველოდან ტურისტებად თუ საქმეზე ჩასულ ადამიანებსაც და, საბოლოო**

**„ლიონის აეროპორტში საქართველოს ყველა მოქალაქეს საგანგებოდ ჩხრეკენ და ამოწმებენ, რადგან ადგილობრივ ციხეში 420 ქართველი ზის და ყველა ქართულპასპორტიანი ადამიანი კრიმინალის ასოციაციას იწვევს!“**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ბერაია**
*პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე*



აშშ-ის საელჩომ **საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზის გახსნის საკითხზე დეზინფორმაციის გამავრცელებელ სუბიექტებს** საკუთარი განცხადებით **თავზე დაახურა და დაამხო,** რისი დამხობაც შეიძლებოდა.

„ინტერპრესნიუსი“

**დავით მაღრაძე**
*პოეტი*



პრემიერის **ორი საეტაპო გამოსვლა** ვნახე, ჩინეთის ტელევიზიასთან და **ბორელთან...** მისი პოზიცია, სიმტკიცე იყო დემონსტრირება, რომ **ეს არის ქვეყანა, სადაც ღირსება გადარჩა.**

„TV იმედი“

**ჟოზეპ ბორელი**
*ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში*



**ვიყავი საქართველოში,** რათა მეთქვა საქართველოს ლიდერებისა და მოქალაქეებისთვის, რომ **საქართველო ეკუთვნის ევროპულ ოჯახს.**

„რეზონანსი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



**ოპოზიციონერო დოქსოპულოებო!** კარგად დაიმახსოვრეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის, **„სტუდენტ“ ირაკლი ღარიბაშვილის** მიერ **„პედაგოგ“ ჟოზეფ ბორელისთვის** ჩატარებული პოლიტიკური მასტერკლასი.

„ტვიტერი“

**მარინა კალიურანდი**
*ევროპარლამენტარი*



შეამცირეთ **პოლიტიკური პოლარიზაცია** და ერთად დაიწყეთ მუშაობა **12 რეკომენდაციაზე,** რადგან შესაძლებლობების ფანჯარა ჯერ ღიაა.

„რეზონანსი“

# ქართველი ევრო-მპარავები საქართველოს იმაზე არანაკლებ ზიანს აყენებენ, ვიდრე ნაცმიდრეკილი ევრო-პარლამენტარები!

**ჰო, ევროპას მოდებული და გაპარპაშებული ქართველი კრიმინალები ევროპაში საქართველოს სახელისგან, რეპუტაციისგან, ღირსებისგან და პატიოსნებისგან ძარცვავენ რიგითი ევროპელების თვალში!**

ეს ქართველი ევრომპარავები საქართველოს იმაზე არანაკლებ ზიანს აყენებენ, ვიდრე ნაცმიდრეკილი ევროპარლამენტარები, რომლებსაც საქართველო თავიანთი კოლონია ჰგონიათ და ხშირად თავში წამოარტყამენ ხოლმე კუბილიუს-ფოტიგასებურად! **ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ არც ევროპულ და არც ქართულ სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს კანონი, რომელიც საქართველოს ქურდებს ადეკვატურ სასჯელს მიუზღავს!** ან კი როგორი და რამხელა უნდა იყოს სასჯელი მათთვის, ვინც საქართველოს შიგნით თუ საქართველოს გარეთ საქართველოს იპარავს?

**მგონი, ასეთებისათვის სასჯელი არ არსებობს!**

***ჯაბა ხუბუა***






## ვანიკო გალუაშვილი:

## ევროპაში საქურდავად და სამამაძაღლოდ გაკრეფილი ქართველები სახელს უტეხენ პატიოსნად მშრომელ ემიგრანტებსაც, საქართველოდან ტურისტებად თუ საქმეზე ჩასულ ადამიანებსაც და არცხვენენ საქართველოს!

**ჯამში, არცხვენენ საქართველოს!**

შეიძლება, უხერხულია ამის თქმა, მაგრამ ევროპის ამა თუ იმ ქალაქის მაღაზიასა თუ სავაჭრო ცენტრში ყოფნისას მე და ჩემი მეგობრები ქართულ საუბარს რომ გავიგონებთ და შევატყობთ, ქართველები იქ მოსაპარად არიან შესული, ვცდილობთ, ქართულად არ დაველაპარაკოთ და მათთან კონტაქტი ავირიდოთ.

საფრანგეთის კიდევ ერთ ქალაქში — ბორდოში მეგობარმა უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლილი კარვები დამანახა და მითხრა — **აქ 80 პროცენტი ქართველები არიანო...** ქუჩაში ცხოვრობენ, ქუჩაში ჭამენ, ქუჩაში შარდავენ... უბედურ დღეში არიან, რათა ლტოლვილად ჩაბარდნენ და სახელმწიფოსაგან თვეში 400-500 ევრო მიიღონ. შე დალოცვილო, როცა შეგიძლია და ჯანმრთელობა ხელს გიწყობს, იმუშავე და შენს ქვეყანაშიც იშოვი მაგდენს, მეტს თუ არა.

ვფიქრობ, მაინც ქართველების მენტალურ პრობლემასთან გვაქვს საქმე — ე.წ. ქურდულ-კრიმინალურ გაგებასთან, როცა ურჩევნიათ, უცხოეთში წავიდნენ და მოიპარონ, ვიდრე სამშობლოში პატიოსნად იშრომონ!

**— არადა, საქართველოში — დედაქალაქშიც და რეგიონებშიც — ბევრი დამსაქმებელი წუწუნებს იმაზე, რომ ფიზიკური სამუშაოს შესასრულებლად მუშახელს ვერ პოულობს, მიუხედავად იმისა, რომ ნორმალურ ანაზღაურებას იძლევა...**

— ყოველ წელს კახეთში ყურძენს ვყიდულობ და ოჯახში ღვინოს ვწურავ. წელს იმ კაცმა, ვისგანაც ყურძენი უნდა შევიძინო, მითხრა — **მუშახელი არ არის, რომ დავკრიფოთო!** მიზეზი რომ ვკითხე, მიპასუხა — **სოფლები დაცლილია, ყველა საზღვარგარეთ არის გახიზნული, დარჩენილებს კი ურჩევნიათ, „ბირჟაზე“ დადგნენ, ვიდრე დღეში 50-60 ლარად იმუშაონო!**

ოპერის თეატრის მომღერლები 1200-1300-ლარიან ხელფასზე ვცხოვრობთ და სხვა თეატრების მსახიობებს კიდევ უფრო ნაკლები ანაზღაურება აქვთ, მაგრამ მაინც ჩვენს საქმეს და ჩვენს ქვეყანას ვემსახურებით. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ჩვენი ცხოვრება ჩვენ თვითონვე უნდა შევქმნათ, სხვის იმედად ყოფნა ფუჭია, სახელმწიფო, შეიძლება, ერთხელ და ორჯერ დაგეხმაროს, მაგრამ მუდმივად მისი ხელის შემყურე ვერ იქნები.

**— გამოსავალს რაში ხედავთ — რა უნდა გაკეთდეს, რომ ქართველები ევროპაში კრიმინალთან არ ასოცირდებოდნენ?**

— ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი ნაბიჯი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და განათლების დონის გაზრდაა. არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ **ამ მხრივ ძალიან ცუდ როლს თამაშობენ ქართული ტელევიზიები, რომლებიც თავიანთი იაფფასიანი და ვულგარული, უკაცრავად რუსული სიტყვისთვის, მაგრამ „დიშოვი“ გადაცემებით, შოუებითა და სერიალებით საზოგადოების გონებრივ და სულიერ სამყაროს აბინძურებენ; ხალხს ნიჭიერ და დიდი შრომის ხარჯზე წარმატებულ ადამიანებს კი არ აცნობენ, არამედ ნარკომანებს, გეებსა და ლესბოსელებს წარმოუდგენენ და „გამოსულ“ ტიპებად...**

გვახსოვს, რომ არცთუ შორეულ წარსულში საქართველოში კრიმინალობა, „შავობა“ და მსგავსი რაღაცები ვაჟკაცობად და მისაბაძად მიაჩნდათ. ვშიშობ, იგივე დრო არ დაბრუნდეს, რის ნიშნებსაც, სამწუხაროდ, სულ უფრო მეტად ვხედავ!

### ბოლოთქმა

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ქართველი კრიმინალები ევროპაში ფულს, ავტომანქანებსა და სხვა მატერიალურ ძვირფასეულობებს კი არა, ყველა ძვირფასსა და შეუფასებელს — **საქართველოს იპარავენ! ჰო, ისინი იპარავენ საქართველოს ისტორიას! ჰო, ისინი იპარავენ საქართველოს კულტურას! ჰო, ისინი იპარავენ ქართულ ცივილიზაციას, რომელიც ევროპული, ანუ ქრისტიანული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია!**

## კვირგვინოსნები

**სოსო არჩვაძე**
*ეკონომისტი*



საქართველო არ უნდა იყოს **უცხოური ინვესტიციისა და უცხოური სამუშაო ძალის დაკავშირების ადგილი.** უპირატესად ეს უნდა იყოს **უცხოური კაპიტალისა და ადგილობრივი სამუშაო ძალის კოოპერაციისა და თანამშრომლობის პოლიგონი** და ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ ერმაც და ბერმაც.

„კვირის პალიტრა“

**სოსო მანჯავიძე**
*პოლიტოლოგი*



**ერგნეთის ბაზრობის აღდგენა** უნდა მოხდეს ცივილიზებულად, რომელიც **მთელი ამიერკავკასიიდან მოიზიდავს ეკონომიკურ ინტერესებს რეგიონში.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**სანდრო თვალჭრელიძე**
*გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



ძალიან დიდი დანაშაული იყო **მიხეილ სააკაშვილის** ხელისუფლების დროს **სახელმწიფო გეოლოგიური სამსახურის, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის, მოსპობა.** ბოლოს, როდესაც ამ სამსახურის ხელმძღვანელი ვიყავი, იქ **700 კაცი** მუშაობდა, მერე ნელ-ნელა შეამცირეს, ახლა სადღაც **20 კაცი** მუშაობს.

„კვირის პალიტრა“

**ლაშა ფარულავა**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ნაციონალურ მოძრაობაში **კრიზისის გამო დაინიშნა არჩევნები,** სადაც გაიმარჯვა **ლევან ხაბეიშვილმა** და დღეს პარტია არის ერთსულოვანი.

„რეზონანსი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**ნაცმოძრაობა გახლეჩილია** და ამის გაფორმება ტექნიკური საკითხია. **არავის არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ გამთლიანება მოხდება.**

„კვირის პალიტრა“

***ჭარბი შაქრისა და ტკბილეულის მიღება, რომელიც ადამიანის ორგანიზმში სიცოცხლისთვის საშიშ პათოლოგიებს იწვევს, 21-ე საუკუნის გამოწვევაა. ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი გვაფრთხილებს, რომ ადამიანების უმრავლესობამ, რომელსაც ფარული დიაბეტის ნიშნები აქვს, ამის შესახებ არაფერი იცის და მიიჩნევს, რომ ხუთჯერადი, თუნდაც მცირე ულუფებით კვება, შაქრიანი დიაბეტისკენ მიმავალი უმოკლესი გზაა:***



## კახა საბახტარიშვილი:

# კიბოს უჯრედები შაქრით იკვებებიან!



— შაქარი რომ ადამიანის ორგანიზმისთვის მავნებელია, ყველამ იცის. ტკბილეულის ჭარბი მოხმარება იწვევს წონის მატებას, კბილების გაფუჭებას, ღვიძლის გაცხიმოვნებას, მაღალ არტერიულ წნევასა და მომატებულ ქოლესტერინს. მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ზედმეტი შაქარი ყველა ზემოხსენებულ უბედურებასთან ერთად მეტაბოლური დაავადებების მიზეზიცაა.

**— რა არის მეტაბოლური დაავადება?**

— ყველა ის დაავადება, რომელიც ნივთიერებათა ცვლის დარღვევასთან არის დაკავშირებული და არაინფექციურ ბუნებას ატარებს, მეტაბოლურია. მათ რიცხვშია გულ-სისხლძარღვთა, შარდკენჭოვანი, ალცჰაიმერის დაავადებები და შაქრიანი დიაბეტი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მეტაბოლურ დაავადებებს მიეკუთვნება **კიბოც.** ყველანაირი მეტაბოლური დაავადების საფუძველი უჯრედის შემადგენელი ძირითადი ნაწილის — მიტოქონდრიის დაზიანებაა. **არავითარი სიმსივნე ორგანიზმში არ განვითარდება, თუ უჯრედის მიტოქონდრია არ დაზიანდა.**

**— მაინც რა ფუნქციას ასრულებს მიტოქონდრია?**

— შეიძლება ითქვას, რომ მიტოქონდრია უჯრედის ელექტროსადგურია. ის მიღებულ „საწვავს“ ენერგიად გარდაქმნის, რითიც ყველა ორგანო მარაგდება. შაქრის ჭარბად მიღება სწორედ უჯრედის მიტოქონდრიას აზიანებს, რის შედეგადაც საკმარისი ენერგია არ წარმოიქმნება, უჯრედი შიმშილობს, თავისუფალ რადიკალებს წარმოშობს და სიმსივნური უჯრედების განვითარებას ხელსაყრელი პირობები ექმნება. გვახსოვდეს: **კიბოს უჯრედები სწორედ შაქრით იკვებებიან! ამიტომ, ვისაც კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, მან არცერთი გრამი რაფინირებული შაქარი და შაქრის შემცველი პროდუქტი არ უნდა მიიღოს!** უფრო მეტიც, სიმსივნურმა პაციენტმა არც ხილი უნდა მიირთვას, რადგან იგი შაქრის ყველაზე ცუდ სახეობას — **ფრუქტოზას** შეიცავს!

საქმე ის გახლავთ, რომ გლუკოზა ორგანიზმს, ასე თუ ისე, სჭირდება. მაგალითად, ტვინი მხოლოდ **გლუკოზით** საზრდოობს, ხოლო ხილში შემავალი შაქარი — **ფრუქტოზა** ყველა უჯრედისთვის მიუღებელია, გარდა ღვიძლის უჯრედებისა, სადაც ის გლიკოგენად გარდაიქმნება.

ღვიძლში გარკვეული რაოდენობის გლიკოგენი აუცილებლად უნდა იყოს, რადგან შიმშილობის, სტრესისა და სხვა ექსტრემალური პირობების დროს ორგანიზმმა გლუკოზად გარდაქმნას და მოიხმაროს. მაგრამ, **თუ ხილს არამხოლოდ სიმსივნური პაციენტი, არამედ ჩვეულებრივი, ჯანმრთელი ადამიანიც კი ზომაზე მეტად მიიღებს, მაშინ ღვიძლში დაგროვებული ჭარბი გლიკოგენი ცხიმად გარდაიქმნება, ღვიძლის უჯრედებს დააზიანებს და განვითარდება ღვიძლის არაალკოჰოლური, ცხიმოვანი დისტროფია, ანუ ღვიძლის გაცხიმოვნება.** თუ ამ პათოლოგიას დროზე არ უმკურნალეს, მაშინ ციროზი და ღვიძლის კიბო შორეული პერსპექტივა ნამდვილად არ იქნება. ჩემი რჩევაა: მშობლებო, ნუ დააძალებთ ბავშვებს ბევრ ხილს და ნუ ეტყვით, რომ ეს მათთვის სასარგებლოა, რადგან ბოლოდროინდელი სტატისტიკით, ხილის ჭარბი მოხმარების შედეგად 10-12 წლის ბავშვებსაც კი ღვიძლი გაცხიმოვნებული აქვთ!

**— თუ ხილი არა, მაშ რა უნდა ვჭამოთ?**

— აქ საუბარია ხილის ჭარბად მიღებაზე და არა მის სრულად აკრძალვაზე! საერთოდ კი, დიდსაც და პატარასაც ვურჩევ, რომ ხილზე მეტად ბოსტნეული დააფასონ და უფრო ხშირად მიირთვან! დამერწმუნეთ, ბოსტნეულის უმრავლესობაში გაცილებით მეტი ვიტამინები და სასარგებლო ნივთიერებებია, ვიდრე ნებისმიერ ხილში. ბოსტნეული, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, თითქმის არ შეიცავს შაქარს.

**— თქვენ არაერთხელ ახსენეთ „შაქრის ჭარბი დოზა“... ნორმალური დოზა როგორია?**

— ნორმალურად ითვლება მდგომარეობა, როცა სისხლში შაქართან დაკავშირებული ჰემოგლობინის მაჩვენებელი 4,5 პროცენტია, ანუ, თუ სისხლში შაქრის შემცველობა 80-85 მილიგრამია. ეს ნორმაა!

**— ეს ნორმა ყოველდღიურად რამდენი კოვზი შაქრის მიღებას ნიშნავს?**

— თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ადამიანის ორგანიზმში დაახლოებით 5 ლიტრი სისხლია, მაშინ **80-85 მილიგრამი იმას ნიშნავს, რომ ამ 5 ლიტრ სისხლში, მხოლოდ და მხოლოდ, ერთი ჩაის კოვზი შაქარი უნდა იყოს!** ადამიანი თავისი ხარბი ბუნებიდან გამომდინარე, ცხადია, 1 ჩაის კოვზი შაქრით არ კმაყოფილდება და დღე-ღამის განმავლობაში გაცილებით მეტ შაქარს მოიხმარს. მაგალითად, **დადგენილია, რომ საშუალო ამერიკელი დღე-ღამეში დაახლოებით 13 ჩაის კოვზ სუფთა შაქარს მაინც მოიხმარს, რასაც ემატება იმ პროდუქტებისა თუ გაზიანი სასმელებისა და წვენების მოხმარებაც, რომლებიც დიდი რაოდენობით შაქარს შეიცავენ. აღარაფერს ვამბობთ ხილზე, რომელიც შაქრის საბადოა...** გამოდის, რომ ადამიანი, საერთო ჯამში, დღე-ღამეში ნორმაზე 20-30-ჯერ მეტ შაქარს ღებულობს. ბევრი თავს იმშვიდებს იმით, რომ უშაქრო ჩაისა და ყავას მიირთმევს და ნამცხვრებსა და ტორტებს არ ჭამს. **ასეთებს ჰგონიათ, რომ უშაქრო დიეტას იცავენ, არადა, ამ დროს ასეთ „მოდიეტეთა“ უმრავლესობა მიირთმევს კარტოფილს, მაკარონს, ალკოჰოლს, წიწიბურას...** ყველა ეს პროდუქტი ნახშირწყლების, ანუ იმავე შაქრის საბადოა.

**არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, შაქარს რაფინირებული სახით — კოვზით შევჭამთ თუ კარტოფილიდან და ხილიდან მივიღებთ, შედეგი ყველგან ერთნაირი იქნება!**

**— იმ 20-30-ჯერ მეტ შაქარს, რომელსაც ჩვენ დღე-ღამეში მოვიხმართ, რა მოსდის?**

— ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ჯანმრთელი ადამიანის სისხლშიც კი საჭმლის ჭამის შემდეგ შაქრის დონე მატულობს. როგორც კი ეს მოხდება, პანკრეასის ჯირკვალი მაშინვე მიიღებს სიგნალს და სისხლში შაქრის დონის დასასტაბილურებლად ჰორმონ **ინსულინს** გადაისვრის. სწორედ ინსულინს მიაქვს შაქარი უჯრედში, რომელიც მას ცხოველმოქმედებისთვის მოიხმარს. **ზედმეტ შაქარს ინსულინი გლიკოგენად, ანუ ცხიმად გარდაქმნის და ექსტრემალური სიტუაციისთვის ღვიძლში აგროვებს.** ამ გზით სისხლში შაქარი სტაბილურდება, რაც ნორმალური პროცესია... მაგრამ, როდესაც ჩვენ შაქარს ყოველდღიურად და ჭარბად ვღე-

## „ვისაც კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, არცერთი გრამი რაფინირებული შაქარი და შაქრის შემცველი პროდუქტი არ უნდა მიიღოს!“

## კვირგვინოსნები

**მერიკო კარტოზია**
*ტელეჟურნალისტი*



გადავწყვიტე, ამერიკაში მომენახულებინა **არა განათებული, რეკლამებით გადაბდღვრიალებული, ფინანსურად ძლიერი** ამერიკული ქალაქის ცენტრები და მილიონერთა დასახლებები, არამედ **ბნელი, საშიში, კრიმინალური** ე.წ. გეტო, სადაც ხშირ შემთხვევაში ძლევამოსილი პოლიციაც კი არ შედის. დახურული მანქანით ვმოძრაობდი და **ვნახე ნარკოტიკული თრობის ექსტაზში მყოფი უამრავი ადამიანი** — თეთრკანიანი, ფერადკანიანი, ახალგაზრდა, მოხუცი დაზომბირებული, გაყინული მზერით, შენელებული მოძრაობით, გაშეშებული სახით, ფაქტობრივად, ცოცხალი მიცვალებულები. **ვნახე, როგორ ღიად მიდიოდა ნარკოტიკით ვაჭრობა, იქვე, ქუჩაში მოხმარება, საშინელი გარემო, სიბინძურე.** ისეთი შეგრძნება მქონდა, საშინელებათა ფილმში მოვხვდი და დრო საერთოდ გაჩერებული იყო.

„სარკე“

**ეკა ბესელია**
*პოლიტიკოსი*



მე რომ ცხოვრებაში არ მინახავს, ისეთი აღარაფერია. **იმაზე მეტი ინტრიგა, რაც პოლიტიკაშია, არსადაა.** ჩემთვის დაუძლეველი სირთულე არ არსებობს. თან, **არასდროს არანაირ ინტრიგაში არ ვმონაწილეობ.**

„თბილისელები“

**ოთო ნემსაძე**
*მომღერალი*



რომ ამბობენ, **სტუდენტური ცხოვრება ტკბილად მახსენდებაო,** მიკვირს — მე ან წიგნში მქონდა თავი ჩაყოფილი ან — ბეტონში.

„თბილისელები“

**დათო ლიკლიკაძე**
*ჟურნალისტი*



პროექტ **„კუნძულში“** ყველაზე საწყალი კაცი ვარ.

„სარკე“



**„თუ ღიპი ფეხსაცმლის დანახვაში ხელს გვიშლის, თუ ღამით რამდენჯერმე ვდგებით, თუ მეხსიერების დაქვეითებას ვუჩივით, თუ ტბილზე მოთხოვნა გვაქვს და ჭამის შემდეგ მოთენთილობა აღგვენიშნება, ეს იმას ნიშნავს, რომ შაქრიანი დიაბეტისკენ ვართ მიდრეკილი!“**

ბულობთ, პანკრეასის ჯირკვალი იძულებულია, მთელი დატვირთვით იმუშაოს და სისხლში ახალ-ახალი პორცია ინსულინი მუდმივად გადაისროლოს.

თუ ადამიანი ცხოვრების წესს არ შეიცვლის და ზედმეტი შაქრის მიღებას თავს არ დაანებებს, მაშინ მოხდება ასეთი რამ — **ბევრი ინსულინი და შაქარი, რომელიც ორივე ტოქსიკურია, გამოიწვევს ინსულინრეზისტენტობას!** ეს იმას ნიშნავს, რომ უჯრედის რეცეპტორები ინსულინზე რეაგირებას არ მოახდენენ, ხოლო პანკრეასის ჯირკვალს არ მიუვა სიგნალი, რომ ინსულინი უკვე საკმარისია. ამიტომ პანკრეასი განუწყვეტლივ გააგრძელებს ინსულინის გამომუშავებას, რაც საბოლოოდ მის გამოფიტვასა და ინსულინის გამოყოფის უნარის დაქვეითებას გამოიწვევს. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად ჯერ ვითარდება ე.წ. **პრედიაბეტი,** ხოლო შემდეგ — **დიაბეტი.** ეს პროცესი შესაძლოა, 10-15 წელიც კი გაგრძელდეს. ადამიანთა 90 პროცენტს წარმოდგენაც კი არა აქვს, რომ პრედიაბეტი აწუხებს, ხოლო 99 პროცენტმა არ იცის, რომ ინსულინრეზისტენტულია. უფრო მეტიც, საქართველოში ადამიანების უმეტესობამ არც ის იცის, რომ ფარული დიაბეტის მატარებელია!

**— როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ფარული დიაბეტი გვაქვს?**

— ვისაც ინსულინრეზისტენტულობა დაუდასტურდა, ფაქტობრივად, ყველა დიაბეტისთვისაა განწირული. ფარული დიაბეტის გამოსავლენად შაქარზე სისხლის ანალიზის პასუხები არაფერს ნიშნავს. **თითქმის არავინ ამოწმებს, უზმოზე რამდენი აქვს სისხლში ინსულინი და რამდენია მისი ინსულინრეზისტენტობის ინდექსი, რომელსაც „ჰომა-ანალიზი“ ეწოდება.** ინსულინრეზისტენტობის, ანუ შაქრიანი დიაბეტისკენ მიდრეკილების დადგენა ანალიზის გარეშეც შეიძლება. თუ ღიპი ფეხსაცმლის დანახვაში ხელს გვიშლის, თუ ღამით რამდენჯერმე ვდგებით, თუ მეხსიერების დაქვეითებას ვუჩივით, თუ ტბილზე მოთხოვნა გვაქვს და ჭამის შემდეგ მოთენთილობა აღგვენიშნება, ეს იმას ნიშნავს, რომ შაქრიანი დიაბეტისკენ ვართ მიდრეკილი!

**— ენდოკრინოლოგები პაციენტებს ურჩევენ, რომ დღეში ხუთ-ექვსჯერ ჭამონ, ოღონდ მცირე ულუფებით. რამდენად რაციონალურია ეს რჩევა და ასეთი კვება ჯანმრთელ ადამიანებში შაქრიან დიაბეტს ხომ არ იწვევს?**

— შევთანხმდეთ, რომ ყოველი ჭამის შემდეგ, დიდი იქნება ეს ულუფა თუ მცირე, ორგანიზმში გარკვეული რაოდენობის შაქარი აუცილებლად ხვდება. შაქრის განეიტრალებას კი ყოველთვის სჭირდება ინსულინის გამოყოფა, რომელსაც პანკრეასის ჯირკვალი გამოიმუშავებს. გამოდის, რომ, **თუ ჩვენ დღის განმავლობაში საკვებს ხუთ-ექვსჯერ თუნდაც მცირე ულუფებით მივირთმევთ, პანკრეასის ჯირკვალს დასვენების საშუალებას არ მივცემთ. შესაბამისად, იგი გადაიტვირთება, რაც დროთა განმავლობაში მისი გამოფიტვით დასრულდება** და საჭირო რაოდენობით ინსულინს ვეღარ გამოიმუშავებს. **ამიტომ დღეში ხუთჯერადი თუ ექვსჯერადი კვება დიაბეტისკენ მიმავალი უმოკლესი გზაა.**

გვახსოვდეს, რომ ორგანიზმი ორი სახის „საწვავზე“ მუშაობს — შაქარზე ან ცხიმზე. თვით გამხდარ ადამიანშიც კი 100 ათასი კილოკალორია ენერგიის შემცველი ცხიმია, შაქრის მარაგი — სულ რაღაც 1700 კილოკალორიაა! ეს იმას ნიშნავს, რომ მანქანა ან დიდ აკუმულატორზე უნდა ვამუშაოთ, ანდა — საათის ელემენტებზე. საათის ელემენტების როლს სწორედ შაქარი ასრულებს. ამიტომ ჩვენ მუდმივად დაგვჭირდება ამ ელემენტების დამატება, რათა მშიერი არ დავრჩეთ. რა **სჯობს, ორგანიზმმა „საწვავის“ სახით ცხიმი გამოიყენოს თუ შაქარი?** რა თქმა უნდა, ცხიმი! ამიტომ, თუ შაქარზე საერთოდ უარს ვიტყვით, შიმშილი დიდი ხნის განმავლობაში არ შეგვაწუხებს და ამით ორ კურდღელსაც დავიჭერთ — ზედმეტ ცხიმებს დავწვავთ, წონაშიც დავიკლებთ და შაქარიც მუდმივად ნორმაში გვექნება!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



**„მშობლებო, ნუ დააძალებთ ბავშვებს ხილს, რადგან ბოლოდროინდელი სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ხილის ჭარბი მოხმარების შედეგად 10-12 წლის ბავშვებსაც კი ღვიძლი უკვე გაცხიმოვნებული აქვთ!“**
















## ქვირგვინოსნები

**ლევან საგინაშვილი**
*მკლავჭიდელი*



ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, მაღალიც კი არ ვყოფილვარ, თუმცა, მტევანი და მაჯა ყოველთვის მსხვილი მქონდა. **15-16 წლის ასაკში 1,93 სანტიმეტრამდე გავიზარდე. თუმცა, გამხდარი ვიყავი, 80 კილოგრამამდე.** 19 წლისამ დავიწყე ვარჯიში, მას შემდეგ ყოველწლიურად დაახლოებით 5-10 კილოგრამს ვიმატებდი და **ახლა 173 კილოგრამს ვიწონი. ფეხი 48,5 ზომა მაქვს.** ჩემი ნიშნობის ბეჭდის გამო ცუდ დღეში აღმოჩნდნენ ლელას მშობლები. **რაც ოქრო აქვთ ოჯახში, სულ უნდა გადაადნონ, რომ ჩემთვის ბეჭედი დაამზადებინონ.**

„კვირის პალიტრა“

**დოდო გუგეშაშვილი**
*მხედრიონელი*



**ჭაბუა ამირეჯიბის** შვილის ნაჩუქარმა თოჯინამ სიკვდილისგან მიხსნა. **ირაკლიმ ოჩამჩირეში პატარა შავი თოჯინა ჩამომიტანა და მთხოვა, გულის ჯიბით ატარეო.** სოხუმის ბრძოლების დროს **ტყვიამ ამ რეზინის თოჯინას, რომელიც გულის ჯიბეში მედო, თავი წააგლიჯა, მე კი გადავრჩი.**

„სარკე“

**ნუცა ჯანელიძე**
*მუსიკოსი*



**მოსკოვში დარჩენა შემომთავაზეს,** არ დავრჩი და ვნანობ. ცუდია, რომ არ დავრჩი იქ, სადაც მე უფრო დიდ პატივს მცემდნენ, ვიდრე თბილისში. თუმცა, მაშინ სხვა დრო იყო, განსხვავებული პოლიტიკური მდგომარეობით. რა თქმა უნდა, **ეს 2008 წლამდე იყო, აბა, მერე რა მინდოდა იქ.**

„თბილისელები“

**ნინო ჩხეიძე**
*მომღერალი*



**42 წლის განმავლობაში ზღვაში არ ჩავსულვარ.** ეს ჩემი ფობია იყო, მაგრამ, ეტყობა, წელს ისე დავიღალე, რომ ძალიან მომინდა ქვიშა, ზღვა და მზეზე გარუჯვა. გამოვიდა ისე, რომ **შევიყვარე ზღვა ამ სიბერეში.**

„სარკე“

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# დასაკრეფი ვენახები და გასაკრეფი ხალხი



**კობახიძის** გაშავებას დროებით მორჩნენ და **კალაძეზე** გადავიდნენ. **კალაძის** გაშავებას დროებით მორჩნენ და **ღარიბაშვილზე** გადავიდნენ... **ღარიბაშვილის** გაშავებას რომ მორჩებიან, ისევ **კობახიძეზე** გადავლენ, მერე — ისევ **კალაძეზე, კალაძის** შემდეგ — კვლავ **ღარიბაშვილზე** და იტრიალებენ ერთ წრეზე.

პერიოდულად, ცხადია, შესვენებასაც ახერხებენ — ხან **ბერაზე** გადადიან, ხან — **ბიძინას ძმაზე,** ხან კიდე — **ბიძინას მეუღლეზე...** რაც შეეხება თვით **ბიძინა ივანიშვილს,** იგი ნებისმიერის გაშავებისას ნოყიერი საფანელია — **აშავებენ კობახიძეს? იგულისხმება ივანიშვილიც, აშავებენ კალაძეს? იგულისხმება ივანიშვილიც, აშავებენ ღარიბაშვილს? იგულისხმება ივანიშვილიც.**



☺

თემები არ ელევათ... არც გამოელევათ — სადმე მეწყერი ჩამოწვება? სადმე წყალი ადიდდება? სადმე ქარი დაუბერავს? სადმე სეტყვა ჩამოცვივა? **კალაძეს დაადანაშაულებენ — იცოდა და ხალხი არ გააფრთხილაო!**

**ჰელენ გოგიევიჩს** რუსული რუბლები ჩაერიცხება? ეგრევე **კობახიძეს** მიუხტებიან ლექციაზე, შე რუსეთუმევო!

**ღარიბაშვილი ამერიკაში რატომ წავიდა შვილის მოსანახულებლადო? თუ წავიდა, აქლემით წასულიყო, ან კიდე ჯორით, თვითმფრინავით რატომ წავიდაო?** ეგ კიდე არაფერი... **როცა ჩამოვიდა, ცოლს დაბადების დღე რატომ გადაუხადაო? თუ გადაუხადა, რესტორანში რა უნდოდათ, სახლში ვერ გადაუხდიდაო? ან სახლში რატომ უნდა გადაეხადა, რა აუცილებლობა იყოვო?**

**ჰოდა, რაკი მაინც გადაუხადა, ნება იბოძოს და გადადგესო. თუ არ გადადგება, მაშინ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას იმაზე, რომ ჯერ ამერიკაში გაფრინდა თავის შვილთან, მერე კიდე არც დაიღალა, რესტორანში იქეიფაო.** მეტიც, მერაბ კოსტავასთვის ხელის მომქნევმა **მამუკა ხაზარაძემ** ბადრი ჯაფარიძესთან და პარლამენტში შეჩურთულ სამ ოჩოპინტრესთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება, დაიწყოს იმპიჩმენტის პროცედურა პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ.

☺

არა, **მე განა იმას ვდარდობ,** რატომ დადიან წრეზე ეს დარტყმულები? **არა, მე მხოლოდ იმასა ვჩივი,** რომ ძვირფას დროს აეგეთ სირთაოზობებში ხარჯავენ და ამ დროს კახეთში ამოდონა ვენახები დასაკრეფია! ისე კი, იმ ვენახების **დაკრეფასთან** ერთად ამ ხალხის გაკრეფაზეც ხომ არ გვეფიქრა.

# ოღრაშობა!



გინახავთ, როგორია ოღრაშული გამოხედვა?

აი, ნახეთ! — პირველ სურათზე ძაან **ოღრაშული მზერაა** ასახული — სქელტანიანი არსება თავს ვეღარ იკავებს, რაღაცა უნდა, რაღაცას ეძებს, თითქოს იპოვა კიდეც, მაგრამ ფაქიზი გრძნობებით აღჭურვილი მდედრი ცდილობს, მისი ხელი სამი თითით მოიშოროს.

იიიიი... **ეხლა რა დროს ეგ არი, ბიჭოოოო?**

მა როდის არი მაგი დრო, ქალო?

**იიიი... როცა ეროვნული აღტყინება გადაივლის, ბიჭო!**

არადა, ამას **ეროვნული აღტყინებაც** ფეხებზე ჰკიდია და ისიც, რას იტყვიან მასები, თავისი ხვაშიადი თუ არ გაისწორა, ვერ მოისვენებს... ხმალს ქარქაშში ვერ ჩააგებს.

☺

მეორე სურათზეც **ოღრაშული გამოხედვაა** ასახული, ოღონდ უფრო ფიქრიანი, შედარებით უემოციო, მაგრამ ღრმააზროვანი... როგორ გითხრათ, აი, რომეო რომ უყურებდა ხოლმე ჯულიეტას, დაახლოებით იმნაირი.

არაო, **ეს რომეოსთან შედარებით უფრო მშვიდი ჩანს და, ალბათ, არც თავს მოიკლავსო, — იტყვით თქვენ და მართლებიც იქნებით, მაგრამ ილარიონის თეზისების მიხედვით, სიყვარულს რას გაუგებ, ჩემო ოღლა?**

საერთოდ, როგორც ბრიტანელი მეცნიერები ამტკიცებენ, **მშვიდი ოღრაშობა უფრო სახიფათოა, ვიდრე აფყვეტილი.**

ჰმ... შემოულაწუნე, მამაო, იაგო ისევ გაშტერდა!



# ეს უნდა შეაგდო ვენახში და წლის ბოლომდე არ გამააახედო!

ერთი ნახეთ, როგორ „ბრძნულ“ რაღაცას ჩმახავს:

**„ყველა ფრენა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მიერ არის განხორციელებული, ემსახურებოდა იმას, რომ ეს ქვეყანა ჭაობიდან ამოსულიყო და გამხდარიყო სახელმწიფო. ეს მისია შესრულდა“.**

გასაგებია?!

მაგალითად, **ფრენა ბათუმის მიმართულებით და შემდეგ ქალისთვის ძუძუს მოჭმა ემსახურებოდა იმას, რომ** ეს ქვეყანა ამოსულიყო ჭაობიდან. დიახ, ის ძუძუ, რომელიც სააკაშვილმა მავანს მოაჭამა, იყო სახელმწიფოებრივი ძუძუ!

**ფრენა, რომელიც დოქტორ დოტის ჩამოსაყვანად განხორციელდა, ემსახურებოდა იმას, რომ** ამ ქვეყანაში განვითარებულიყო ფაქიზი გრძნობები. თეძო, რომლითაც დოტი სააკაშვილს გაეხახუნა, იყო სახელწიფოებრივი თეძო!

**ფრენა, რომელიც კოლუმბიაში პაბლო ესკობარის საფლავის მონახულებისთვის განხორციელდა, ემსახურებოდა იმას, რომ** კოლუმბიას არ ეღიარებინა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი!

ამავე მიზნით ფრენები განხორციელდა თითქმის ყველა მიმართულებით... **თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც იყო ფრენა გიგი უგულავას ცოლის დუნდულების ჩამოსათლელად.** ნუ იცინით... იმ დროს ის დუნდულები გახლდათ **სახელმწიფოებრივი დუნდულები!**

☺

იყო **ფრენა ბობოყვათის მიმართულებით,** სადაც სააკაშვილმა თავის რეზიდენციაში სახელმწიფოებრივად მოაზროვნეთა მონაწილეობით არაერთი ორგია გამართა. მართალია, ბოყვათელებს დღე და ღამე არ ეძინათ, მაგრამ სააკაშვილის შემოქმედებითობას გაგებით ეკიდებოდნენ.

**მადლობა თქვით, რომ სააკაშვილს გაფრენებში 24 მილიონი ლარი უნდა დაეხარჯა და მხოლოდ 14 მილიონი დახარჯა.**

რა გინდათ, რას ამუნათებთ, 10 მილიონი ხომ იქით დაგრჩათ? კიდე უკმაყოფილოები ხართ?!

☺

არა, ეს **ბოტკოც** ძაან მაგარი „ფრუქტია“, რაააააა... უნდა შეაგდო ვენახში და წლის ბოლომდე არ გამააახედო...



გიორგი ბოტკოველი
„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი

# ბორელი



როგორ თქვა ევროკომისარმა და თვითმარქვია **პროფესორმა ბორელმა?**

თქვენ მოწაფეები ხართ და **ვალდებულება გაქვთ, ევროპიელ პროფესორებს გამოცდა ჩაგვაბაროთო...** თან წინასწარ ვერაფერს გეტყვით, ჩათვლის წიგნაკში რა ნიშანს ჩაგიწერთო... შარშან თქვენ ჩაიჭერით და საშემოდგომო გამოგაყოლეთო...

☺

ეტყობა, **ბორელმა** არ იცის ან თავს იაჯმებს, რომ თანამედროვე მსოფლიო ჯერ კიდევ **გორელის** მიერ დალაგებული არქიტექტურით მიგორავს... ბევრსა ცდილობენ, ჯახირობენ,

# ქაოსირებულები



უკრაინის ყოფილი პატრულმაისტერი **ხატია დეკანოიძე** აცხადებს, რომ პრეზიდენტის საიმპიჩმენტო პროცედურის წამოწყებით მმართველი გუნდი ცდილობს, ქვეყანაში **რუსული ქაოსი** გამოიწვიოს.

**რუსული ქაოსი?**

ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს, განა შესაძლებელია, ქაოსსაც ჰქონდეს ეროვნება?

☺

**ქაოსი** — ეს არის საბერძნეთში წარმოშობილი სიტყვა და ნიშნავს — **„ვიხლიჩები“, „ამოვანთხევ“...** დროთა განმავლობაში ეს სიტყვა უფრო დაიხვეწა და ამჟამად ნიშნავს უწესრიგობას, არეულ-დარეულობას და ასე შემდეგ.

და მაინც, როგორი შეიძლება იყოს **რუსული ქაოსი,** იქნებ ზუსტად ისეთი, როგორიც განვიცადეთ **1993 წელს, 2008 წლის აგვისტოში** და რასაც განიცდიან ამჟამად უკრაინაში?! ანუ, რომელსაც თავი აარიდა და ჯერ კიდევ არიდებს დღევანდელი ხელისუფლება?!

რაც გინდათ, ის თქვით... რაც გინდათ, ის მოიგონეთ... რაც გინდათ, ის დააბრალეთ, მაგრამ სწორედ **ამ ხელისუფლების დამსახურებაა, რომ ზემოდან ბომბები არ გვაცვივა და დანაღმულ მიწაზე არ დავბოდიალობთ!**

☺

თუკი **რუსული ქაოსი** არის ის, რაც ჩვენში მოხდა და რაც ახლა უკრაინაში ხდება, კიდევ რომელ **რუსულ ქაოსზე** ლაპარაკობს ხატული, რომლის **არც ლაპარაკი და არც საქციელი არ ექვემდებარება არანაირ ლოგიკას, თუმცა, მასების გარკვეულ ნაწილზე მაინც მუშაობს**. რომ არ მუშაობდეს, ამდენი გამოსირებული არ გვეყოლებოდა ქვეყანაში, ამდენი უჯიშო ნაცი, გნაცი და შმაცი არ გვეჯდებოდა პარლამენტში.




# ნუ გაშვილდებით!

ვინმე „გირჩისთავა“ **ცოტნე კობერიძეს** აქეთ-იქიდან თავისნაირი სირები ამოუყენებია და იძახის — **მინდა, რომ ტარიელ ღარიბაშვილმა გვიშვილოს, ეგებ ეგრე მაინც გავიმართოთ წელშიო... ამ კაცს ძაან მაგარი მამა-შვილობა სცოდნია და ჩვენც გვინდაო.**

☺

ახლა მე უნდა მივმართო ამათ... **ჰო, შვილებო, თქვე ვირიშვილებო, ძაან მაგარი იდეა მოგსვლიათ მაგ ლაყე თავებში, მაგრამ იცით, რას გეტყვით? თუკი თქვენ ტარიელ ღარიბაშვილი გიშვილებთ, მინიმუმ სამ-ოთხ უხერხულ მომენტთან გვექნება საქმე:**

1. ნათქვამია, ყველამ თავის მამიდას მიხედოსო და ეს მამებზეც ვრცელდება, ყველამ თავის მამას უნდა მიხედოს. აქ ცოტა მკაცრადაც შემეძლო მეთქვა, მაგრამ მშობლები დავინდე!

2. **თქვე წარაკუებო, ტარიელ ღარიბაშვილმა რომ გიშვილოთ, რა გამოდის, საკუთარ მამებს უარყოფთ, ანუ ერთ ადგილას იკიდებთ?**

3. ოოოო... აქ უკვე ვეღარ ვიქნები კულტურული, პირდაპირ უნდა გითხრათ: როგორც **დავით ახრახაძე** ამტკიცებს, **თუ თქვენ ტარიელ ღარიბაშვილმა გიშვილათ, ის უბრალოდ ვალდებული იქნება...** შეიძლება არც უნდოდეს, მაგრამ უკვე გითხარით, ის ვალდებული იქნება!

☺

**აი, ამაშია საქმე!**

**რაღაცას რომ წამოაწვენთ ხოლმე, დაფიქრდით, რა ელოდებათ თქვენს ბიოლოგიურ მშობლებს.**

ბოლოში ერთსაც გეტყვით და დავამთავრებ: **თქვენ რომ ტარიელ ღარიბაშვილის შვილები იყოთ, შეიძლება ფინანსურად წელში გასწორდეთ, მაგრამ ეს იქნება სულ რაღაც ერთი კვირა — მაგ ფულს ან წამალში დახარჯავთ, ან კაზინოში წააგებთ, ან კიდე თქვენი გონებრივი ჩამორჩენილობით ვინმე ისარგებლებს და შეგაწერავთ.**

ხედავთ, რამდენი პრობლემა დაგიგროვდათ?

# ნარკობარანი და ნარკობარონი!






**კოლუმბიაში რათ გადაფრინდა ნარკობარონ პაბლო ესკობარის საფლავზე ყვავილების მისატანადო?**

აბა, შეხედეთ პირველ ორ სურათს, ეგეთ მდგომარეობაში მყოფი სად უნდა გადაფრენილიყო — ლუვრში? ერმიტაჟში? მეტროპოლიტენ-მუზეუმში? იქნებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში უნდა მისულიყო და გამოგონებათა თაობაზე ანგარიში ჩაებარებინა?

მოკლედ, **გაფრინდა იქ, სადაც უნდა გაფრენილიყო და გააფრინა ისე, როგორც უნდა გაეფრინა...** ეგეთ ყოფაში ჩამდგარი პრეზიდენტი სხვაგან ვერანაირად ვერ გაფრინდებოდა, ის მაგ დროს უკვე იქ იყო, კოლუმბიაში, **ესკობარის საფლავზე!**

☺

**ამ საქმის მცოდნეები ამბობენ, როცა ადამიანი კაიფშია, ჯერ ტუტანჰამონთან შეხვედრის სურვილი უჩნდება, მერე კიდე აქლემზე ჯდომის ინტერესიო... უნდა გაიგოს, აქლემი რამდენ მეტრზე აფურთხებსო.**

ჰოდა, რა გინდათ? ამან უფრო მეტი დაადგინა — თურმე ბუნებაში არსებობენ ორკუზიანი და ერთკუზიანი აქლემები, როგორც ორხიდიანი და ერთხიდიანი მანქანები.

**რაც შეეხება ტუტანჰამონის სარკოფაგს... ამას უნდოდა, ერთ-ერთი ლეგენდარული ფარაონისთვის ხელი ჩამოერთმია და თავისი დარდებიც გაეზიარებინა, მაგრამ, როგორც ავი ენები ამბობენ, იმან არ მიიღო, ზედაც არ შეხედა, მხოლოდ თავის მდივანს გადაულაპარაკა — ეგეთ ტირანებთან საქმე არ მაქვს, ამას პლურალიზმისა არაფერი გაეგებაო.**

აი, აქ კი მწარედ შეცდა მიხეილი... საერთოდ, ისტორიულად არის ცნობილი, რომე... ვინც კი ტუტანჰამონს ამგვარი წადილით ეახლა, ყველა დაწყევლა. ამბობენ, ერთი მაგან იცის წყევლა და მეორე კიდე ჩინგიზ-ყაენმაო.

**ჰოდა... ეგე, მას მერე აერია რამსები მიხეილს — ვერც უკრაინაში გაიდგა ფესვები ხეირიანად, ვერც — საქართველოში, ხან სასტუმროს ჭერიდან ჩამაიღეს მოძალადეობრივად, ხან ტუალეტიდან გამაათრიეს ომონელებმა, ხან კიდე არაჟნის ქილიდან ამაათრიეს პოლიციელებმა...** მას მერე ვერ გაიხარა ბიჭმა, ვერაააააა!

☺

მოკლედ, ასეა თუ ისე... როგორც თელაველი „ბოტკო“ იძახის, **ყველა გაფრენა, რომელიც სააკაშვილმა პრეზიდენტობისას განახორციელა, ემსახურებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.**

მა რაააა... თუ ამერიკული კანონი რუსულია, რატომ არ შეიძლება, სააკაშვილის ყველა გაფრენა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მომსახურებოდა? ან სულაც კონტრაბანდისტი ესკობარიც დემოკრატიის შუქურად გამოცხადდეს, **მითუმეტეს, როცა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გინდა, კოკაინსაც დაყნოსავ და აქლემზეც შეჯდები!**





# და გორელი



ცოდვილობენ, მაგრამ მის დალაგებულს ვერაფერს უშვრებიან!

სხვათაშორის, როცა **გორელმა** მთელი მსოფლიო თავის ჭკუაზე დაალაგა, არ უთქვამს — **მე პროფესორი ვარ და გამოცდა ჩამაბარეთო.**

☺

აბა, შეხედეთ ფოტოებს, აქედანაც კი აშკარად ჩანს, **ვინ არი მოწაფე და ვინ — პროფესორი.**

იცით, ბევრს არაფერს ნიშნავს, თუკი **ვარაუდზე მოსიარულე ბორელი** ცოცხალია, ხოლო **ბორელი** — გარდაცვლილი. ხომ გაგიგონიათ, ათას ცოცხალს ერთმა მკვდარმაც რომ შეიძლება აჯობოს! თუმცა, საკითხავია, წერია კი **ბორელი** ცოცხლებში ან როდესმე წერებულა?

# რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

**„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში.**



დასაწყისი იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21, 22-40







**22**

## როგორ გახდა გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტი... საკუთარი დეპრესიის წყალობით!

**გია ხუხაშვილი** თავის მემუარებში დაწვრილებით იხსენებს, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე როგორ დაემგზავრა დუშეთში **ბიძინა ივანიშვილი** დეპრესიაში მყოფი, ჯერ კიდევ უმუშევარი ფილოსოფოსის **გიორგი მარგველაშვილის** მოსანახულებლად:

***„გზა კარგად არ მახსოვდა. ამიტომ დუშეთში რომ შევედით, გიორგის დავურეკე და ვკითხე, როგორ უნდა მივსულიყავით. რა თქმა უნდა, არ მითქვამს, რომ ბიძინა ჩემთან ერთად იყო. დღესაც არ დამავიწყდება მისი სახე, ჭიშკარი რომ გააღო და მანქანიდან გადმოსული ბიძინა დაინახა.***

*იქ რამდენიმე ადამიანი დაგვხვდა, მათ შორის,* ***ვანო მაჭავარიანი და გოგა ხაინდრავა. მე მცირე უხერხულობა შემექმნა, რადგან გოგა დიდი ხნის განმავლობაში მთხოვდა ბიძინასთან შეხვედრის მოწყობას, მაგრამ მრავალჯერადი მცდელობის მიუხედავად, ბიძინა თავს იკავებდა მასთან კომუნიკაციისგან. არ მინდოდა, ბიძინას ეფიქრა, რომ გოგას იქ დახვედრა ჩემი „მოწყობილი“ იყო. ვუთხარი კიდეც, რომ მისი იქ ყოფნა ჩემთვისაც მოულოდნელი იყო“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 230).*

ამის შემდეგ მემუარისტი ყვება, როგორ მოილხინეს **გიორგი მარგველაშვილის** სოფლურ „ფაზენდაში“:

***„საოცრად თბილი საღამო გავატარეთ, „სოფლურ სუფრასთან“ წითელი ღვინით და, თქვენ წარმოიდგინეთ, პოლიტიკისგან აბსოლუტურად დაცლილი, განყენებული საუბრების, ცხარე კამათში გარდამავალი მეგობრული დისკუსიის თანხლებით. თავიდან გიორგიმ მოუბოდიშა ბიძინას ძალიან მოკრძალებული, მწირი საყოფაცხოვრებო პირობების გამო, რაზეც მიიღო საკმაოდ ვრცელი პასუხი, რომ ამით მას ვერ გააკვირვებდა, რადგან თვითონ ე.წ. სოხანეში იყო გაზრდილი“*** *(იქვე, გვ. 230).*

ამის შემდეგ **ხუხაშვილი** იხსენებს ერთ დეტალს, რომელმაც, მისი აზრით, განაპირობა მისი ბიძინასთან ურთიერთობის მეგობრობის რანგამდე ამაღლება:

***„სუფრასთან დრო სწრაფად შემოგვადნა, მზე გადაიწვერა და ბინდი მოგვადგა ჭიშკართან. ბიძინამ თქვა, რომ უკვე წასვლის დროა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მაინცდამაინც არ უნდა. რადგან შემატყო, რომ მეც მიჭირდა ადგომა, შემომთავაზა, დავრჩენილიყავი, რაზეც კატეგორიული უარი ვუთხარი და მეც წასასვლელად გავემგზავრე.***

***გზაში მკითხა, რატომ არ დავრჩი. მე ვუპასუხე: რომ დავრჩენილიყავი და უკანა გზაზე მას რაიმე ინციდენტში ამოეყო თავი, ან უარესი, რაიმე ფატალური მომხდარიყო, მერე ვისთვის და როგორ უნდა მემტკიცებინა, რომ არაფერ შუაში ვიყავი?! ორივეს გაგვეცინა...***

***ასე დაიწყო ჩვენს ურთიერთობაში სრულიად ახალი ეტაპი, რომელსაც მეგობრობა შეიძლება ეწოდოს“*** *(იქვე, გვ. 231).*

აქ **ხუხაშვილი** გვთავაზობს **ბიძინა ივანიშვილის** გარემოცვის ერთგვარი იერარქიის მისეულ შეფასებას, რაც იმ მომენტისათვის ჩამოყალიბდა:

***„ბიძინას გარშემო უამრავი ადამიანი დატრიალდა, მაგრამ ამ ურთიერთობებში აშკარად იგრძნობოდა მკაცრი წესრიგი... ცენტრში მისთვის ყოველთვის საკუთარი ოჯახი, საკუთარი ციხესიმაგრე იდგა. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება. პირველ წრეში აღმოვჩნდით მე და გიორგი მარგველაშვილი. გარდა პიროვნული სიმპათიისა, ეს გარკვეულწილად იმითაც იყო განპირობებული, რომ არცერთს არ გვქონდა პოლიტიკური ამბიციები და არანაირ გამორჩენას არ ველოდით პროცესიდან. შესაბამისად, ურთიერთობაც იყო უშუალო და გულწრფელი, ყოველგვარი ქვენა აზრების გარეშე. მეორე წრეს განეკუთვნებოდნენ მისი თანამშრომლები, ირაკლი ღარიბაშვილი და „ქართუდან“ პოლიტიკაში გადმოყოლილი სხვა პერსონები. მესამე წრეში იყვნენ პარტიული ლიდერები და მეოთხეში ყველა სხვა დანარჩენი“*** *(იქვე, გვ. 231).*

როგორც **ხუხაშვილი** წერს, ბიძინას სწორედ იმ საღამოს გაუჩნდა აზრი მარგველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატობაზე:

***„გავიდა თავგანწირული პოლიტიკური ბრძოლებით დატვირთული დრო. ჩვენ უკვე ხელისუფლებაში ვართ. დადგა საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევის დრო...***

***ბიძინამ სადილზე დამპატიჟა, რაც საკმაოდ უჩვეულო იყო. ხშირად მიწევდა მასთან სადილობა, მაგრამ ასე ოფიციალურად იშვიათად იცოდა დაპატიჟება და ისიც ოჯახთან ერთად.***

***სადილის დროს მითხრა, რომ მიიღო გადაწყვეტილება საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგის წამოყენების თაობაზე. პირველს მე მეუბნება ამის შესახებ და აინტერესებს, რას ვფიქრობ“*** *(იქვე, გვ. 232).*

როგორც **ხუხაშვილი** იხსენებს, ეს მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან უკვე კარგად იცნობდა ბიძინა ივანიშვილის აზროვნების სტილს:

***„მე, ბუნებრივია, ძალიან გამიხარდა. რომ გითხრათ, მოულოდნელი იყო-მეთქი, მოგატყუებთ, რადგან იმ დროისთვის უკვე საკმაოდ კარგად მქონდა შესწავლილი ბიძინას აზროვნების ალგორითმი და ვიცოდი, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ დაასახელებდა პრეზიდენტობის კანდიდატად არცერთ პოლიტიკურ ლიდერს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ამბიციები ღიად თუ ფარულად ბევრს ჰქონდა. ამას არ გააკეთებდა, რადგან ამით დაირღვეოდა ისედაც საკმაოდ მყიფე ბალანსი კოალიციაში და ამასთან, ის თვლიდა, რომ პირდაპირი ლეგიტიმაციის მიცემა რომელიმე პარტიისთვის სამომავლოდ შეიცავდა საფრთხეს იმ მმართველობითი მოდელისთვის, რომელსაც აშენებდა...“*** *(იქვე, გვ. 232).*

თუმცა, იმ მომენტისათვის არსებობდა პრეზიდენტობის სხვა სავარაუდო კანდიდატებიც, რა თქმა უნდა, არაპარტიული პერსონები:

***„სხვა კანდიდატებიდან ჩანდა მხოლოდ პაატა ბურჭულაძე, რომელთანაც თანამშრომლობა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შედგა. ჩანდა სალომე ზურაბიშვილი, რომელიც დაჟინებით ცდილობდა, ჩვენი ფავორიტი გამხდარიყო, მაგრამ ბიძინასთვის იმ მომენტში მისი კანდიდატურა მიუღებელი იყო...“*** *(იქვე, გვ. 233).*

აი, ასე აღმოჩნდა, არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარი დეპრესიის დამსახურებით **გიორგი მარგველაშვილი** „ქართული ოცნების“ მმართველი კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი...

**გიორგი გიგაური**

**გაგრძელება იქნება**

## კვირგვინოსნები

**დათო ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



როგორ შეიძლება, პრეზიდენტი, უბრალოდ, **თვითმფრინავში ჩაჯდეს და გადაფრინდეს,** ეს ხომ არ არის **მეზობელთან გადასვლა და ჭორაობა?!**

„ახალი თაობა“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



დეპოლარიზაციას **ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულება** მოახდენს. პარლამენტში **76 მანდატი რომ მქონდეს,** სათქმელს არ დავუტოვებდი ოპოზიციას, ვის ვალაპარაკებდი საერთოდ?!

„ინტერპრესნიუსი“

**ალი ბაბაევი**
*საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე*



**რამდენჯერმე მივმართე საქართველოში მცხოვრებ სომეხ მეგობრებს:** მოდი, გავაკეთოთ ერთი პრესკონფერენცია, შევიკრიბოთ და მოვუწოდოთ სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებას — **გვეყო ამდენი სისხლი და მტრობა, ბავშვების, ქალების, ახალგაზრდების, მოხუცების ხოცვა, შეწყდეს და დასრულდეს ეს ომი!** იყოს მშვიდობა და სტაბილურობა კავკასიაში, რათა **სამივე ქვეყანა გავერთიანდეთ,** ერთად მეტი დოვლათი შევქმნათ, მეტად განვვითარდეთ და გავძლიერდეთ... **ჩვენ სამივეს ერთად გვაქვს იმის რესურსი, რომ ერთობლივად შევქმნათ ძლიერი ეკონომიკა** და ვიცხოვროთ მშვიდობიან, სტაბილურ ქვეყანაში.

„საერთო გაზეთი“

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



იქნება მოთხოვნა, რომ, **თუ ევროპაში გინდათ, საქართველოში აუცილებლად უნდა ჩატარდეს გეიპარადები,** ერთი მინისტრი მაინც უნდა გყავდეთ **ღიად ტრანსგენდერი, გეი ან ლესბოსელი.**

„აიპრესი“

***გასულ კვირას ტუსაღი სააკაშვილის ისტორიული ინიციატივა გაჟღერდა: ნაცმოძრაობაში შეიქმნება ე.წ. ნაციონალური კომიტეტი, რომელიც სააკაშვილის თავმჯდომარეობით გააერთიანებს პარტიის მოქმედ, ყოფილ თუ განაწყენებულ წევრებს და ნაცმოძრაობის მოქმედების სტრატეგიას განსაზღვრავს!***




# სააკაშვილი საფლავიდან ადგა და ნაცმოძრაობა დაწვა!

პირველი, რაც ამ „ისტორიული ინიციატივის“ შემხედვარე თავში გაგიელვებს, ის არის, რომ **მიხეილ სააკაშვილმა სიკვდილი გადაიფიქრა!**

აბა, როგორ არ უნდა გაგიხარდეს ქრისტიანს, რომ კაცი, რომელიც, მისივე მტკიცებით, სიკვდილის პირას იყო და სასწრაფოდ უცხოეთში სამკურნალოდ გადაყვანას ითხოვდა, ისე გამოკეთდა, რომ აგერ, უკვე **ნაციონალურ კომიტეტს** ქმნის სამშობლოს გადასარჩენად!

ანუ: **აღარც დემენცია უღრღნის ახალგაზრდა ორგანიზმს! აღარც მძიმე მეტალებით მოწამლული შიგნეულობა უკივის სასოწარკვეთილის ხმით! საბრძოლო განწყობაზეა და ბუკ-ნაღარაც შემოუკრავს, ვიწყებთ ბრძოლას სამშობლოს ივანიშვილის არაფორმალური მმართველობისაგან გასათავისუფლებლადო!**

მაგრამ, ჰოი, საოცრებავ: ეს ნაციონალური კომიტეტი რომ თავად არის არაფორმალური მმართველობის უთვალსაჩინოესი მაგალითი?! ნაცმოძრაობას ჰყავს თავმჯდომარე **ლევან ხაბეიშვილი!** ნაცმოძრაობას ჰყავს პოლიტსაბჭო... ეს ნაციონალური კომიტეტი კი, რომელიც პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრისათვის იქმნება, სწორედ არაფორმალური მმართველობის უმახინჯესი ფორმაა, რადგან სააკაშვილი პარტიულ იერარქიაში არაფერია და როგორ, რომელი კანონისა და თუნდაც შიდაპარტიული განაწესის მიხედვით უნდა განსაზღვროს ნაცბანდის სამოქმედო ტაქტიკა და სტრატეგია?!

**თავი გავანებოთ იმას, რომ ნაცსექტა ისედაც არაფორმალური მმართველობით იმართება — ხაბეიშვილი ნიკანორ მელიას დაცურებით რომ დადეს ნაცმოძრაობის თავმჯდომარის სავარძელში, ეს დავით კეზერაშვილისა და ვანო მერაბიშვილის სპეცოპერაცია იყო!**

მაგრამ კეზერაშვილ-მერაბიშვილის კრიმინალურ დუეტს იმის ტვინი მაინც ეყო, რომ ფორმალური თავმჯდომარით — **ჯამბაზი ხაბეიშვილით** ემართათ პარტია და თვითონ არ გამოჩენილიყვნენ პარტიულ თანამდებობებზე!

სააკაშვილს კი იმის ტვინიც არ ეყო, რომ ასე სახალხოდ დაებრეხვებინა, ჩემი მხედართმთავრობით ნაციონალური კომიტეტი უნდა შევქმნათ, რომლის გადაწყვეტილებებს ხაბეიშვილიც დაემორჩილება და პოლიტსაბჭოც „ჩესტს“ აუღებსო!





**ნანა მჭედლიძის** გენიალურ **„იმერულ ესკიზებში“** რომ არის, მკვდარი რომ წამოდგება და მთელ გასვენებას საკუთარ კისერზე ფეხების რტყმით რომ გააქცევს, ზუსტად ეგ ამბავია, ღმერთმანი...

მოკლედ, სააკაშვილი კუბოდან ადგა და ნაცმოძრაობა დაწვა! მართლაც, **ნაცი-ანალური ამბავია!** ამ უბედურმა მაინც ვერ შეიგნო, რომ (უკაცრავად სკაბრეზისთვის, მაგრამ) ნაციონალური მოძრაობა ნაცი-ანალური მოძრაობისკენ მიჰყავს და ამას უკვე აღარაფერი ეშველება!

**როგორც მავზოლეუმში დაჩირებული ლენინი იტყოდა, ვერნოი დაროგოი იდიოტე, ტოვარიში — ტაკ დერჟატ!**

***გიორგი გიგაური***

## საეკლესიო კალენდარი





**18 სექტემბერი - ხსენება წინასწარმეტყველისა ზაქარიასი და მართლისა ელისაბედისა, მშობელთა იოანე ნათლისმცემელისა**

✝ 18 სექტემბერი. ორშაბათი. **წინასწარმეტყველისა ზაქარიასი და მართლისა ელისაბედისა — წმიდა იოანე ნათლისმცემლის მშობელთა;** მოწამისა რაისასი; მოწამეთა იუვენტინე და მაქსიმე მხედართა; მოწამეთა: ურბანისა, თეოდორესი, მედიმნესი და მათთანა 77-თა სასულიერო პირთა, ნიკომიდიას წამებულთა; მოწამისა აბდისი სპარსეთს; წმიდისა მოწამისა პეტრე ათირელისა.

✝ 19 სექტემბერი. სამშაბათი. **ხსენება სასწაულისა ქმნილისა მთავარანგელოზისა მიქაელისა მიერ კოლასეს შინა;** მოწამეთა: ევდოქსისი, ზენონისი და მაკარისი; ღირსისა არქიპოსი; მოწამეთა რომილესი და მისთანა სხვათა მრავალთა; მღვდელმოწამისა კირილესი, ჰორტინელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: კვირიაკესი, ფავსტო ხუცისა, აბიბოს დიაკონისა და მათთანა 11-თა მოწამეთა; ღირსისა დავითისა.



**19 სექტემბერი - ხსენება სასწაულისა ქმნილისა მთავარანგელოზისა მიქაელისა მიერ კოლასეს შინა**

✝ 20 სექტემბერი. ოთხშაბათი. **წინადღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობისა, მოწამისა სოზონისა;** მოციქულთა ებოდისა და ონისიფორესი, 70-თაგანთა; მოწამისა ევფსიქი კესარია კაბადოკიელისა; ღირსისა ლუკასი.

✝ 21 სექტემბერი. ხუთშაბათი. **შობა ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, ღმრთისმშობლობა. დიდუბობა. გელათობა. შუამთობა. ბეთანიობა. წმიდათა აღმსარებელთა იოანესი და გიორგი-იოანესი.**



**21 სექტემბერი - შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. ღმრთისმშობლობა**

✝ 22 სექტემბერი. პარასკევი. **შემდგომი დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობისა. წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმე და ანასი.** მოწამისა სევერიანესი; ღირსისა თეოფანე მმარხველისა და აღმსარებელისა; მოწამეთა ხარიტონისა და სტრატორესი; ნეტარისა ნიკიტა კონსტანტინოპოლელისა; პოვნა და აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა თეოდოსისა, ჩერნიგოველი მთავარეპისკოპოსისა; ხსენება მესამე მსოფლიო კრების წმიდათა მამათა.

✝ 23 სექტემბერი. შაბათი. მოწამეთა: მინოდორასი, მიტროდორასი და ნიმფოდორასი; მოციქულთა: აპელისი, ლუკისი და კლიმენტისი, 70-თაგანთა; მოწამისა ვარიფსავასი; კეთილმორწმუნისა პულქერიასი, ბერძენთა დედოფლისა; მღვდელმთავართა პეტრესი და პავლესი, ნიკეელ ეპისკოპოსთა.

✝ 24 სექტემბერი. კვირა. **წინა შაბათი ჯვართამაღლებისა.** ღირსისა თეოდორა ალექსანდრიელისა; მოწამეთა: დიმიტრისა, ცოლისა მისისა ევანთიასი და ძისა მათისა დიმიტრიანესი; მოწამეთა დიოდორესი და დიდიმოსი, ასურელთა; მოწამისა იასი, სპარსეთს ვნებულისა; ღირსისა ევფროსინესი; ღირსისა სილუანე ათონელისა. წირვის შემდეგ კრწანისის ბრძოლაში თავდადებულ ქართველთა სულთა საოხად აღესრულება პანაშვიდი.

---

**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს** ცნობილი ჟურნალისტის, ქართული ბეჭდური მედიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრის

# გია გაბრიჭიძის



გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.

---

**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. ჩალმა; 8. კოზაკი; 11. კარამელი; 12. ლაუდა; 13. ვაზნა; 14. ლემური; 15. ბოტანიკა; 16. დიაცი; 17. ძმები; 18. გზა; 19. სამორინე; 23. ნაურუ; 24. რადა; 25. ჭირი; 27. ლუი; 28. როკფორი; 29. ნასა; 33. ნორმალი; 35. ბარდა; 36. ამონალი; 38. ტანკა; 39. ამპირი; 42. ტყავი; 43. იდიოტია; 46. ბო; 47. ქიმი; 49. ვარაზი; 50. ფიდე; 52. ფარატინა; 53. გრემი; 54. ზვინი; 56. ნეკი; 57. კაროლინა; 61. ლოტი; 63. ჯინსი; 64. სიდრი; 65. ფანატიზმი; 66. მორზე; 67. ურიკა; 68. როდის?

შვეულად: 1. მადონა; 2. საბადო; 3. ბელინი; 4. ჩივაძე; 5. ლაზიერი; 6. ალადინი; 7. კუბატურა; 8. კალიგულა; 9. ზამთარი; 10. კორუნდი; 19. სარქალი; 20. მაკრონი; 21. რბოლა; 22. ნოინი; 26. როანი; 29. ნიტი; 30. სანდი; 31. არმანი; 32. კალინე; 34. რუმბა; 35. ბატი; 37. ლუიზიტი; 40. პორტი; 41. რაზმი; 44. დრამა; 45. ომალო; 48. მოემი; 49. ვაზა; 50. ფინტი; 51. დეკარტი; 53. გეო; 55. ნანტი; 57. კოფო; 58. რუნი; 59. ლატი; 60. ნაზი; 61. ლიმა; 62. ტურა; 63. ჯიუ; 64. სერ.

**კაბარენომერიტორიჩელინილოსიონილიკანიონიანი**
**პენტაგონიტიხარიხაბაზიარიქათამილაზარეკორდი**

## კვირგვინოსნები

**ზაალ იაკობიძე**
*კომპანია „სენტა პეტროლიუმის“ დამფუძნებელი*



**საწვავზე ფასის მატება,** სავარაუდოდ, ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება.

„რეზონანსი“

**მელხაზ ღლონტიძე**
*პურის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი*



საქართველოში **ფქვილის ბაზარს საფრთხე არ ემუქრება.** მსოფლიოში საპირისპირო ტენდენციაა — **მცირედით ძვირდება ხორბალი, მაგრამ ჩვენ სტაბილური ფასი გვიჭირავს.** რაოდენობის მხრივ, მოსავალიც კარგი გვაქვს. ამ დროისთვის 1 ტომარა პირველი ხარისხის ფქვილი, დაახლოებით, **50 ლარის ფარგლებშია,** ადგილობრივი წარმოების ფქვილის ფასიც ანალოგიურია.

„რეზონანსი“

**ანზორ საკანდელიძე**
*ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



განსაკუთრებით საშიშია **მიწისქვეშა მდინარის თავზე მაღლივი კორპუსების მშენებლობა,** როგორიც აშენდა **ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე.** ეს პროექტი და მშენებლობის ნებართვა პირადად **პრეზიდენტ სააკაშვილის** გაცემულია. სავარაუდოდ, **მან შური იძია ფსიქიატრიულ საავადმყოფოზე, რადგან ერთ დროს ასათიანის ფსიქიატრიულმა კლინიკამ გასცა სააკაშვილის შეურაცხადობის შესახებ სამედიცინო დასკვნა.**

„ალია“

**მაკა შალიკაშვილი**
*მსახიობი*



ფულის სახელგანთქმული **არდამბრუნებლებისგანაც** კი ამომიღია ჩემი ვალი. ტაქსიში ზუსტად იმდენს ვიხდი, რამდენსაც დაწერს მრიცხველი. **თუ ვაძლევ 8 ლარს, ვეტყვი, 80 თეთრი დამიბრუნოს.** ამას წინათ ტაქსის მძღოლი დიდხანს ბუზღუნებდა, შენნაირი ქართველი არ მინახავსო. მაინც არ დავთმე, სანამ არ მომცა.

„სარკე“



# მიხეილ ცაგარელი: პლანეტა პლუტონი მალე დიდი ხნით მერწყულში დაიბუდებს

*— პლანეტა პლუტონს „თაობის პლანეტას“ რატომ ვუწოდებთ? მერწყულში მისი გრძელვადიანი მოძრაობის პერიოდში, ზოგადად, ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშანს რისი მოლოდინი უნდა ჰქონდეს? ვერძის ნიშნით დაბადებულმა რას უნდა გადახედოს და რომელ დარგებში ელის განსაკუთრებული წარმატება? კუროსთვის მომავალ წლებში რაში აისახება ადრინდელი ხშირი სირთულეები? რას შეეწყობა ხელი და რა არ იქნება გამორიცხული? ტყუპი რას მიხვდება? რა გახშირდება და რა გამოიწვევს მის ცხოვრებასა და გონებაში დიდ ტრანსფორმაციას? რას უნდა გადახედოს და მოიძიოს ანდა რას უნდა დაუთმოს მეტი დრო? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— პლანეტა პლუტონის გრძელვადიანი ყოფნა და მოძრაობა მერწყულის ზოდიაქოში (2024-2043 წლებში) როგორ აისახება ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანებზე და როგორი იქნება თქვენი პირველადი რეკომენდაციები?**

— უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ, ვინაიდან პლანეტა **პლუტონი** საკმაოდ ნელა მოძრაობს და **მზის** გარშემო ერთ შემობრუნებას **248 წელიწადს** ანდომებს, ხოლო ზოდიაქოს თითოეულ ნიშანში გავლას — **11-დან 32 წლამდე,** ამიტომ მას შეიძლება **თაობის პლანეტაც** ვუწოდოთ, რადგან ამ წლებში დაბადებულ ადამიანებს პირად ნათალურ ჰოროსკოპში ის ერთსა და იმავე ზოდიაქოს ნიშანში (თუმცა, სხვადასხვა ასტროლოგიურ სახლებში) დაუფიქსირდებათ. ამგვარად, **პლუტონი** ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს აკონტროლებს, ამიტომ ზუსტად რომ გავიგოთ, **მერწყულის** ზოდიაქოში მოძრავი **პლუტონი** თითოეულზე რა ზემოქმედებას მოახდენს, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რომელ ასტროლოგიურ სახლსა და ნიშანშია იგი განლაგებული პირად ჰოროსკოპში. **ვინაიდან გველის პლანეტა პლუტონის გრძელვადიანი გადანაცვლება და მოძრაობა მერწყულის ზოდიაქოში, შეგვიძლია ზოგადად განვიხილოთ და პირველადი რეკომენდაციები მივაწოდოთ ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშნის წარმომადგენლებს.** ტრადიციულად პირველი ნიშნით დავიწყოთ.

**1. ვერძის ნიშნით დაბადებულს** წარმატების მისაღწევად ადრე ბევრი შრომა უწევდა, ახლა კარიერულ საკითხებში წინააღმდეგობანი იკლებს. ნელ-ნელა გაიზრდება პოპულარობა, გავლენის სფეროები, კოლეგების მხარდაჭერა და აღიარება საზოგადოების მხრიდან. განსაკუთრებით წარმატება ელოდება მოაზროვნეებს, ენთუზიასტებს, ინოვატორებს, თანამედროვე ტექნოლოგიების სპეციალისტებს, მწერლებს, ჟურნალისტებს, კორესპონდენტებს (ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის თანამშრომლებს), ბლოგერებს. მათი მოღვაწეობისთვის საოცარი შესაძლებლობები წარმოჩნდება. თუმცა, ამავდროულად, ვერძის ნიშნით დაბადებულმა აუცილებლად საკუთარ გარემოცვას უნდა გადახედოს. შესაძლოა, ზოგიერთ მათგანთან არც საერთო იდეები და არც ფასეულობები აღარ აკავშირებდეს, ხოლო ზოგიერთი არაკეთილსინდისიერ საქციელში ამხილოს. ამიტომ სასურველია, მის გვერდით სულითა და ხორცით ახლობელი ადამიანები დარჩნენ. კარგი იქნება, თუ მათ შორის გავლენიანი, ავტორიტეტული პირებიც იქნებიან. გარდა ამისა, **პლუტონი ვერძის** მიზნებსა და სურვილებში კორექტივებს შეიტანს.

**2. კუროს ნიშნით დაბადებულს** რაც შეეხება, წინა წლებში ის დიდ გამოწვევებს შეეჯახა. ახლა პლუტონი სასიკეთო პოზიციას დაიკავებს და ყველაფერს გააკეთილშობილებს. სირთულეები, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი (ტყუილები, დაგვიანებები, კრიზისები, მძიმე სამუშაო დღეები) დიდ გამოცდილებასა და სიბრძნეში აისახება, ამიტომ მომავალ წლებში მოსალოდნელია ჩანაფიქრთა რეალიზაცია, კარიერული აღმასვლა და დიდი მიღწევები. გარემო პირობები სასიკეთო იქნება ფინანსებისა და გავლენა-რეპუტაციის ამაღლების თვალსაზრისით. ეს პერიოდი ხელს შეუწყობს ახალ და ციფრულ ტექნოლოგიაში, სოციალურ სფეროსა და კომუნიკაციებში იდეების განხორციელებას. **კუროსთვის** ეს კარიერაში დიდი წინსვლის დროა, ოღონდ, რაც ოდესღაც წარმატების მწვერვალად ეჩვენებოდა, ახლა შესაძლოა, ნაკლებ მიმზიდველად გამოიყურებოდეს. ამიტომ გამორიცხული არ იქნება სამუშაო ადგილის ან საქმიანობის შეცვლა. შესაძლოა, იგი წარმატებული მეწარმე გახდეს ან სახელმწიფო სტრუქტურებში საპასუხისმგებლო თანამდებობა დაიკავოს. კარგი დროა ასევე, დამატებითი ცოდნისა და განათლების მისაღებად. გარდა ამისა, სიახლეები დაიწყება პირად და სასიყვარულო ურთიერთობაშიც, სადაც ყველაფერი უფრო მგზნებარე, რომანტიკული და ვნებიანი გახდება.

**3. ტყუპის ნიშნით დაბადებულს** ელის ბევრი გადაადგილება, მოგზაურობა, საკუთარი თავისა და ადგილის ძიება. მივლინებები გახშირდება. შესაძლოა, საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოს. **ტყუპი** მიხვდება, რომ ახალ პირობებში უფრო თავდაჯერებულად გრძნობს თავს. მისი ნიჭი უფრო მოთხოვნადი გახდება. მოგზაურობა, ცოდნა და თვითგანვითარება მის ცხოვრებასა და გონებაში დიდ ტრანსფორმაციას გამოიწვევს. თავადაც შეძლებს სხვათა დახმარებას და ტრანსფორმირებას. გარდა ამისა, ეს იქნება განსაკუთრებული შესაძლებლობების პერიოდი. ახალი შთაბეჭდილებები და მსოფლიო მიმდინარე გლობალური მოვლენები აიძულებს, საკუთარ ცხოვრებას, მოწოდებას, მისიას გადახედოს, რათა ის ადგილი მოიძიოს, სადაც თავს კომფორტულად იგრძნობს და ნიჭსა თუ უნარს უკეთ გამოიყენებს. **ტყუპმა** მეტი დრო უნდა დაუთმოს მეცნიერებასა და გამოგონებებს, კულტურასა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ამ პერიოდში ტყუპის ნიშნით დაბადებულს საუკეთესო შესაძლებლობანი მიეცემა თვითგამოვლენისა და თვითრეალიზაციისთვის და, რაც მთავარია, არ უნდა იზარმაცოს და ერთ ადგილზე არ უნდა გაჩერდეს.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***




## 18 – 24 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
საკუთარ ცხოვრებაზე, სამუშაოსა და ურთიერთობებზე დაფიქრდებით, თუმცა, ჯერ კარდინალურად ვერაფერს შეცვლით. გარშემო მყოფებმა სიმართლე რომ არ დაგიმალონ, ეცადეთ, უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინოთ წვრილმანების მიმართ. სხვა ქვეყანაში ან ქალაქში მცხოვრებ ადამიანებთან საქმიანი კავშირი მშვენიერ პერსპექტივას შეგიქმნით. კარგი განწყობის მიუხედავად, საკუთარ ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ.

**კურო** (21.04-20.05)
პარტნიორებთან ერთად დაწყებული საქმე თქვენს კეთილდღეობას უზრუნველყოფს. ფინანსების უკეთ გამოყენებისთვის წინასწარ ყველაფერი დაგეგმეთ. შეყვარებულზე ზრუნვა იდილიურ სასიყვარულო ატმოსფეროს შექმნის. ენერგია იმატებს და ჯანმრთელობაც გაგიუმჯობესდებათ. ურთიერთობისას უსიამოვნებებს ადვილად აიცილებთ, თუ მეგობრების რჩევებს გაითვალისწინებთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
უფრო აქტიური და სიცოცხლისუნარიანი გახდებით. ენერგიის მატება ხელს შეუწყობს ახალი იდეების ჩამოყალიბებას და ახალი კავშირების დამყარებას. შორეული მოგზაურობა წარმატებას გიქადით. ეცადეთ, ნიჭი და შემოქმედებითობა სრულად გამოავლინოთ. ახალს ნურაფერს ნუ შეიძენთ და ნურც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ. ეს კარგი დროა მოძველებული ურთიერთობისა და გამოუსადეგარი ნივთებისგან გასათავისუფლებლად.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ფინანსურ-მატერიალური კეთილდღეობა თქვენი უმთავრესი საფიქრალი გახდება. ახალი ხალხითა და მოვლენებით ახლობლებისა და ნათესავების პრობლემებით დაინტერესდებით. თაყვანისმცემელთა რიცხვი იმატებს, რაც შეყვარებულის უკმაყოფილებას გამოიწვევს. უჩვეულო ემოციური მოთხოვნილებები ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. დაქვეითებული ფსიქოსომატური მდგომარეობის გამო სასურველია, დასვენებას მეტი დრო დაუთმოთ და ყურადღებით იყოთ.

**ლომი** (23.07-23.08)
შემოქმედებითად მუშაობა თქვენს ავტორიტეტს გაზრდის და ფინანსურ მდგომარეობასაც გააუმჯობესებს. შორეული მოგზაურობა და მოლაპარაკებები შესაძლოა, გადაიდოს ან სერიოზული წინააღმდეგობა შეიქმნას. უძრავი ქონების ან ავტომობილის შეძენა გადადეთ. კარგი პერიოდია იმიჯის შესაცვლელად, ვარჯიშისა და დასვენებისთვის. საყვარელი ადამიანი და ბავშვები საჩუქრებით გაახარეთ და ამით თქვენც დიდ სიამოვნებას მიიღებთ. კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება ჰარმონიულობას შეგმატებთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
კარგი პერიოდია იურიდიული და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. სასიყვარულო და პარტნიორულ ურთიერთობაში მეტი მოთმინება გმართებთ და ყველაფერზე ნუ გაიბუტებით. ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისგან თავი შეიკავეთ და მიღებული ინფორმაციაც შეამოწმეთ. მოგზაურობა შესაძლოა, ჩაიშალოს ანდა პრობლემებს დაუკავშირდეს. კარგი პერიოდია მკურნალობის დაწყებისა და გარეგნობის გასაუმჯობესებლად.

## 18 – 24 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ხშირი კონტაქტები და ბევრი წვრილმანი გართობისთვის დროს არ დაგიტოვებთ. ამ პერიოდში კომერცია განსაკუთრებულ მოგებას მოგიტანთ. შორეულ მოგზაურობას მოერიდეთ და ეცადეთ, საიდუმლო საქმიანობისა და ინტრიგებისგან თავი შეიკავოთ, შეყვარებულთან გაუგებრობა და კონფლიქტი დროულად მოაგვარეთ, რათა ხელი არ შეგეშალოთ წარმატებულ ქმედებებში. ჯანმრთელობას ყურადღებით მიუდექით.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
პროფესიულ სფეროში მრავალი ახალი იდეა დაგებადებათ, მაგრამ მიზანი და მოქმედების ტაქტიკა წინასწარ უნდა შეარჩიოთ, რათა ყველაფრის ერთდროულად შესრულება არ მოგიწიოთ. ამ შემთხვევაში მონდომებას დაგიფასებენ და კარგ შემოსავალსაც მიიღებთ. სასიყვარულო სფეროში კი მოერიდეთ ცვლილებებს, რათა ამან ფსიქოსომატური მდგომარეობა არ გაგიუარესოთ. დასასვენებლად გამგზავრება ან მივლინება უმჯობესი იქნება ოჯახის წევრებთან ერთად.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ახალი საქმე და ინფორმაცია ემოციური კრიზისის დაძლევასა და იდეების გენერალიზაციაში დაგეხმარებათ. მოზღვავებული ენერგია მიმართეთ შრომისა და შემოქმედებისაკენ. გართობა რეკომენდებულია მხოლოდ ახლო მეგობრებთან. სახლს, ბავშვებსა და საყვარელ ადამიანს მეტი დრო დაუთმეთ და ხალხმრავალ ადგილებს მოერიდეთ, რათა არ დაშავდეთ ან არ დაავადდეთ. შორეული მოგზაურობა ჯობს, გადადოთ, რადგან შესაძლოა, პრობლემები შეიქმნას.

**თხის რქა** (22.12-19.01)
საკმაოდ დატვირთული და არაერთგვაროვანი პერიოდია. სახლის საქმე ბევრ დროს წაგართმევთ, თუმცა, შემოქმედებითი მუშაობისთვის განგაწყობთ. საქმიან კავშირებს სირთულე ელის. განწყობის ხშირ ცვლილებას ნურავის დააბრალებთ. ბავშვებს მეტი დრო დაუთმეთ და მათი წარმატება თქვენთვისაც დიდი სტიმული იქნება. ეცადეთ, ეს კვირა დასვენებისა და ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად გამოიყენოთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
საკმაოდ აქტიური და შედეგიანი პერიოდია. ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან კონტაქტი და საქმიანი ურთიერთობა იმატებს. კარგი პერიოდია ბინის შეცვლის ან გალამაზებისთვის, კულტურული ღონისძიებებისთვის. სამსახურში დამატებითი სამუშაოს შესრულება მოგიწევთ. გეგმების შეფერხებისას ჯობს, გაამყაროთ ურთიერთობა უცხოელ ან სხვა ქალაქში მცხოვრებ პარტნიორებთან, მაგრამ შორეული მოგზაურობისგან თავი შეიკავეთ.

**თევზები** (19.02-20.03)
ახალი პროექტების დასაწყებად მოემზადეთ და მომავალი პერიოდი დროულად დაგეგმეთ. უამრავი წვრილმანი პრობლემის მიუხედავად, მიზნის მიღწევა გაგიადვილდებათ. პროფესიულ ზრდაში გარშემო მყოფები დაგეხმარებიან. ყურადღებას ითხოვენ ბავშვებიც. ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად სპორტსა და გამაჯანსაღებელ პრაქტიკას მიმართეთ. მოგზაურობა გადადეთ. სამაგიეროდ, შესაძლოა, უცხოეთიდან საჩუქარი ან სასიამოვნო ახალი ამბავი მიიღოთ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 19, 22 და 23 სექტემბერი

15 სექტემბერი – ახალმთვარეობა, პიკი – 05.40 საათზე;
29 სექტემბერი – სავსემთვარეობა, პიკი – 13.58 საათზე.

## 18 სექტემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.44 საათზე, ჩადის 19.06 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.51) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 09.51 საათზე, ჩადის 20.31 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 10.59 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.06 საათიდან 08.51 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს გულმავიწყობა და დაბნეულობა იმატებს. დეტალები დააზუსტეთ და რჩევებიც გაითვალისწინეთ. სულიერი წონასწორობა დაიცავით. გააზრებული რისკი წარმატებას მოიტანს. ამავდროულად, სიხარულისა და სიურპრიზების დღეა. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ვაჭრობისთვის, გეგმების დასახვისთვის, ანტიკვარიატისა და ცხოველების შესაძენად, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, მგზავრობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება, სხივური თერაპია, ინტიმური კონტაქტები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ონიქსი, ტოპაზი, იასპი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 19 სექტემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.45 საათზე, ჩადის 19.04 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 10.57 საათზე, ჩადის 20.57 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 12.23 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს კვლავ იმატებს დაბნეულობა, გონებაგაფანტულობა, თვითმოტყუების ტენდენცია, ამიტომ რეალურ ფაქტებს დაეყრდენით. ფულიც ყაირათიანად ხარჯეთ. ურთიერთობისას მეტი ტაქტი და მზრუნველობა გამოავლინეთ. ეფექტური იქნება კბილების, ყელყურის, ცხვირის, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა რეცხვისა და რემონტისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის, გამოძიებისთვის, მეცნიერული კვლევისთვის. არ არის სასურველი მგზავრობა, ინტიმური კონტაქტები, ბინის შეცვლა, სესხის აღება, ახალი საქმის დაწყება, ნოტარიუსთან საბუთის გაფორმება, სხივური თერაპია, სოცუზრუნველყოფისა და სადაზღვევო ორგანიზაციებთან ურთიერთობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ობსიდიანი, ტოპაზი, ქრიზოპრაზი, იასპი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 20 სექტემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.46 საათზე, ჩადის 19.03 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (17.55) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 12.06 საათზე, ჩადის 21.28 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 13.51 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.21 საათიდან 17.55 საათამდე. **ტენდენციები:** რთული მოვლენების დღეა! დროულად გაისტუმრეთ ვალი, ჯარიმა და დავალიანება გადაიხადეთ, გამახვილებულია ინტუიცია. შესაძლოა, პარტნიორული ურთიერთობისას სასიამოვნო უცნაურობამ გაგაოცოთ. სასიკეთოა სუნთქვითი ვარჯიში, წყლის პროცედურები, მასაჟი, ყელისა და ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, მანქანისა და ცხოველების შესაძენად, სამეცნიერო კვლევისთვის, გეგმების დასახვისთვის. საღამოს ხელი შეეწყობა უცხოელებთან კონტაქტს, სპორტულ ღონისძიებებს, საიუბილეო საღამოებს. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ბინის შეცვლა, ინტიმური კონტაქტები, სხივური თერაპია, ნოტარიუსთან საბუთის გაფორმება, სესხის აღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ოპალი, ონიქსი, ზურმუხტი. **საღამოს** ფირუზი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის.

## 21 სექტემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.47 საათზე, ჩადის 19.01 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 13.16 საათზე, ჩადის 22.07 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 15.20 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები: გილოცავთ ღვთისმშობლის შობის დღესასწაულს!** განეწყვეთ ოპტიმისტურად, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. ურთიერთობისას მეტი მზრუნველობა და ყურადღება გამოავლინეთ. ინტუიციას დაეყრდენით. კარგი დღეა მგზავრობისთვის, იდეოლოგიურად რელიგიური საქმიანობისთვის, თანამშრომლობისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისა და კაპიტალდაბანდებისთვის, სესხის გასაცემად, სპორტული ღონისძიებებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, საიუბილეო საღამოებისა და დაჯილდოებისთვის. არ არის სასურველი სულსწრაფობა, სარკაზმი, მშენებლობა, სისხლის გადასხმა, ბავშვების უმეთვალყურეოდ დატოვება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, სარდიონი, ნეფრიტი, ლაზურიტი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 22 სექტემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 06.48 საათზე, ჩადის 18.59 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.14) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 14.25 საათზე, ჩადის 22.57 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 16.43 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.32 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა რთული პრობლემების გადასაწყვეტად. კეთილშობილება გამოავლინეთ. თავშეკავებული და მზრუნველი იყავით. დროსა და ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ. კარგი დღეა ბრონქების, ფილტვების, ხელების სამკურნალოდ, მგზავრობა-მოგზაურობისთვის, სპორტული ვარჯიშებისა და ღონისძიებებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, თანამშრომლობისთვის, პრეზენტაციებისთვის, სწავლისთვის. ინტუიცია იმატებს. არ არის სასურველი სისხლის გადასხმა, სულსწრაფობა, მშენებლობა, სარკაზმი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, ქარვა, ლალი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 23 სექტემბერი, შაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (10.51) სასწორის ზოდიაქოში, ამოდის 06.49 საათზე, ჩადის 18.57 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 15.27 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 17.46 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: მზის** გადანაცვლება **სასწორის** ზოდიაქოში გააძლიერებს კომუნიკაბელურობას, დიპლომატიურობას, ესთეტიკურობას, სამართლიანობისკენ, მშვიდობისკენ, სილამაზისკენ მიდრეკილებას და ასევე, სულსწრაფობასა და მერყეობასაც. დღეს, შემოდგომის ბუნიობისა და დღეღამტოლობის საკრალურ დღეს, სასიკეთოა ლოცვა, მიტევება, სიყვარულის გამოვლენა. განეწყვეთ ოპტიმისტურად და სურვილები ჩაუთქვით. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, რესტავრაციისთვის, უძრავი ქონებისა და ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, კოლექციის შესაგროვებლად. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, ახალი კავშირის დამყარება, გაცვლითი ოპერაციები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, მუხლები, სახსრები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 24 სექტემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.50 საათზე, ჩადის 18.56 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 16.20 საათზე, ჩადის 23.58 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 18.26 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.05 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს თავისუფალი გრაფიკით იმოქმედეთ. იმატებს ილუზიის, სიცრუის, ცილისწამების, კონფლიქტის, პასუხისმგებლობის მოხსნის ალბათობა. იყავით ყურადღებით, ურთიერთობისას მაღალია სერიოზული შეცდომის დაშვების ალბათობაც. მოერიდეთ სიმძიმის აწევას, მკვეთრ მოძრაობას, სტომატოლოგიურ პროცედურებს. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, კოლექციის შესაგროვებლად. არ არის სასურველი ქორწინება, ალკოჰოლის მიღება, გავლენიან პირებთან ურთიერთობა, ვაჭრობა, ახალი კავშირის დამყარება. ეფექტური იქნება კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, ეპილაცია, კანისა და ფრჩხილების მოვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, მუხლები, სახსრები. **ქვები:** ქრიზოპრაზი, ონიქსი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.



***„ელის მალამოს" სასწაულმოქმედი თვისებების შესახებ კარგა ხანია, რაც „ასავალ-დასავალის" მეშვეობით მთელმა საქართველომ შეიტყო. ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული მართლაცდა გასაოცარი მალამო, რომელიც ძვალსახსროვან დაავადებებსა და ტრავმებს ეფექტურად ებრძვის, პაციენტთათვის ნამდვილად ღვთის საჩუქარია. ქალბატონი ელი ამაშუკელი, რომელმაც ეს მალამო შექმნა, საზოგადოებას მადლობას უხდის და კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ ეს უნიკალური პროდუქტი არაერთ ისეთ დაავადებას კურნავს, რომელსაც ოფიციალური მედიცინა ქირურგიული ოპერაციის გარეშე ვერ შველის.***

# ელი ამაშუკელი:

# „ძვალსახსროვანი დაავადებები ბოლო დროს მეტად გაახალგაზრდავებულია!"

**ელი ამაშუკელი**, ***„ელის მალამოს" ავტორი:*** — „ელის მალამო" მთელი საქართველოსთვის სწორედ „ასავალ-დასავალის" საშუალებით გახდა ცნობილი. **ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ამ მოკლე ხანში უამრავი განკურნებული და მადლიერი პაციენტი გვყავს.** სიმართლე გითხრათ, ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს მოვკიდებდი ხელს და ასეთი რთული პაციენტების მკურნალობას გავბედავდი, მაგრამ ფაქტია, რომ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა! მოგეხსენებათ, ძვალსახსროვანი დაავადებები და, მათ შორის, ხერხემლის პათოლოგიები ერთ-ერთი ურთულესია. **პროტრუზია, ოსტეოქონდროზი და ხერხემლის თიაქარი ხასიათდება უამრავი გართულებით, რაც დაკავშირებულია მოძრაობის შეზღუდვასთან, ტკივილთან და აუტანელ დისკომფორტთან, რადგან ასეთ დროს, როგორც წესი, ძვლებსა და მალებს შორის ხრტილოვანი მასა გალეულია.** მოკლედ, ძალიან მძიმე დაავადებების მკურნალობას მოვკიდე ხელი და მოხარული ვარ, რომ კარგი შედეგები გვაქვს!

**— მალამო რისგან მზადდება?**

— „ელის მალამო" დამზადებულია აბსოლუტურად ბუნებრივ კომპონენტებზე — **ფუტკრის პროდუქტებზე, ფიჭვსა და დედალოების მიერ დამზადებულ კარაქზე, ეთერზეთებსა და შებროვებულ ბალახებზე.** ასე რომ, კმაყოფილი და განკურნებული პაციენტები უკვე აღარც მეკითხებიან — თქვენი მალამო რამდენად სანდოაო?

**— როგორია მალამოს გამოყენების წესი?**

— უმარტივესი... **პაციენტმა მალამო მტკივნეულ ადგილზე უნდა შეიზილოს... ეს შესაძლოა იყოს წელი, კისერი, მუხლი, კოჭი, სახსარი და ა.შ.** რაც მთავარია, ვაჩერებთ ისეთ დაავადებას, როგორიც არის მენჯის სახსარში ხრტილის გალევა, ანუ **კოქსართროზი.** საერთოდ, ძალიან სამწუხაროა, რომ ძვალსახსროვანი დაავადებები ბოლო დროს მეტად გაახალგაზრდავებულია და პაციენტები უკვე 30 წლიდან მყავს. მათში დომინირებს ხერხემლის პათოლოგიები, განსაკუთრებით თიაქარი. ეს კომპიუტერთან ჯდომამ გამოიწვია თუ რაშია საქმე, არ ვიცი... როგორც ცნობილია, ხერხემლის თიაქრის დადასტურების შემთხვევაში ხერხემალზე ოპერაცია კეთდება. არადა, ჩემი მალამო ამ პროცესს აჩერებს. ამიტომ ვურჩევ პაციენტებს: ოპერაციის გაკეთებას ყოველთვის მოასწრებთ, სინჯეთ „ელის მალამო", რომელიც **ხერხემლის თიაქარს** ბლოკავს!

# ოპერაციის გაკეთებას ყოველთვის მოასწრებთ... სინჯეთ «ელის მალამო», რომელიც ხერხემლის თიაქარს ბლოკავს!



**— პაციენტები როგორ დაგიკავშირდნენ?**

**— პაციენტებს შეუძლიათ, დამირეკონ ტელეფონზე 599-77-59-09, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12 საათიდან 19 საათამდე!**

*ესაუბრა* ***დიტო ჩუბინიძე***

| ფილმი მინელის მონაწილეობით | ოთახი სასტუმროში | იტალიელი მათემატიკოსი, ფიზიკოსი | მდინარე აფრიკაში | NBA-ს ექსკალათ-ბურთელი | ღრმა, ვიწრო ხეობა | ... ქირა-რდო |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქალის სამოსი | რეპუტაცია | მჭევრმეტყველი | იტალიელი მოქანდაკე | ინანთეული-სურნელოვანი წყალი | ქართული მინერალური წყალი | მსახიობი ონისე ... |
|---|---|---|---|---|---|---|




თარაზულად: 4. მუსლიმანი მამაკაცების თავსაბური; 8. აქლემის ნაშიერი; 11. ერთგვარი გულიანი კანფეტი; 12. ავსტრიელი ავტომრბოლელი; 13. ტყვიით დატენილი იარაღის ნაწილი; 14. ნახევრადმაიმუნი; 15. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 16. ქალი (ძვ.); 17. თ. დოსტოევსკი — „... კარამაზოვები“; 18. მიმოსვლის ზოლი დედამიწაზე; 19. სათამაშო სახლი, კაზინო; 23. კუნძული წყნარ ოკეანეში; 24. უკრაინის პარლამენტის სახელწოდება; 25. ცხოველთა მწვავე გადამდები დაავადება; 27. ფრანგი კომპოზიტორი; 28. ფრანგული ცხვრის ყველი; 29. ამერიკის კოსმოსური კვლევის ცენტრი; 33. დადგენილი ნიმუშის დეტალი; 35. პარკოსანი კულტურა; 36; ასაფეთქებელი ნივთიერება; 38. იაპონური პოეზიის ჟანრი; 39. სტილი არქიტექტურაში; 42. ცხოველის გარებეწვიანი საფარველი; 43. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 46. ჩინელი პოეტი ლი...; 47. ვარსკვლავის წვეტი; 49. ქართველი მხატვარი, ფიროსმანის როლის შემსრულებელი; 50. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია; 52. ქაღალდის, ძველი ქსოვილის ნაგლეჯი; 53. პოპმუსიკის ამერიკული ჯილდო; 54. მაღლად დადგმული თივის გროვა; 56. მეხუთე, ყველაზე პატარა თითი; 57. აშშ-ის შტატი; 61. აუქციონზე გასატანი ნივთი; 63. ამერიკული შარვალი; 64. ვაშლის ღვინო; 65. ბრმადმორწმუნეობა; 66. წერტილისა და მძიმეების ანბანის ამერიკელი გამომგონებელი; 67. თვლებიანი მომცრო ხელით საზიდარი; 68. რა დროს?

შვეულად: 1. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 2. ადგილი, სადაც მადნეული მოიპოვება; 3. ვენეციელი მხატვარი; 4. ქართველი ყოფილი ფეხბურთელი; 5. ჭადრაკის ფიგურა; 6. ჯადოსნური ლამპრის მფლობელი (ზღაპარი); 7. კუბური ერთეულებით გამოხატული რისამე მოცულობა; 8. რომის იმპერატორი; 9. წელიწადის დრო; 10. ძალიან მაგარი მინერალი; 19. უფროსი მწყემსი; 20. საფრანგეთის პრეზიდენტი; 21. სპორტული შეჯიბრი ავტომობილებით; 22. მონღოლი მმართველი (ისტ.); 26. ქალაქი საფრანგეთში; 29. სინათლის სიკაშკაშის ერთეული; 30. ფრანგი მწერალი ქალი; 31. იტალიელი დიზაინერი; 32. ძველი ბერძენი პოეტი ... ეფესელი; 34. მექსიკური წარმოშობის ცეკვა; 35. ტაილანდის ფულის ერთეული; 37. საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერება; 40. ნავსადგური; 41. საჯარისო შენაერთი; 44. ლიტერატურული ნაწარმოები სცენაზე დასადგმელად; 45. სოფელი ახმეტის რაიონში; 48. ინგლისელი მწერალი; 49. ლარნაკი; 50. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 51. ფრანგი ფილოსოფოსი; 53. მიწის აღმნიშვნელი რთული სიტყვის ნაწილი; 55. ქალაქი საფრანგეთში; 57. მეურმის ადგილი ურემზე; 58; ინგლისელი ფეხბურთელი; 59. ლატვიის ფულის ერთეული; 60. სასიამოვნო, სათუთი; 61. მოდელი ადრიანა ...; 62. მტაცებელი ცხოველი; 63. უიარაღოდ თავდაცვის სისტემა ... ჯიცუ; 64. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 29-ე გვერდზე*

| აშშ-ის სამხედრო უწყება | შირმა | პურის მცხობელი | საგანგებო ქახილი საშველად | დიასტაზი | უმაღლესი მიღწევა სპორტში |
|---|---|---|---|---|---|

| ხუთი (ბერძნ.) | მუხლის სახსრის ანთება | მოაჯირის ნაწილი | ქორ-შევარდენთა დამგეშავი | შინაური ფრინველი | ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა | ნაგრეხი ძაფი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2023 წლის 18 – 24 სექტემბერი №41 (1505)

გამოდის ორშაბათობით

მეწარმოჰიპოთეკა "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*



**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**



გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**




THE FLAG
OF THE
UNITED STATES
OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol